 14.25 ტრინული "საბრძოლო ძალებზე"

16.10, 19.20, 22.40, 00.20 საინფორმაციო პროგრამები "საბრძოლო ძალებზე"  
 16.20 მულტსერიალი  
 17.30 დრამა "მან და არა" 1 ს.  
 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო პროგრამები "საბრძოლო ძალებზე"  
 19.30 "საბრძოლო ძალებზე"  
 19.35 "საბრძოლო ძალებზე"  
 20.00 მუსიკალური პროგრამა "საბრძოლო ძალებზე"  
 22.20 "საბრძოლო ძალებზე" (ავტორი საბრძოლო)  
 23.00 **სლო**  
 23.30, 03.20 მუსიკა  
 00.30 "საბრძოლო ძალებზე"  
 02.00 "საბრძოლო ძალებზე"  
 04.05 ტრინული "საბრძოლო ძალებზე"

**VII არხი**

18.10 მუსიკალური პროგრამები  
 18.50 მუსიკა  
 19.00 "საბრძოლო ძალებზე"  
 19.20 "საბრძოლო ძალებზე"  
 19.50 "საბრძოლო ძალებზე"  
 20.40 "საბრძოლო ძალებზე"  
 22.25 კომპიუტერული ტექნიკა  
 23.05 "საბრძოლო ძალებზე"  
 1 სერიალი "საბრძოლო ძალებზე"  
 02.20 "საბრძოლო ძალებზე" - ვიდეო - ტელე

**OPT**

07.10 სერიალი "საბრძოლო ძალებზე"  
 08.00, 11.00, 15.00, 19.00 ნიუსი  
 08.10 სერიალი "საბრძოლო ძალებზე"  
 09.00 სერიალი "საბრძოლო ძალებზე"  
 09.20 "საბრძოლო ძალებზე"  
 10.00 "საბრძოლო ძალებზე"  
 11.10 "საბრძოლო ძალებზე"  
 11.30 "საბრძოლო ძალებზე"  
 12.10 "საბრძოლო ძალებზე"  
 12.40 "საბრძოლო ძალებზე"  
 13.20 "საბრძოლო ძალებზე"  
 13.50 "საბრძოლო ძალებზე"  
 14.35 "საბრძოლო ძალებზე"  
 15.10 "საბრძოლო ძალებზე"  
 15.30 "საბრძოლო ძალებზე"  
 17.30 "საბრძოლო ძალებზე"

**PTP**

07.00 ლოკ. ფილმი "საბრძოლო ძალებზე"  
 08.20 მულტსერიალი "საბრძოლო ძალებზე"  
 09.05 "საბრძოლო ძალებზე"  
 09.40 "საბრძოლო ძალებზე"  
 10.00 "საბრძოლო ძალებზე"  
 10.25 "საბრძოლო ძალებზე"  
 11.20 "საბრძოლო ძალებზე"  
 12.15 "საბრძოლო ძალებზე"  
 13.15 "საბრძოლო ძალებზე"  
 14.10 "საბრძოლო ძალებზე"  
 15.00 "საბრძოლო ძალებზე"  
 15.20 "საბრძოლო ძალებზე"  
 17.00 "საბრძოლო ძალებზე"  
 19.00 "საბრძოლო ძალებზე"  
 21.25 "საბრძოლო ძალებზე"  
 21.50 "საბრძოლო ძალებზე"  
 22.15 "საბრძოლო ძალებზე"  
 00.00 "საბრძოლო ძალებზე"  
 03.20 "საბრძოლო ძალებზე"  
 04.15 "საბრძოლო ძალებზე"

**ITV**

07.25 "საბრძოლო ძალებზე"  
 09.00, 13.00, 17.00, "საბრძოლო ძალებზე"  
 09.20 სერიალი "საბრძოლო ძალებზე"  
 10.00 "საბრძოლო ძალებზე"  
 10.30 "საბრძოლო ძალებზე"  
 11.05 "საბრძოლო ძალებზე"  
 11.55 "საბრძოლო ძალებზე"  
 12.50 "საბრძოლო ძალებზე"  
 13.15 "საბრძოლო ძალებზე"  
 13.40 "საბრძოლო ძალებზე"  
 14.10 "საბრძოლო ძალებზე"  
 15.55 "საბრძოლო ძალებზე"  
 16.05 "საბრძოლო ძალებზე"  
 17.20 "საბრძოლო ძალებზე"  
 17.55 "საბრძოლო ძალებზე"  
 20.05 "საბრძოლო ძალებზე"  
 20.50 "საბრძოლო ძალებზე"  
 22.00 "საბრძოლო ძალებზე"  
 23.00 "საბრძოლო ძალებზე"  
 01.30 "საბრძოლო ძალებზე"  
 02.40 "საბრძოლო ძალებზე"

**თბილისის წიგნის ფესტივალი**

5th TBILISI BOOK FAIR

**ფილარმონია • 11 - 14 ივნისი**

**Imagocentre**

კონსულტაციები და მკურნალობა

**"ნიკი-ცენტრი"**

კონსულტაციები და მკურნალობა









მამა არის მამა, მეგობარი არის მეგობარი, სამშობლო არის სამშობლო და ა.შ. მიწიერი განზომილება- ეს შემოთავაზებული პირობა რომ არ ვერნშუნო, მაშინ ვერაფერს გავაკეთებდი, მაგრამ ეს რწმენა რომ არ შენდებოდეს გულწრფელობაზე, კითხვის ნიშანზე, ზნეობასა და სევდაზე, მაშინ ის იქნებოდა ნაგავი. რაც გამოკეთებია, ყველაფერში მხოლოდ ფარდობითაა პასუხი გაცემული, დამუშავებული აუცილებლობით... კითხვის ნიშნები კი ბევრია.


**- რომელიც თქვენს პოეზიაში გამოიხატება სხვადასხვაგვარი პირობითი ნიშნებით.**

- რა თქმა უნდა. ჩემი სევდა არაა სიკვდილის სევდა, ეს სიცოცხლის სევდაა. მე მიყვარს ეს სევდა, რომელიც მოიცავს გაგებულ გაუგებრობებს. მე

- არა, რადგან უსახელოდ არ შედეგება ის ტკივილი, რომელიც სამოქალაქო ომს მოაქვს ქვეყნისათვის.

**- ხანდახან მეჩვენება, რომ თქვენი ფილმები ერთგვარად თეატრალიზებულია.**

- მიხილ თუმანიშვილს არასოდეს, თითქმის არავინ შეუქია, თუ მისი მონაფე არ იყო. თითქმის არავინ დაუნერია ნერილი. ჩემს ფილმზე, "ნისკელი ქალაქის გარეუბანში", დაწერა ნერილი, სადაც ამბობს, რომ ესაძის ფილმის ეპიზოდებს ვუყურებ, როგორც პატარა სპექტაკლებსო. ეს ჩემთვის დიდი შეფასებაა. საერთოდ კი, სათქმელს ყოველთვის ვაძლევ ფორმას, ხაზი და ნერტილი სივრცეა ჩემთვის. გინდ კოსმოსისთვის შემხიბდავს, გინდ ნერტილისთვის,



არ გავხდი სნობი, აგრესიული, კაცთმოძულე, ცინიკოსი, ნიჰილისტი, რადგან მივიღე გარე სამყარო, სადაც დატული ვარ ჩემი დაუცველობით.

**- არის თუ არა საქართველოს თითოეული ეთნოსის ხასიათი თავმიყრელი თქვენს ავტობუსში?**

- ჯერ ერთი, თითოეულ მათგანში მე ვარ. ესაა ჩემი ავტობიოგრაფია. მეორეც, ისინი ძალიან საყვარლები არიან. თუ ვინმე ფიქრობს, რომ იმ ავტობუსში ცუდი საქართველოა, ძალიან ცდება. ბერლინში, ქართული კულტურის დღეებზე აჩვენეს ეს ფილმი, რომლის მსვლელობისას მქონდა საშინელი დანაშაულის შეგრძნება - რატომ გავაკეთე ის, რომ მსოფლიოს ვაჩვენებ ჩემს გაუბედურებულ ერს. დამთავრდა ფილმი და გაიმართა პრესკონფერენცია. პირველივე, რაც მკითხეს უცხოელებმა, იყო - მართლა ასეთი ლამაზები ხართ ქართველებო? ვიტყვით მაშინ. ერთმა ამერიკელმა კი გამოაცხადა: ეს ავტობუსი მარტო თქვენი ავტობუსი არ არის, ჩვენ ყველანი ვზივართ ამ ავტობუსში და მივდივართ დასაკარგავში. მაშინ მომეფხანა გული - მარტო ჩვენ კი არა ვართ ასეთი დღეები.

**- იმ ავტობუსში, რომელიც მთელი სამყაროა თავმოყრილი, ხომ არ დაგაკლდათ ვიზუალი?**

- თუ დამაკლდა, ეს მხოლოდ ჩემი უცოდინარობის ბრალია.

**- ახალ ფილმშიც ისეთივე უსახელო გმირები გყავთ, როგორც "ნელიონში"?**

ჩემთვის ერთია. ისე მიყვარს 25000-ჯერ გადიდებული ჭიანჭველას სახე ანდა რძის წვეთი, გენიალურია. ატლანტიკის ოკეანის ჭრილი უფრო გასაგებია ჩემთვის, ვიდრე ზედაპირის ჭრილი. ასეთი ლოზუნგი მაქვს ჩემი სტუდენტებისთვის: ეძიეთ სიღრმე ზედაპირში, იმიტომ, რომ რასაც ჩვენ სიღრმეს ვეძებთ, იმას სიღრმე არა აქვს, სიღრმე არის ზედაპირში. როდესაც სფინქსსა და პირამიდას შორის ვარ გაჩერებული, ვფიქრობ, ამაზე დიდი საოცრება, რაც ამ ორ არსს შორის არის ჩადებული, წარმოუდგენელია, ესაა გაფრენა და სევდა. ახლა ვთქვათ, რისგანაა ეს გაფრენა და რისგან- სევდა. ჯერ ერთი, ორივე უდაბნოში დგას, მეორეც - აგების პრინციპი ერთმანეთისგან უკიდურესად საწინააღმდეგოა, ერთში ქაოსიდან შედგენილი ჰარმონიაა, მეორეში - აბსოლუტური რაციონალიზმიდან შედგენილი ჰარმონია, და მოვძებნე ასეთი ახსნა: ეს ორი ქმნილება დადგმულია იქ, როგორც ნინა ციცილიზაციების კოდი, რომელიც გეუბნება, რომ შეუძლებელია ერთი და იგივე ცოცხალ არსში რაციონალიზმის და ქაოსის ჰარმონიის არსებობა ერთდროულად, წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებლად მიხვალ უდაბნოში, რაც მტკიცდება კაცობრიობის ისტორიით, რადგან მაშინ, როცა სფინქსი და პირამიდა დაიდგა, იქ ნა-ლეკოტი იყო, დღეს კი უდაბნოა. ე.ი. წინაპრები გრძობდნენ უდაბნოს უდაბნომდე და კოდით გაცნობდნენ-

ენ იმას, რაც საუკუნეების მერე მოხდებოდა. ამიტომ, გენიალურ ქმნილებებში უნდა ვეძიოთ კოდი. ოღონდ, არ მკითხოთ ახლა, რას ფიქრობს ლომი, ჭიანჭველა ან პეპელა?

**- რა ვიცი, ძალის ფიქრების ამოცნობას ნატრობდით ცოტა ხნის წინ...**

- უნდა ვითხრა, რომ აბრეშუმის ჭიაზე დიდი საოცრება არაფერია ჩემთვის. წარმოიდგინეთ, აბრეშუმის ჭიას აქვს ერთადერთი მიზანი - ჩაიკეტოს თავის პარკში, რომ იქიდან მერე პეპელად ამოვიდეს. თუ ამას თქვენ ამხსნით, გაეჭმდები და ყველაფერზე თავს დაგიკრავთ.

**- მე მგონი, ადამიანის ცხოვრების მიზანიც ვეაა, ჩაიკეტოს თავის სამყაროში და იქიდან სულიერად ამოვიდეს.**

- მგონი ხომ დააყოლებთ აზრს. მე კიდევ, სულ მგონით გელაპარაკებით და არაფერს ვამტკიცებ.

**- მოდით, მინაზე დავდგეთ და ვთქვათ, რომ თანამედროვე კინოში უგმირო და უპიროვნო ფილმების მთელი წყება წამოვიდა, ნარკომაფია, ნიჰილისტი, ხელმოცარული... ფიქრებით თუ არა, რომ კინემატოგრაფიც ერთგვარი გაუდაბნოებისკენ მიდის?**

- ფსევდომორწმუნეობა შობს ყველაფრის გაუფასურებას და დევალვაციას. როდესაც ადამიანი შემოიფარგლება ცოდნით და მტკიცებით - მე ეს ვიცი, იქ იღუპება ყველაფერი. გლობალიზაციაცაა მიზეზი, თუმცა მიმაჩნია, რომ გლობალიზაცია სამყაროს გადარჩენის შანსია, რადგან ის პიროვნულის უარყოფა კი არ არის, არამედ განცდაა იმისა, რომ ყველას სახლი არის დედამინა, რომელზეც პასუხს აგებს თითოეული ერი. ვინაა ეს ყველა? მე, შენ, ის და ისინი. მაგრამ თუ ავირეთ ანუ შენ მე გავხდი და მე შენ, მაშინ ერთი გემოვნება ყალიბდება და ესაა განადგურება. ჭინჭარი ჭინჭარი აღარ არის, ჭიაფერა ჭიაფერა აღარ არის... არის მხოლოდ და მხოლოდ ვარდი. ჩემს მტერს, დედამინა მხოლოდ ვარდებით იყოს დაფარული, მაგაზე საზარელი არაფერი იქნება. უპიროვნო ფილმები კი იმიტომ იქმნება, რომ რაღაცას ამტკიცებენ, ჭკუას მასწავლიან. სადაც ჭკუის სწავლებაა, შეუძლებელია, იქ უბედურება არ მოხდეს. ფილმის კეთებისას, პირველ რიგში, საკუთარ თავს არ უნდა მოატყუო, რადგან ფილმს საკუთარი თავისთვის აკეთებ, საკუთარი ქარისთვის...

**- აბა რატომ გამოგაქვთ, რატომ გაინტერესებთ სხვისი აზრი...**

- იმიტომ, რომ მინდა გაზიაროთ იმ ქარს, რომელმაც წამილო... ჩემს განცდებას, რწმენას. იცით, რომ არც ერთი ლოცვა არ ვიცი, "მამაო ჩვენოს" და "მრწამსის" გარდა? დანარჩენი ჩემი სიტყვებია, ჩემი ნყობა მაქვს ლოცვის.

**- მოძღვარი გყავთ?**

- მყავს, მამა ზაქარია, ძველი ფიზიკოსია. იშვიათად მივდივარ ხოლმე და, რას მეუბნება იცით? ვიცი, რომ სულ ჩემთანა ხარო. როცა ასეთი დამოკიდებულებაა, ძალდაუტანებელია ყველაფერი.

**- ვგრძნობ, რომ შავ-თეთრი ფილმების უცნაური მონატრება დამეწყო ამ ბოლო დროს. თავად როგორ უყურებთ ფილმის ფერს?**


- შესანიშნავია ეგ მონატრება. ფილმს მუნჯიც დაარქვებს, არადა არ არსებობს მუნჯი ფილმი, არსებობს ცუდი და კარგი ფილმი. მუნჯ ფილმზე უფრო მეტყველი ფილმი მე არ მიწახვს. მეტყველებამ დაამუწჯა ფილმი. ასევე ფერმა დააკარგვინა ფილმს ფერი. შავ-თეთრში იყო გენიალური. მე თუ ფერს ვიყენებ, მხოლოდ მიმართულებისთვის, იდეისთვის. ნახატში უფრო სრულყოფილად ვახერხებ იმის გადატანას, რაც მინდა, რადგან ფილმში 70 კაცია, 70 აზრია და ხშირად ეს არ ხერხდება.

**- და ერთადერთი იდეალური მდგომარეობაა: ქალაქი, ფანქარი და თქვენ?..**


- რა თქმა უნდა. გალაკტიონი იყო უბედნიერესი ადამიანი, იჯდა, წერდა, მხარზე კიდევ, ეჯდა ვიღაც და კარნახობდა...

**- რამდენი "ვიხეტიალთ" და თქვენს არჩევულებრივ იუმორზე არაფერი ვთქვით.**

- მარტო ერთ მოკლე ანეკდოტს გეტყვით: მიქელანჯელო იმიოდა სვანთან და ... სვანმა მოკლა მიქელანჯელო. არაა გენიალური?!



**P.S. "ახლანან ვნახე რეზო ესაძის ფილმი "ნელიონის ნაძვის ხე". ჩემი აზრით, ეს ნამდვილი შედეგია. ქართული კინო სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა, კოლორიტული, ფილოსოფიური და ნათელი, ძალიან ბრძნული, ბავშვური. აქ ყველაფერია იმისათვის, რომ თვალზე ცრემლი მოგადგვს. ეს კი, უნდა ითქვას, არც ისე იოლია."**



საქ. პალატის ფოტოგრაფი

# (ირაციონალური) ლექსები



## რეზონანსი

დამთავრდება ეს და მეც... (რატომ)? ამაზე ვფიქრობ, დღეს... ავტორი

... ვიხსენებ წისქვილს: (დამშვიდებული მისი ტანი) დამშრალა წყალი, დამწიფებულა სალი კლდე, (ხმელთაღმართი მინა, ინვის ღარი.)

როცა სუფრაზე შემოაქვთ ხონჩა (ვინც გახსნიან), შინაგანი ხმა, - (გულის კანკალით:) ვაი თუ მორჩა და აღარ დარჩეს ისიც, ვინც მორჩანს (და)... ყველაფერი ეს?..

2003

\*\*\*

ჩემი ლექსი, - როგორც ოფოფი აფრინდება და გაქრება კართან.

- შენადნობია უცნობი სევდის...

თუ ვერ მოგართვით მისი კუჭმაჭი შეზავებული პილპილით, მდოგვით, ეს იმიტომ, რომ ის სხვა ლექსია...

მასში ბევრია X, Y Z - ზემოდან, მე არ ვამძიმებ ლექსით ჩემოდანს.

ხან ჩემი ლექსი როგორც ოფოფი აფრინდება და გაქრება კართან.

იქ, ჩაფიქრებით ინტეგრალურით თავბრუდახვევა ხდება ალური... თუკი რამ იყო გადამალული ქართული ლექსის ფარდის წინ, უკან იზოტირული და საკრალური ის ჩემი ლექსის ბნკარედში სუნთქავს...

სიზმრების იქით გადასახედი, მოკრძალებული და არა ყბედი, -

უიმედობის შიგნით იმედი...

ო, ჩემი ლექსი სულ სხვა ლექსია, ჩემს ლექსს ყვავილებს როდი ესვრიან...

2002

## მოულოდნელი წყალდიდობა

ჭრაქის ფარფაზე აგორებულ აზრის ნკანკავს მძიმე არ ესმის, მით უფრო, როცა არ მთავრდება აქვე მყოფი უფოკუსო დასალიერი... უწყლო ზღვაში მცურავი გემით მოვეშურები შენს შესახვედრად... ჩაგივლი გვერდით, მთვარეს დაეკარგავ... ძველმან საბანზე წვიმა წამოვა, მდინარე უცებ ადიდდება, დაუკითხავად შემოვა სახლში. შემომიწვევა სანოლში მძინარს და გალუმპულს გამომაღვიძებს.

\*\*\*

საათის, დროის არენაზე წამების ერთმანეთში შეთამაშება გოგონების მაგონებს ხისკისს... ზვალინდელი დღის არაფერზე და კიდევ სხვაზე...



(ხოლო)

ზიხარ აქეთ... სხვები - იმ მხარეს, შენ აქეთ მარტო (ხოლო)

ისინი იქით, შეკრული მუშტად... თუმც არვინ იყო. შენც არ იყავი... და მაინც, მაინც ესწრაფვოდი რაღაცას, რასაც ვეღარ ფიქრობდი და იჯექ ყუჩად. მაგრამ განა შეიძლება იომენდე დიდხანს, როდესაც სატრფო დაუბანელ თმებს მწარედ იფხანს, როცა სხეულს სასნი სდის მყრალი და ასეთ ყოფას ბოლო არ უჩანს? გასამართლებდნენ. დღე იყო მწარე. გაიძულეზდნენ ყოფილიყავ ჩუმი, უტყვი, როგორც ფურთხი მოსროლილი ასფალტის მხარეს. არავინაა.

(ხოლო) მზე ამოდის და ჩადის...

## პირველი ნაბიჯის მისტერია

გულისაკეცვით დგამს პირველ ნაბიჯს შორეული გზით მიმავალი სათნო სხეული... უსასრულობის იქით... ახლო - იქვე, ცეცხლის ალი ემხოზა პირქვე, სადაც ქვაზე წერია: "ფუჭი დალდა ფუჭი სიმალღით?..." ანგელოზი დაფრენს - (ეული) სერაფიმის გალობის ბნკარით.

## დადრინავდა ეზოში ყვავი

შემოსასვლელთან ვიდექით და უთქვენობას ვნაღვლობდით ყველა. სახლი დუმდა. გამოალეთ უცებ კარები: - შინ ხართ?! მოგაშურეთ. გავიხარეთ, როგორც უნინ მაგრამ, რა მოხდა? - თქვენ უსიტყვოდ შებრუნდით უკან. აღარ დაბრუნდით (არა). სახტად დაფრით, დავიშაღეთ... ვინ ვის ასწრებდა, არავინ უწყის. - უკან რჩებოდა მდინარე... შარა.

2002

\*\*\*

ტკივილი, ჩაკვეთილი - წრეხაზი. ქალაღდის იქით ბოლოები- მის მეორე მხარეს, სადაც შრება ინი... წვეთი კამკამებს სხივით მიამიტით... იქიდან აქეთ გამოდის ნისლი და აფერმკრთალებს... ახლობელ სახეთ... (მაღავს).

2003

\*\*\*

რამდენი იყო. მე არ ვიცი, რამდენი იყო, ორი საათი, ათი თუ ოცი... მუხლის მოკვეთა ამდენი მოცდით რომ ვინმე შენთან მოსულიყო - განცხადებით, რომ მას სჭირდება დამხმარე მუშა, - ჩასმა შუშის ან კიდევ სხვა რამ, არა და არა! და თვალბში ჩაგიქრა შუქი, ზურგი გეტკინა ბალახზე წოლით... (ბალახი მზისგან გადამწვარიყო...) და ჩაგქინდა. დაგვსიზმრა ეული სახლი, უძლური დედა, ბავშვები და ერთგული ცოლი. პატარამ გითხრა: "მშია, მამა..." (თავს ადგა ბოლი), გაგვლეცია და მტკვარმა წავიღო.

2003


\*\*\*

თუ დაიჟანგა ჩემი კლიტე და იგი კარებს ვეღარ გაალებს და სადგომი გამიხდება მიუნვდომელი, სახლს შემოუვული გარემოში, მოვსინჯავ სარკმელს (ვინძლო) გავალო!.. მერე იქიდან ფანჯარა და გავიხარებ რომ უბინაოდ არ დაფრები (სხვა რაღა მინდა?) ... და ვიქნები კმაყოფილი ამით უდავოდ. მაცივარში რომ ვერ ვიპოვო პურის ნატეხიც ღმერთს გეფიცებით, მე კმაყოფილს მიპოვით მაინც გალაღებულს უცნაურის ბედის თამაშით. (რომ უანგიანი გასაღებით თუმც ვერ გავაღე... მაგრამ) და ა.შ... ასეც არ იყო, სარკმელიდან ფანჯარაში (კაცმა რომ თქვას) ხომ შეეძლო გადამძვრალიყო ჩემსავით, ქურდიც? (გუმანით რომ ვერძნო, რაც იყო)... რაკი ღმერთმა შემინყალა ან ვერ გეტყვით კმაყოფილი ახლა ვარ მე რით - ჩაკეტული კარებით თუ ახსნილი სარკმლით, ცარიელი მაცივრით და ობობას ქსელით? თუ ხატის წინ ანთებული სანთლის ნამწვავით?.. (ალბათ იგრძენით) აქ სისხარულს სხვა ფასი აქვს... სხვა თამაშია: ვით ზურგმუქცეულ შეყვარებულს შეყვარებ კარებს, - თუმცა... ჩუმად!.. იქ რა ხდება, ან რა, თარსია? თავი დახტის, თუ, ოთახში ვილაც ხარხარებს?! ვაცეცებ თვალებს... ქრება სანთელი... სიბნელიდან გამოკრთის ხატი.

2003

## რაშის მონოლოგი

მე ვძვო ბალახს, - სისხლად იქცევა ჯიშთან ძარღვში. ძალას ვერ ვმალავ. ონავარ ბავშვის მოუსვენრობით გამიბრის თვალი, არ ვუფრთხი ტალახს, მტვრიან შარას, საშიშ ბილიქს - გამავალს მთაში. ჯიშთან რაშის ვატარებ ლაგამს, ვლრღნი კბილით რკინას, როცა მიფრინავ, მაცილებს ქარი და მთელი ტანი, ყველა კუნთი ისე თრთის მაშინ... გული ღელავს, ჰორიზონტის მიხმობს სიმორე, მზერა ვერ უსწრებს გაფრენილ ტორებს, ვეცილები ონავარ ქარებს, ფილტვები ქშინავს, მინიერი არყოფნის პირას ვისწრაფი მხოლოდ, თავდავინყების სურვილს (ჩემსას) არა აქვს ბოლო.



\*\*\*

თეთრი და შავი, შავი - თეთრი, მზე ამოდის და... მთვარე... ირგვლივ ჩრდილები დაჰქრია მკვეთრი, ვიცი, რაც სიმწარეა.

აქ ტირილია... გლოვა, - ყველა კითხვა თამაშგარეა. (და) გულში... ეჭვის გროვა: - ნუთუ... არ მოვა?

- აღარ იქნება დღე განკითხვის? ან... ბოლო? და ღმერთი არ იტყვის რაა სიმბოლო?

(და) იქნება შავი და თეთრი ფერთა გარემო... იქნება ღმერთი (და) ცოდვა ითარეშებს.

2003

\*\*\*

აურაცხელია გულისწყრომა, - სისაძაგლით დანაშაული მიმიძღვის და ნაკლებ მძაბავს, ღიმილით სავესა ნავს... მივჭუნძულებ - რომელი საათია?

მივეშურები უცხო მხარეს, სხვა მანძილია: იქ ძინავთ ქარებს. სიცრუეა. ღრმა ძილია (და) ჰორიზონტი ჰორიზონტს ჰკარგავს (და) ბილიკები სადაც მიდიან... (და) ისმის კითხვა: - საით? საით?

... არ მინდოდა - უნაყოფო ბალი მეხილა... (წარწერა): გადაგრეხილია წყვილად მთავრეხილად, გვერდს ვერ აუვლით ნისლიან სავალს. (კითხვა): - სად ვარ? გემუდარებით, მითხარით, სად ვარ? (ინფორმაცია): - ვერ მოგახსენებთ... თუ მაინც გსურთ ვინმესთან იყოთ, გირჩევთ თავს ჰკითხოთ, ან წარწერა მიიკვლით გზით იქის მხარეს... იქ ძინავთ ქარებს. ხის ტოტებიდან წვეთები ცვივა. ცივა (და) სიყრუე კანკალებს.

2003

\*\*\*

მანქანა მიჰქრის. ქრებიან თვალწინ უკიდევანო სივრცის მითები. სალონში ვზივარ, მათოვს და მანვიმს... მომენატრები და არ მინდები.

ელისეს მინდვრებს ნისლიანს - უცხო, რასტრელის ქანდაკს და ისაკიას სინატიფე აქეთ მალალი უფრო მაგრამ სხვა და სითბო აკლია...

მაინც იფეთქებს სულში "მოიკა..." ხან სადარბაზო... ლომების ხილით... მომენატრება (თუნდაც), - "Oй, как!?" (და) სინანულის წუთები... მიდის.

სრული იყო თუ... არ დასრულებით? ახალგაზრდული სიმშაგე? - არცკი? შეყვარებული ცივი გულები გადახაზული ფურცელი ფანქრით

იყო და გაქრა ეს ირონია და დაიხურა თეატრის ფარდა. მქონდა (და) თითქოს არც რა მქონია მოჩვენებების, სიზმრების გარდა.

შეთხზული იყო? კვლავ შეთხზა ვიმნემ? გაითამაშა განგებ განგებამ? არც წერტილია... არ ესმის მძიმე... აუხსნელია (ამის გაგება).

2003


\*\*\*

რადგან ცის სიღრმით კიაფობს სევდა, და უდგრომელ სულს ბურანში ახვევს ეს იმიტომ რომ ჩემს სახელს ბედად ჯანყი მოსაედა და სისხლი სახეს...

შარა-გზა იყო გრძელი და მრუდე, ბუდეს არასდროს არ ჰქონდა მჭიდი. ჩემს სიამაყეს საფუძვლად უდევს თავისუფლება, რომელსაც ვვიდი

თავგანწირვაზე, სად დაჰქრის ტყეცა მძებნელი მეცხრე ბალიან ტალღის. სად ოცნებები სიკვდილებს მიაქვთ (როს) საფუძველი არის გადაღლის...

2003



ჩვენ, ათენის მკვიდრნი, არასდროს ვამბობთ, რომ კაცი, რომელიც პოლიტიკაში არ ერევა, არის კაცი, ვინც საკუთარი საქმიანობა დაკავებული. ჩვენ ვამბობთ, რომ ის არის კაცი, რომელსაც აქ არაფერი ესაქმება.

პერიკლე. თუკიდდე. ისტორია".

ჩვ.ნ.ალ. 460-396 წწ










# „არაბა“ - სიკეთის სამსახურში

გამომცემლობა, რომლისთვისაც წამგებიანი ლიტერატურა ფუფუნებაა



E12

ბესიკ ხარანაულის "წიგნი ამბა ბესარიონისა" - გამომცემლობა "არეტეს" პირველი წიგნია

სამს. ბალანაძის ფოტო

ფესტივალი

# პირველი მერსხალი

## თბილისის პირველი საერთაშორისო ნიგნის ბაზრობა

ანა კორძია-სამადავლი

1997 წელი ქართული წიგნის გამოცემის საქმისთვის ძალიან მნიშვნელოვანი გამოდგა: ამ წელს დაიწყო აქტიური მოღვაწეობა ქართველ გამომცემელთა ასოციაციამ, ამ წელს მოიპოვა მან წიგნის საერთაშორისო სტანდარტული ნომერი ISBN, ამ წელს თბილისის პირველი საერთაშორისო წიგნის ბაზრობა გაიმართა. იმას, რაც მაშინ საჯარო ბიბლიოთეკაში ხდებოდა, ჩვენ ამაყად ვუწოდებდით “თბილისის პირველ საერთაშორისო წიგნის ბაზრობას”. ახლა ეს ამბავი ცოტა სასაცილოდ გვეჩვენება, მაგრამ სინამდვილეში ძალიან სერიოზული მოვლენა იყო, რადგან სწორედ ამ ბაზრობით დაიწყო ყველაფერი.

თავიდან დავიწყოთ: ლელა ხომერიკი, განათლებით ისტორიკოსი, თანამედროვე ჩინეთის ისტორიის სპეციალისტი და იმხანად თბილისში ერთ-ერთი საუკეთესო ჩინური ენის მცოდნე, ჟურნალ “ახალი თარგმანების” გამომცემელი იყო. დრო იყო ცუდი, თორემ ამ ჟურნალს, რომელიც მხოლოდ ორჯერ გამოვიდა და რომლის მთავარი რედაქტორიც პაატა ჯავახიშვილი იყო, წუნი ნამდვილად არ დაედებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ის **Иностранная литература**-ს გაქრობის შემდეგ დამშეული ქართველი მკითხველისთვის თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურის მიწოდების პირველი მცდელობა იყო. ისე მოხდა, რომ ჟურნალმა არსებობა შეწყვიტა (იმედი, დროებით), მაგრამ ქ-ნი ხომერიკი წიგნის გამოცემის საქმეში გაიტაცა, და ის აქტიურად ჩაება ქართველ გამომცემელთა ასოციაციის შექმნის, ქართული წიგნებისათვის საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებისა და სხვა საქმეებში, და თავდადებითაც იმუშავა, მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმიდან პირადად მას დიდი ხეირი არ ჰქონია, რასაკვირველია, მომავალში ნორმალური წიგნის ყიდვის პერსპექტივის გარდა.

მათთვის, ვინც წიგნის საქმეს ახლახანს ეზიარნენ, ზემოთჩამოთვლილი ცნებები თითქოს თავისთავად იგულისხმება, არადა, სულ რამდენიმე წლის წინათ ისეთი რამ, როგორც საავტორო უფლებების დაცვა და ჯაჭვი “გამომცემელი – წიგნით მოვაჭრე – ბიბლიოთეკა”, ოცნებების სფეროდ რჩებოდა. მაგრამ სწორედ ლელას ჩინებებს უთქვამთ, რომ “გრძელი გზა პირველი ნაბიჯით იწყება”.

ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი “თბილისის პირველი საერთაშორისო წიგნის ბაზრობა” იყო, რომლისთვისაც ლელა ხომერიკმა “საქართველოს გამომცემლობისა და სტამბების კატალოგი” შე-



ადგინა (აკრიფა და დააკაბადონა კიდევ – **сам танцует, сам поет, сам билеты продает**). შემდეგ კატალოგი ფონდის “ღია საზოგადოება-საქართველოს” ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა და ფრიად საინტერესო ინფორმაციას შეიცავდა.

მასში მითითებული იყო იმხანად საქართველოში არსებული გამომცემლობები, და, რაც უფრო საინტერესოა, ის გამომცემლობებიც, რომლებიც რეალურად არ არსებობდა (ასეთი კატალოგში აღწერულთაგან თექვსმეტი იყო), ასევე ჟურნალები, სტამბები და პოლიგრაფიული საწარმოები. კატალოგი, როგორც საერთაშორისო ბაზრობას შეეფერება, ორენოვანი, ქართულ-ინგლისური და კლასიკური ფორმით შედგენილი იყო: ორგანიზაციის დასახელება, დაარსების წელი, მისამართი, ტელეფონის ნომერი (ელექტრონული ფოსტა და მობილური ტელეფონი იმხანად ჩვენში უცხო ხილი იყო), საკონტაქტო პირები და, რაც ყველაზე საინტერესოა, საგამომცემლო პრიორიტეტები. ამ უკანასკნელ გრაფაში ჩანერილი სიტყვა “მრავალმხრივი” დღეს ძალიან სახალისო ნასაკითხია. ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართულ ბაზრობაში კატალოგში შეყვანილთა მხოლოდ მესამედმა მიიღო მონაწილეობა.

რამდენადაც იმჟამინდელი ქართული წიგნის მდგომარეობა ძალიან სავალალო იყო, იმდენად საინტერესოა ის ფაქტი, რომ კატალოგის ბოლო ფურცელზე გატანილი, თითქოს პრეტენზიული

განაცხადი სავსებით გამართლებული და წინასწარმეტყველურიც კი აღმოჩნდა: “ქართველ გამომცემელთა ასოციაციის მიზანია საქართველოში საგამომცემლო საქმიანობის განვითარება და მისი ინტეგრაცია მსოფლიო საგამომცემლო პროცესში (ფაქტია, რომ გამოუვიდა – ა.კ.ს.). ამისათვის ასოციაცია მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს... საერთაშორისო წიგნის ბაზრობებში ქართველ გამომცემელთა მონაწილეობას (ჩვენებს, მას შემდეგ, დიდი საერთაშორისო ბაზრობა არ გამოუტოვებიათ – ა.კ.ს.) და ანალოგიური ბაზრობების საქართველოში გამართვას (ამ უკანასკნელის მოწმენი 11-დან 14 ივენისამდე ვიქნებით – ა.კ.ს.)”.

1997 წელს წიგნის ბაზრობაში მონაწილეობის გამოცდილება მხოლოდ ოთხ გამომცემელს ჰქონდა. ესენი ირინა აბულაძე (გამომცემლობა “კანდელი”), გიორგი ბაგრატიონი (გამომცემლობა “ნეკერი”), ბაკურ სულაკაური (გამომცემლობა “დიოგენე”) და ოთარ ყარალაშვილი (გამომცემლობა “დიოგენე”) იყვნენ. პირველი სამი 1996 წელს სოროსის ფონდის წყალობით, არც მეტი, არც ნაკლები, ფრანკფურტის საერთაშორისო წიგნის ბაზრობაზე აღმოჩნდა. ოთარ ყარალაშვილიც იქ იყო, ოღონდ არა სოროსის ფონდის დახმარებით, არამედ სრულიად განსხვავებული გზით: ქალბატონ ნაირა გელაშვილის შუამდგომლობითა და შესანიშნავი, ძალიან დიდი და ძალიან მდიდარი შვეიცარული

გამომცემლობა Diogenes-ის მიწვევით.

მართალია, ფრანკფურტამდე ბევრი აკლდა, მაგრამ თბილისის წიგნის ბაზრობა მაინც საერთაშორისო წიგნის ბაზრობა იყო! უცხოელი სტუმრებიც კი გვეწვივნენ – აზერბაიჯანელი გამომცემლები, რომლებმაც ამ საქმისთვის გრანტი “თავიანთი სოროსისგან” მოიპოვეს და ისე ჩამობრძანდნენ. საჯარო ბიბლიოთეკის დარბაზში სტენდები დაიდგა. წიგნები კი ცოტა იყო, მაგრამ მაინც ცვიოდა ხოლმე, ყოველ ნახევარ საათში თითო ბრავანი მაინც ისმოდა – სტენდები ამკარად არ იყო ამ საქმისთვის განკუთვნილი. წიგნები მართლა ძალიან ცოტა იყო, ყველა გამომცემლის და სტამბის მიერ წარმოდგენილი პროდუქცია დღევანდელი საშუალო გაქანების ქართველი გამომცემლის მიერ ერთი წლის განმავლობაში გამოცემულ დასახელებათა რიცხვს ნამდვილად არ აღემატებოდა. სამაგიეროდ, დარბაზში შესანიშნავი სურათის ხილვა შეიძლებოდა: საქართველოს საპატრიარქოს სტენდის მეზობლად “კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოების” ლიტერატურა იყო გამოფენილი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელის წიგნები ყველაზე ფერადოვანი იყო და საუკეთესო პოლიგრაფიული დონითაც გამოირჩეოდა. საპატრიარქოს ხალხმა ერთი კი ამოიკვნესა, იქნებ მთლად გვერდში არ ამოვიყენოთო, მაგრამ რა გაეწყობოდა. თან მაშინ რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებით მშვიდი დრო იყო, სინამდვილის ბოლოქარი დამცავები ჯერ არ დარბოდნენ.

იმხანად გამომცემლებსაც სხვა განწყობა ჰქონდათ, შეუდარებლად უფრო მეგობრული, ვიდრე შემდგომ წლებში. გამომცემელთა ასოციაციაც ერთი იყო, სოროსის ფონდშიც არავინ ჩიოდა, ერთმანეთზეც არ ლაპარაკობდნენ საძაგლობებს. მაშინ ჯერ არ ვიცოდით, რომ დასავლეთში გამოთქმა არსებობს: “რამ გაამდიდრა ეს კაცი, იარაღს ჰყიდის თუ წიგნებს?” მაშინ ჩვენ ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი და უანგაროდ ვემსახურებოდით ჩვენი აზრით ამქვეყნად ყველაზე კეთილშობილურ საქმეს. უანგაროები ვიქნებოდით, აბა, რა! არც წიგნები არსებობდა, არც წიგნის ბაზარი, და არავის არაფერი ჰქონდა გასაყოფი. თავად განსაჯეთ:

სტენდების ფასი ყოველი გამომცემლობისთვის, რომელიც იმხანად უკვე დაარსებული ქართველი გამომცემელთა ასოციაციის წევრი იყო, 6 ლარს შეადგენდა. ყველაზე დიდი თანხა “საქნიგს” უნდა გადაეხადა, რამდენადაც გავისხენეთ, 15 ლარზე იყო საუბარი. ჯიბეგამოხეულ დამოუკიდებელ გამომცემელთა უმრავლესობასთან შედარებით, ეს ძალიან მდიდარი ორგანიზაცია იყო, მაგრამ უნდა მოგახსენ-

ოთ, რომ “საქნიგმა” გადაგვაგდო და არაფერი გადაიხადა.

ბაზრობაზე, როგორც წესი და რიგია, ახალი წიგნების პრეზენტაციებიც გაიმართა, მათ შორის კოტე ყუბანეიშვილის თარგმანების პირველი კრებულიც: “გერმანული ხალხური სიმღერები ქართულ ენაზე თარგმნილი კოტე ყუბანეიშვილის მიერ”. მაშინ ძალიან ვიყოჩაღეთ: კოტეს პატივსაცემად კვარტეტი მობრძანდა და მშვენივრად დაუკრა, კოტემ თარგმანებიც დაძველი, საზოგადოებისთვის უკვე კარგად ცნობილი ლექსებიც წაიკითხა. თარგმანების კრებულთან ერთად ძველი წიგნებიც გაიყიდა, საკმაოდ ბევრი. ცხადია, გაიყიდებოდა, – თითო ლარი ღირდა. უნდა ითქვას, რომ მშვენიერი პრეზენტაცია გამოვიდა, არამარტო თბილისის პირველი წიგნის ბაზრობის, არამედ ნებისმიერი ბაზრობის კვალობაზეც.

გამომცემლობა “დიოგენეს” ყველაზე დიდი სტენდი ჰქონდა და გამომცემული წიგნების რაოდენობითა და ხარისხითაც გამოირჩეოდა: დაახლოებით ათამდე დასახელებისა. სწორედ იმხანად გამოიცა ჯანრი კაშიას “თავისუფლება და ფედერალიზმი”, პრეზენტაციაც გაიმართა და ბაზრობის მასშტაბებს თუ გავისხენებთ, დიდძალი ხალხიც მოგროვდა. ფედერალიზმისა რა გითხრათ, მაგრამ ახალი წიგნისა და ბატონ ჯანრი კაშიას ნახვის ეშხით დარბაზში დიდი გნისა იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი ალექსანდრე კარტოზია ბაზრობას ვერ დაესწრო, იმიტომ, რომ გერმანიაში იმყოფებოდა. “მაღალი ემლონებიდან” მხოლოდ კობა იმედაშვილი გვესტუმრა – ამას ნამდვილად არ დაგუვინწყებთ.

საერთოდ, თბილისის პირველი საერთაშორისო წიგნის ბაზრობა, რამდენიმე ათეული მკითხველის გარდა, თბილისელებმა არაად ჩააგდეს. ალბათ ჩათვალეს, ბავშვები ერთობიანო. საწყენია, მაგრამ რას იზამ. საინფორმაციო უზრუნველყოფა და მსგავსი ფუფუნება, ცხადია, არ გვღირსებია. ერთი სამხიარულო ფაქტი კი მოხდა: ქართულ ფრანგულენოვან გაზეთში, რომელსაც ველარ მივაგენით და სახელწოდება, ჩვენდა სამარცხვინოდ, აღარ გვახსოვს, თბილისის პირველ საერთაშორისო წიგნის ბაზრობას მთელი გვერდი დაეთმო. რა ქარს შემოჰყვა ის კარგი ჟურნალისტი, სამწუხაროდ, არ ვიცით...

სამაგიეროდ, იმავე წელს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე მყოფნი ვაცხადებდით, რომ წელს ჩვენს საკუთარ, თბილისის წიგნის ბაზრობაშიც მივიღეთ მონაწილეობა.

აი, ასე იყო ეს ამბავი. ასე თუ ისე, კარგი იყო. თანაც, პირველი ბაზრობა რომ არა, არც მეხუთე გვეღირსებოდა.

ბიბლიოფილის ანაწარები

ბიბლიონევროზი

დათო ჰაიჭავაძე

ამ რუბრიკის ქვეშ მოქცეული ტექსტი, წესით, უნდა გამოირიცხავდეს წერის ნაცვალსახელით დაწყებას და მკითხველს კამერული ინტონაციისათვის განაწყობდეს, მაგრამ დრონი იცვალენ და შეიცვალენ ბიბლიოფილ-ბიც მასთან ერთად.

არ ვიცი, იყო ბიბლიოფილი, ნიშნავს თუ არა, ნაკითხული გქონდეს შენი წიგნების დიდი ნაწილი მაინც. მე ჩემი წიგნების უმრავლესობა ჯერაც ნასაკითხი მაქვს და არ კვდება იმედი, რომ ნავიკითხავ.

არ მახსოვს, როდის ვიგრძენი, რომ წიგნების ყიდვის ტემპი გაცილებით მაღალი მქონდა, ვიდრე მათი კითხვის. ვიგრძენი და გადავწყვიტე, შეძენა შემენელებინა. მართლაც შევანელე, ოღონდ, ასე ვთქვათ, მიმართულებათა შეკვეცის ხარჯზე: მაგალითად, აღარ ვყიდულობდი წიგნებს ფსიქოლოგიაში, ღვთისმეტყველებაში, ფილოსოფიაში, ეკონომიკაში. მანამდე მეგონა, რომ ჩემი "გაქანება" ამ დისციპლინებსაც გასწვდებოდა. აღარ ვყიდულობდი თანამედროვე რუს ავტორებსაც - საამისოდ ინტერნეტი გაჩნდა. ჩემი ინტერესები დაინურა კლასიკურ ფილოლოგიამდე, მხატვრულ ლიტერატურამდე და უახლეს პოლიტიკურ ლიტერატურამდე.

ოჯახური გადმოცემით, დედაჩემის ბებიას ბრწყინვალე ბიბლიოთეკა ჰქონია. პირველი ქმარი რომ გადაუსახლეს, ჯერ მის სანახავად გაყიდა ერთი ნახევარი, მერე კი, თავის სარჩენად - მეორე. ორი წიგნი შემოგვრჩა, ვითარცა ნაშთი ძველი დიდებისა: მე-19 საუკუნის ბოლოს დასტამბული ენციკლოპედიური ლექსიკონი და პუშკინის თხზულებათა იმავე პერიოდის სრული კრებული ერთ ტომად. მე მაინც არასოდეს მქონია ჭეშმარიტი ბიბლიოფილის ერთი თვისება: ძველი გამოცემების ყადრი ცოტა კი მესმის, მაგრამ სურვილი არ გამჩენია, საგანგებოდ მომეძებნა და შემეძინა რომელიმე მათგანი. ჩემთვის მნიშვნელობა აქვს ტექსტს და არა მისი გამოცემის წელს, ტირაჟს ან სხვა რამ მახასიათებელს, რაც წიგნს იშვიათობად აქცევს. ყველაზე ხშირი წიგნი ჩემს სახლში 162 წლისაა: პოეზიის სახელმძღვანელო კეთილშობილ ქალთა პანსიონის სტუდენტთათვის; კი, ძველია, მაგრამ ბევრი არაფერი. თუმცა, სად მივაგენი, კარგად მახსოვს. 80-90-ანი წლების მიჯნაზე, რომელიმე ზაფხულში, მწერალთა კავშირში მივედი, არ მახსოვს, რისთვის. სტუდენტი ვიყავი. პირველ სართულზე, დაკეტილი ბიბლიოთეკის კართან, უკაცრავად პასუხია და, ტუალეტიდან ხუთიოდ მეტრში რამდენიმე ასეული წიგნი ეყარა. უნესრიგო, ჭუჭყიანი გროვა. რეზო კვერენჩილაძეს შევთავაზე, ამას დავალაგებ და რაც მომეწონება, ჩემთვის დავიტოვებ-მეთქი. დამთანხმდა. სამი დღე გამოსაცვლელი შარვალ-პერანგით, საპნითა და პირსახოცით დავდიოდი მწერალთა კავშირში, სათითაოდ ვარჩევდი და ვალაგებდი ყველა წიგნს. საბოლოოდ, იქაურობა მოვანესრიგე, გზა გავწმინდე, წიგნები დავანყვე, მე კი დამრჩა ბახტინის **დოსტოევსკის პოეტიკის პრობლემები**, პროპის **ჯადოსნური ზღაპრის გმირი**, პროფესორ ბორის ტურაევის **ძველი ეგვიპტის ლიტერატურა**, კრებული **რიტმი, სივრცე და დრო**, დერატანის **ძველი რომის ლიტერატურის ისტორია**, შკლოვსკის **წერილები არა სიყვარულის შესახებ** (პირველი გამოცემა) და ა.შ...

ცხადია, წიგნებს იმხანად მხოლოდ ნაგავში არ ვეძებდი. ასე, 14 წლის ასაკში მეტ-ნაკლებად გაცნობიერებული მქონდა, რომ ფილოლოგობას ვაპირებდი და იმ დროიდან (ოთხმოციანთა დასაწყისი) მშობლებს ფულს სწორედ წიგნებისთვის ვთხოვდი. ძირითადად, ქართველ კრიტიკოსებს ვყიდულობდი. და ვკითხულობდი უკლებლივ ყველას. გიორგი მერკვილაძეც კი მაქვს ნაკითხული. მათი უმრავლესობა ახლა სად მიდევს, აღარც მახსოვს.

სტუდენტობაში, უნდა ვაღიარო, პირველი ორი კურსი ისე გავასრულე, სწავლის დროს მეგობრებთან ერთად რესტორანში არ ვყოფილვარ. თითქმის მთელი სტიპენდია წიგნებში მიმდიოდა. მაშინ შევიძინე ქართული სამეცნიერო-ფილოლოგიური ლიტერატურა, ძველი ქართული ტექსტების მეცნიერული გამოცემები, ჩემი საყვარელი და, ალბათ, ყველაზე დაუნდობლად ნახმარი წიგნი, იოსებ ხანანოვიჩ დგორეცკის "ლათინურ-რუსული ლექსიკონი"...

სტუდენტობა საბჭოთა ჯარმა გამანყვეტინა და ორი წელი მეზობელ სომხეთში გავატარე. იქ შევიძინე და ნავიკითხე მე-19 საუკუნის რუსული კლასიკა დოსტოევსკის გამოკლებით. სადღაც 60-მდე წიგნი ჩამოვიტანე თბი-



ლისში, მათ შორის სახელმძღვანელო, რომელსაც აქ მანამდე ამაოდ ვეძებდი: ტრონსკის "ანტიკური ლიტერატურის ისტორია".

1989 წლიდან თბილისში გაჩნდა წიგნის ბაზარი, რომელსაც ხან შავ ბაზარს ვეძახდით. ყოველი შაბათ-კვირა ჩემთვის არა მარტო უქმე, არამედ პატარა დღესასწაული იყო: დიმა ბენაშვილი, დათო აბულაძე და მე ვერის ბალს ვენვეოდით ხოლმე და არც ერთხელ ხელცარიელი არ წამოვსულვართ. იმ სახეთაგან დღემდე რამდენიმე შემორჩა წიგნით ვაჭრობას. ერთი რუსთაველზე დგას, პოინერთა სასახლესთან, მეორე გამომცემლობასთან, ვერაზე, მესამეს, 90-ანი წლების შუამდე კიევის ქუჩაზე ჰქონდა წიგნებით გატენილი, მგონი, ერთნახევარი კვადრატული მეტრი ფართობი, ახლა კი სახლში ვსტუმრობ ხოლმე.

შავი ბაზარი გამაოგნებელი იყო: ყოველ ჯერზე უამრავი ახალი წიგნი გვხვდებოდა. დიმა და დათო ძირითადად "უჯრაში შენახულ" ლიტერატურაზე იყვნენ მომართულნი: ყიდულობდნენ იმას, რაც საბჭოთა კავშირში და საბჭოთა კავშირზე ადრე ვერ გამოიცა. იმავე პერიოდში სამივე შევეცადეთ გაგვება ურთიერთობები წიგნის მალაზიათა საწყობის გამგებთან. ისინი დიდი ხალისით არ დაგვხვდნენ: თავიანთი ძველი მუშტრები ჰყავდათ და საჩვენო წიგნი თუ რჩებოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ინფლაცია იყო და ძველებს ყველაფრის ყიდვა აღარ შეეძლო. ერთი მაშინდელი წიგნი ახლაც მახსენებს თავს: ოთხტომეული, უინსტონ ჩერჩილი, "მეორე მსოფლიო ომი". ვერ შევწვდი, მერე კი აღარსად შევხვედრივარ.

ახლა ვერაფრით ვიხსენებ, საიდან მიჩნდებოდა წიგნის საყიდელი ფული ბნელ წლებში, როცა დედაჩემი ხანდახან პურს წვავდა ზეთში, რათა ისევე პურისთვის შეგვეტანებინა. მშობლებს ფულს აღარ ვთხოვდი, სამუშაო კი ისეთი მქონდა, ხელფასი ან ჰონორარი გზის ფულს თუ განვდებოდა. ამ დროს ბევრმა იაფად გაყიდა 80-ანი წლების ბოლოს შეძენილი წიგნები, უფრო მეტმა - საერთოდ, ყველანაირი წიგნი. ჩემი სახლის წინ, მეტროს ამოსასვლელზე დღემდე განფენენ ძველ წიგნებს. სხვადასხვა დროს აქ შემიძენია პიერ გრიმალის "ციცერონი", "ძველი რომის კულტურის" ორტომეული, ამას წინათ კი - დომინგო ფაუსტინო სარმიენტოს "ცივილიზაცია და ბარბაროსობა", იგივე "ფაკუნდო", აკა მორჩილაძის "შენი თავგადასავალის" ემხით... 1994 წელს ერთ გაზეთში ვმუშაობდი, ივლისი იდგა, ჯიბეში ასე, ოციოდ ათასი რუსული რუბლი მედო. მე და გივი თარგამაძე პლენანოვზე მივდიოდით. არ ვიცი, რა შემიჩნდა, გვიის რომელიმე გერმანული ლუდით გავუმასპინძლდი, თავად არ დავკლიე და, მგონი, იმ ლუდის ოდენი თანხა, იქვე, ბუკინისტებში, დიდი ხნის ნანატრ წიგნში, **Выдающиеся Портреты Античности**-ში მივეცი. გივიმ ლუდი მოსვა და მშვიდად თქვა: **В этом есть что-то кощунственное...**

ვის არ განუცდია უცაბედი ესთეტიკური მუხტი ქალის დანახვისას, როცა თითქმის უტყუარად გრძნობ, რომ თუ მოინდომებ, თქვენს შორის რაღაც აენწყობა. ეს არ არის უბრალო მონონება, არც ყბადაღებული ერთი ნახვით შეყვარება; ესაა, უბრალოდ, მეყსეული შეგრძნება იმისა, რომ თქვენ, შესაძლოა, ერთმანეთისთვის ხართ შექმნილი. მონონებაზე მეტია, სიყვარულამდე კი - შორი. არ გაიციინოთ: მსგავსი ემოცია მიჩნდება (ბუნებრივია, გაცილებით, გაცილებით ხშირად) წიგნებთან მიმართებით. ინტიმური და ზღვრულად ინტენსიური "მოკლე ჩართვა" გეუბნება, რომ ეს წიგნი შენი უნდა გახდეს. სხვა ვარიანტს არ დაუშვებ. წიგნი უარს ვერ გეტყვის. მის დასაუფლებლად ტაქტიკა, დრო და დიპლომატია არ გჭირდება. მხოლოდ ფული და ილბალი. ბოლო დროს ეს დამემართა თეოდორ მომზენის რომის ისტორიის "დაუნერელ" მეოთხე ტომთან, გრეგორი ნადის "ბერძნულ მითოლოგიასა და პოეტიკასთან", ჰენრი კისინჯერის "დიპლომატიასთან". ილბლად, მე შევხვდი მათ.

ალბათ, ეს არის ბიბლიოფილობა დღეს - ბიბლიონევროზი. კარგად თქვა ერთმა უმცროსმა კაცმა (ის, ყმანვილობის მიუხედავად, ჩემზე ადრე იცნობდა წიგნის საწყობთა გამგებებს), ეს ხალხი ჩვენი ნევროზების ხარჯზე ცხოვრობსო; "ეს ხალხი" - ანუ ვისაც ვუმაღლით ჩვენი ბიბლიოთეკების საგრძნობ ნაწილს. მხოლოდ აღწერებით ვიცი, რას განიცდიან დონ-ჟუანები. ქართულ ლიტერატურაში ეს ვნება მიხეილ ჯავახიშვილის "ცხრა ქალწულის" პერსონაჟს აქვს. თუ გეგულება წიგნი, რომელიც არ გაგაჩნია, ის არ მოგასვენებს. სჯობს, არ იცოდე მისი არსებობა, ვიდრე გაკლდეს ის. სწორედ ამიტომ, შეიძლება დაგავიწყდეს, რა გაქვს, მაგრამ ყოველთვის იცი, რას არ ფლობ. ფლობა შევბაა, სულის მოთქმა, კმაყოფილება.

და არცთუ იშვიათად, კმაყოფილებით, ცოტა სიამაყითაც რომ უყურებ თაროებს იქ გამომწვევეული წიგნებით, ნამდვილად იცი, რომ ბევრს, უბრალოდ, არ ნავიკითხავ. გიჩნდება უპასუხო კითხვაც: რაც მინდა, იმას როდისლა ნავიკითხავ? მოწყენა, რეზინაცია ასეთი კითხვისა და მზერის თანმხლებია. სამაგიეროდ, წიგნს, ძველ ნაცნობსაც კი, ხან ძალიან მოულოდნელად შეუძლია, თავი შემოგთავაზოს და ნაგაკითხოს. აი, იმ "მოკლე ჩართვას", უნებლიე იმპულსს ზოგჯერ აღძრავს წიგნი, რომელიც სრულიად უგნებოდ შეიძინე. კიდევ ერთი თვისება აქვთ წიგნებს - გულს იშვიათად გწყვეტენ: თუ ჩერჩილის იმ ოთხტომეულს არ ჩავთვლით, თითქმის ყველა წიგნს, შეძენა რომ მსურდა და ვერ შევძელი, მოგვიანებით გადავანყედი; ასე შევხვდი შარშან მაისტერ ეკჰარტს, პირველად 1991 წლის შემდეგ (მახსოვს, მაშინ 135 მანეთი ღირდა, ახლა - 2 ლარი), ყველაზე სახალისო კი იმავე დგორეცკის ორტომეულის, "ძველბერძნულ-რუსული ლექსიკონის" ისტორიაა: ეს წიგნი სულ, განუწყვეტლივ მსურდა და ვერასოდეს ვყიდულობდი - ხან არ ჩანდა, ხან ფული არ მქონდა. საბოლოოდ მეუღლემ მოიყოლა მზითვეში... მე ვიცი, რომ წიგნებთან გამოუთქმელი, საიდუმლო, ჩემთვისვე ბოლომდე გაუგებარი კავშირები მაქვს: ჩვენ ერთმანეთს ვერ ვკარგავთ. ამიტომაც, სოსო გრიშაშვილისგან განსხვავებით, შემიძლია და მიყვარს წიგნის თხოვება ახლობლებისთვის. თან, გია ჭუმბურიძის ბერჯესისა არ იყოს, გრძნობათა კომპენსაციის ამბავია: მე თუ ვერ ვკითხულობ, დე, ჩემი წყალობით, სხვებმა ნავიკითხონ...

# გაზეთში თავის ახვევან, წიბნი ბიბლიოთეკაში რჩება

თამარ ბაბუაძე



FARRAR, STRAUS AND GIROUX

დედა გუგენჰაიმი ჰყავდა, მამა – სტრაუსი, დღესაც ძალზე ცნობილი სავაჭრო ქსელის Macy's-ის მფლობელი და ისტორიული გვარის წარმომადგენელი. იყო კიდევ ერთი მიზეზი თავმოწონებისთვის: მის დიდ ბებიას, იდას მეუღლე ისე უყვარდა, რომ გემიდან ნავში არ გადაჯდა და “ტიტანიკზე” ისიდორ სტრაუსთან ერთად დაიღუპა. მერე დადგა დრო, როდესაც წარსულის და ლეგენდადქცეული წინაპრების გარდა, თავმოსაწონებლად საკუთარი მიღწევებიც ბლომად დაუგროვდა – წარმატებული სავაჭრომცემლო სახლი, “ნობელიანტი” მეგობარი მწერლები და ტკბილი მოგონებები... სტამბიდან... ეს სახელოვანი კაცია როჯერ სტრაუს უმცროსი – ერთ-ერთი იმ სამი თევზიდან, რომელიც გამომცემლობა FSG-ის ლოგოს ამშვენებს და თან, ალბათ, ყველაზე დამსახურებული “თევზი”.

FSG-ი, პირველ რიგში, ბიზნესია თავისი ბუღალტერიით, ხარჯთაღრიცხვებით, გადარიცხვებით, კომერციულად წარმატებული და ჩავარდნილი ნაწარმით. თუმცა, კომპანიაში არავის ავიწყდება, რომ პროდუქციას, რომელსაც აწარმოებენ, წიგნი ჰქვია; რომ წიგნი ძალიან სათუთი ცნებაა და მისი მხოლოდ ნაწარმით სახელდება არაფრით შეიძლება.

ეს დაუნერვლი კანონი FSG-ის ახლანდელ ხელმძღვანელობას სისხლში აქვს გამჯდარი, რადგან ასე დანესდა თავიდანვე. 1945 წელს, როდესაც სტრაუსმა და ჯონ ფარარმა საგამომცემლო სახლის საძირკველი გათხარეს, ის ყველაზე გამძლე მასალით – ცნება “მაღალი კლასის ლიტერატურით” ამოავსეს. ასე რომ, მეტყველ და მრავლისმთქმელ სახელწოდებას – “წიგნს” მათ ხელში არც არასდროს ეწერა პროზაულ და მხოლოდ ფინანსური მოგების მომტან ცნებად – “ნაწარმად” ქცევა.

...მართალია, სულ ერთი წინადადების წინ მაღალ მატერიკზე ვსაუბრობდით, მაგრამ სხვა გზა არ არის, შემდეგი წინადადების დასაწერად, მაინც უნდა ვიხმაროთ ერთი პროზაული ტერმინი – ბიზნესი. 1946 წელს ხომ ჯონ ფარარმა და როჯერ სტრაუსმა სწორედ ბიზნესი დაიწყეს, რომელსაც, ვერაფერს გავანყობთ და, წიგნებით ვაჭრობა ერქვა.

ფარარმა ომი მოიარა, ომის ინფორმაციათა ოფისში იმსახურა, შინდაბრუნებულმა კი გამომცემლობა Farrar&Rinehart-



ჯონ ფარარი, როჯერ სტრაუსი და რობერტ ყირო

ზე საბოლოოდ აიყარა გული და ბედად როჯერ სტრაუსს გადაეყარა.

**სტრაუსი**, როგორც უკვე მოგახსენეთ, იმ გვარს ეკუთვნოდა, საუკუნის დასაწყისიდანვე რომ მაღალ საზოგადოებაში ამინდს ჰქმნის. იმ დროისთვის, როდესაც მისი და ფარარის სურვილები ერთმანეთისას დაემთხვა, როჯერს უკვე გამოვლილი ჰქონდა გაზეთში კურიერად სირბილის, სკოლის დიპლომის გარეშე ჰამილტონის კოლეჯში ჩარიცხვის, მისურის უნივერსიტეტში, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სწავლის, ომში საზღვაო ფლოტში მოღვაწეობის პერიოდები. მეტიც, ეს დაახლოებით ის დრო იყო, როდესაც როჯერმა დაასკვნა: “რადგანაც გაზეთებში ბოლოს თევზს ახვევენ, წიგნები კი სამუდამოდ ბიბლიოთეკებში რჩება, მე წიგნების გამომცემლობას უნდა მივხედო”. ეტყობა, არ იცოდა, ან შესაძლოა, დემოკრატი პრეზიდენტის ჰარი ტრუმენის დემოკრატიულ ქვეყანაში მცხოვრებს, უბრალოდ, დავიწყებული ჰქონდა, რომ ყველა წიგნი ბიბლიოთეკაში არ ბინავდება, რომ ხშირად წიგნებს კრძალავენ, წვავენ და ხანდახან კიდევ უფრო დიდ შეურაცხყოფასაც აყენებენ.

ასეა თუ ისე, სტრაუსი საგამომცემლო საქმეში მოვიდა იმ მიზნით, რომ წიგნებზე განხორციელებული ყველანაირი ძალადობა აღეკვეთა. მას საამისოდ ჰქონდა ფული, კონტაქტები და ენთუზიაზმი.

კომპანიის სტარტი მაინც უდიდამო გამოდგა. ეტყობა, მრავალი საამაყო მიზეზის მიუხედავად, სტრაუსი ბუნებით არ იყო თავმოწონე კაცი და ალიზიანებდა ყველაფერი მყვირალა. ალბათ, ამიტომაც არ უცდია ველოსიპედის თავიდან გამოგონება, ამის ნაცვლად იმ ეპოქის მოდურ ტალღას – ომის თემატიკას უპრეტენზიოდ აედევნა და პირველი წიგნი, რაც “ფარარი, სტრაუსი და კომპანიის” სახელით დაბეჭდა, იყო ყოველკვირეული სამხედრო ჟურნალის “იანკის”

მასალების კრებული. 1947 წელს გამოვიდა კარლო ლევის “ქრისტე ებოლიში შეჩერდა”, 1949 წელს ალბერტო მორავიას “რომაელი ქალი”, მაგრამ საქმე მაინც არ გამოსწორებულა. რაც არ უნდა ემტკიცებინათ ერთმანეთისთვის როჯერსა და ჯონს, რომ სუ, ჩუმად, წიგნი პროდუქცია არ არისო, ფაქტი ფაქტად რჩებოდა – წიგნები არ იჭმებოდა, არც დოლარებს ისხამდა, ფინანსური კრიზისი კი სულ უფრო მწვავედებოდა და შექმნილ მდგომარეობას არც ხელმძღვანელების ცვლა შეეღიდა.

ნუ შეახსენებთ FSG-ს, თუ როგორ დაძლია ფინანსური კრიზისი, თანაც, მაინცდამაინც ახლა, როდესაც ის მაღალხარისხიან ლიტერატურასთან ასოცირდება. ნუ შეახსენებთ, რადგან შერცხვება და განითლდება. კომპანიას ხომ ვერც მორავიამ უშველა და ვერც ლევიმ. არამედ უშველა ფიზკულტურის სახელმძღვანელომ.

1950 წელს გეილორდ ჰაუზერმა, ფიტნესის პოპულარულმა მაესტრომ “ფარარი, სტრაუსის და კომპანიის” ნიშნით “იყავი ახალგაზრდა, იცოცხლე დიდხანს” გამოაქვეყნა. იმ წელს 300 ათასი წიგნი გაიყიდა და ფარარი და სტრაუსიც მაშინ პირველად ცდუნდნენ და წიგნს ისე შეხედეს, როგორც დოლარების მომტან პროდუქტს. თუმცა, მორიგ ცდუნებას იმავე წელს “ხარისხიანი” ანდრე ჟიდის გამოჩენამ შეუწყო ხელი. მერე სიტუაცია დაბალანსდა და “არაფიზკულტურულმა” წიგნებმაც დაიწყეს მოგების მოტანა: 1950 წელსვე რაბი ფილიპ ბერნშტეინის “რასწამთ ებრაელებს” ბესტსელერი გახდა – მოგეხსენებათ, თემატიკა ფიგურის დაყენებაზე არანაკლებ აქტუალური იყო.

სხვათა შორის, FSG-ის პროფილის განსაზღვრაზე სტენლი იანგის, ცნობილი მწერლისა და “ნიუ იორკ ტაიმის” ლიტერატურული კრიტიკოსის რედაქტორობამაც იმოქმედა. სწორედ იანგის გვარიდან დაიწყო ის ურიცხვი ცვილებების პროცესი, რაც კომპანიის სა-

თაურში ფარარისა და სტრაუსის მესამე პარტნიორის ადგილმა გადაიტანა.

50-იანი წლებიდანვე შეიქმნა ის იმიჯი, რითაც კომპანია დღემდე ამაყოფს და რაც სტრაუსისა და ფარარის ჯიუტ პრინციპს – კარგი წიგნები ბიბლიოთეკისთვის, ანუ მარადიული სიცოცხლისთვის ინერებაო – უნდა უმაღლოდეს. დაისტამბა მარგერიტ იურსენარის “ადრიანის მოგონებები”. 1953 წელს კი FSG-იმ გამოსცა ფრანსუა მორიაკის “უბიწოების ნიღაბი”. ეს დიდი პატივი იყო გამომცემლებისთვის – ერთი წლით ადრე ხომ მორიაკმა ნობელის ლიტერატურული პრემია მიიღო.

მალევე მოხდა უმნიშვნელოვანესი ცვლილება კომპანიის მენეჯმენტშიც. მესამე ვაკანტური ადგილი ფარარისა და სტრაუსის შემდეგ სამუდამოდ შეივსო – რობერტ ყირო ერთდროულად გახდა გამომცემლობის მთავარი რედაქტორი და ვიცე-პრეზიდენტი (მაგრამ FSG-ის აბრევიატურით წიგნი 1964 წლამდე არ გამოსულა).

თუმცა, მოსვლაცა და მოსვლაც. ყიროს, რომელიც “ქოლამბია რევიუსთვის” ბევრ ცნობილ მწერალს ბეჭდავდა (ამ გამომცემლების უმრავლესობას სწორედ ყიროს შესავალი აქვს დართული, ან ტექსტია ყიროს რედაქტირებული), FSG-ში 17 ავტორი გადაჰყვა – ტომას ელიოტი, ფლენერი ო'კონორი, ჯონ ბერიმენი, ბერნარდ მალაშუდი... ეს იყო საგამომცემლო საქმეში ყველაზე გრანდიოზული “მსვლელობა”, რომელიც რედაქტორის ერთი კომპანიიდან მეორეში გადასვლას მოჰყვა.

მშრალ ფაქტებს რომ გადავხედოთ, ყიროს მოსვლის შემდეგ კომპანიას საქმე “იყო და არა იყო რა-სავით” ნაუვიდა: გამუდმებული წინსვლა, მაღალხარისხიანი გამომცემლობის იმიჯის გამყარება, ახალი საგამომცემლო სახლების შესყიდვა, კიდევ მეტი “ნობელიანტი”, პულიცერის პრიზისა და ნაციონალური წიგნის ჯილდოს მფლობელი ავტორები: სიუზენ სონტაგი, ტომ ვულფი,

ჯომ მაქფი, რობერტ ლოუელი, იოსიფ ბროდსკი, უილიამ გოლდინგი, ნადინ გორდიმერი, კნუტ ჰამსუნი, ჰერმან ჰესე, ხუან რამონ ხიმენესი, ჩესლავ მილოში, სალვატორე კვაზიმოდო, ალექსანდრ სოლჟენიცინი, დერეკ უოლკოტი.

თუმცა, რეალურად, ეს ბენდიერი ზღაპარი მრავალი სევდიანი და მწვავე ეპიზოდითაც იყო სავსე: 1974 წელს გარდაიცვალა ჯონ ფარარი, როჯერ სტრაუსი უფრო მთავარი “თევზი” და თავისი პირვანდელი პრინციპების უფრო ჯიუტი დამცველი გახდა. 1970-იან წლებში განრისხებული სტრაუსი “ამერიკელი გამომცემლების ასოციაციიდანაც” კი წამოვიდა იმიტომ, რომ ორგანიზაცია იცავდა კონგლომერატებს და ჩირად არ ავადებდა ავტორებსა და დამოუკიდებელ გამომცემლებს. მართალია, 1994 წელს FSG-ი გერმანულ კომპანია “ვერლაგსგრუპეს” მიჰყიდა, რომელიც “ჰენრი ჰოლტს” და Saint Martin's Press-საც ფლობს, მაგრამ სტრაუსი კონგლომერატებს და ცნება კომერციას ძველებურად ვერ იტანს. ახლა ეს ლეგენდარული კაცი 80 წელსაა გადაშორებული, მაგრამ მაინც ზიზლით ეჭმუნება ხოლმე სახე იმის წარმოდგენისას, თუ როგორ შეიძლება, იქცეს ჭეშმარიტი შემოქმედება კომერციული ნაგვის მსხვერპლად.

**P.S.** მოკლედ, ბოლომდე მეგონა, რომ სტრაუსმა ფიტნესი იმ “გასანთლებელი” ეპიზოდის შემდეგ სამუდამოდ დაივიწყა და მეც ასე ჭირი იქა, ლხინი აქასავით ვამთავრებდი წერილს, მაგრამ მერე FSG-ს ახალ გამომცემებს გადავხედე და თვალებს არ დაუფჯერე, როდესაც სიუზენ სონტაგის, ჯეიმს მაკმანუსის, პოლ ელის წიგნებს შორის მორიგ ფიტნესს წავაწყდი – ჯინა კოლატას “მაქსიმალურ ფიტნესს”, 2003-ში გამომცემულს!.. თუმცა, აგერ უკვე ხუთი წუთი გავიდა, პირველმა შოკმა გამიარა და მივხვდი: რაც არ უნდა მაღალი დონის იყოს გამომცემლობა, ხანდახან მაინც გააპარებს ხოლმე წიგნს, რომელიც, ძალიან მარტივად, დოლარების მომტანი ნაწარმია და სხვა არაფერი. რა ქნან – მძაფრად კომერციულ გარემოში სხვაგვარად ვერც ისეთი პრინციპული და ჯიუტი მოხუცები გაძლებენ, როგორც როჯერ სტრაუსია. მე კი აღარსდროს მოვტყუვდები. საშვილიშვილოდ შევიმეცნე უკვე, რომ ცოტა სონტაგთან და მის მაღალმატერიულ მსჯელობებთან ერთად, არც ცოტა ფიზკულტურა აწყენს ვინმეს; მით უფრო ამერიკელებს, რომლებიც, სტატისტიკის მიხედვით, თურმე, დღითი დღე სუქდებიან და აღარც ფიტნესი შევლით. ვაიმე...

მხატვრული ლიტერატურა

მეორე გაკვეთილი

ამჯერად ღია ზღვაში



იასა ესაძე

**PEN მართონი - 2002. ლიტერატურული კრებული. თბ., "დიოგენე" 2002.**

რამდენიმე გაკვეთილი კი არა, ერთი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ გვეთქვა - PEN მართონი გაამართლა!

შარშან, 15 თებერვლიდან 25 აპრილამდე პირველად საქართველოში გამომცემლობა "დიოგენე" ჩაატარა უჩვეულო ფორმატის ერთდღიანი ლიტერატურული კონკურსი "PENმართონი" - 2002. საიდან შემოიჭრა ამგვარი ასპარეზობის გამართვის იდეა - არ ვიცი, მაგრამ ვიცი იმ 660 კალამმემართული ადამიანის სურვილი, რომელთაც თავს იდევს ალტერნატიული იდეის ხორცშესხმა და დათანხმდნენ, 12 საათის განმავლობაში შეექმნათ ორიგინალური პროზაული ნაწარმოები; მაგრამ სურვილებისა და შესაძლებლობების ამნონმა და შემფასებელმა ჟიურიმ იმ 660-დან (კიდევ კაი, რომელიცა "ექვსმა" თავი შეიკავა!) ოცდაექვსი ფინალისტი შეარჩია და ბრძოლაც გაიმართა. როგორ გგონიათ, ეს შერჩევა რით ჩამოუვარდებოდა იმ ჰეროიზმს, ჩვენადმდე 490 წელს რომ გამოიჩინეს ელინებმა და დაბა მართონთან სპარსელები უკუაქციეს? მე თუ მკითხავთ, ყოველგვარი მოიარების გარეშე გეტყვით, რომ - არაფრით! ნამეტან ხუმრობამოჭარბებდად თუ ჩამითვლით ამ ნათქვამს, არც იმის თქმას დავიზარებ, რომ "100% KOTTEN"-კლუბის პირობებში, და თანაც გარკვეულ დროით ჩარჩოში, არცთუ ადვილი იყო მხატვრული ფანტაზიის აფრათა აშვება. ეტყობა იმ "ერთი საკლასო ოთახის" ვითარებამაც უკარნახა კონკურსის ორგანიზატორებს, რომ ყოველი ნაწარმოები დაწყებული იყოს ფრაზით: "რამდენიმე გაკვეთილი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა..." აი, ამ სასტარტო სიტყვებით დაიწყო და სცადა - ვინ მწერალმა და ვინ სკრიპტორმა - კონკურენცია გაენია ... რეალობისთვის, რადგან ნებისმიერი ლიტერატურის ამოცანა სწორედ რომ რეალობასთან გაჯიბრებაა. "მწერალ-სკრიპტორობაზე" კი იმიტომ მოგახსენეთ, რომ ყველა კონკურსანტის თხზულება, რასაკვირ-

ველია, ვერ აღმოჩნდა მხატვრულად ღირებული და ამიტომაც არ მოხვდა "დიოგენეს" მიერ გამოცემულ კრებულში, რომელიც შარშანდელ 25 აპრილს გამართულ პრეზენტაციაზე გაიყიდა. კრებული ათი მოთხრობისგან შედგა. ათივე მწერალი მეტ-ნაკლებად ცნობილია, ან, ყოველ შემთხვევაში, დღეს მაინცაა ცნობილი ჩვენი ლიტერატურული სივრცისათვის, მაგრამ აღმოჩენად მაინც გელა ჩქვანავა იქცა. მე პირადად, მანამდე მისი არაფერი ნამეკითხა. ასეც ხდება და საკმაოდ ხშირადაც, ხომ შეიძლება კაცი თხზავდეს და წერდეს თავისთვის და გამოქვეყნებას კი ვერ ბედავდეს. ტრადიციულად, საქართველოში კალმოსან კაცს ისეთი ფუნქცია ეკისრებოდა (ღმერთთან ლაპარაკზე რომ აღარა ვთქვით), რომ, ჩანს, ერთგვარ ტვირთადაც კი აწვა საწერ მაგიდასთან ღამენათევ კაცს და ხალხთან დალაპარაკებას კი ვერ ბედავდა. ამ კონკურსის ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციათაგანი ესეცა მგონია. რომ ვილაცა წაათამამა და ასპარეზზე გამოიყვანა. აკი ვთქვი, პირველმა გაკვეთილმა გაამართლა-მეთქი. ეს რომ ასეა, გელა ჩქვანავა შემდეგომმა მოღვაწეობამაც დაადასტურა, როდესაც მან "არილსა" და "24 საათის" ლიტერატურულ დამატებებში გამოაქვეყნა მოთხრობები: გულწრფელად გითხრათ, გელას პირველი ადგილი კინოთეატრ "ამირანში" გამართულ დაჯილდოების ცერემონიაზე ერთგვარ ხარკად და კონიუნქტურადაც კი მომეჩვენა, რადგან გელა აფხაზეთიდანაა და მივიჩნიე, რომ ეს ერთგვარი შესტი იყო ჟიურის მხრიდან, მაგრამ ვთქვი და ვიმეორებ, რომ ეს მხოლოდ ჩემი შთაბეჭდილება იყო და მეტი არაფერი. დაახლოებით იგივეს ვიტყვი მარინა ელბაქიძეზე... უფრო ზუსტად, იგივეს იმ ნაწილში, რასაც კონკურსმემდგომი შემოქმედებითი წარმატება ჰქვია და ამის ნიმუშად გასული წლის "არილის" მესამე ნომერში გამოქვეყნებულ მოთხრობას დავასახელებ, რომელსაც "გაცვლა" ერქვა და რომელმაც ისეთი გემოვნებიანი კრიტიკოსის ყურადღება დაიმსახურა, როგორც ანდრო ბუაჩიძეა. ანდრომ ისიც კი აღნიშნა, რომ ეს მოთხრობა თავისი მიზანდასახულებით რომანის მასშტაბებს უახლოვდება. მარინამ პირველ გაკვეთილზე მეორე ადგილი დაიმსახურა და დამსახურებულადაც. რაც შეეხება მესამე ადგილს და თამრი ფხაკაძეს, აქ გაცილებით უფრო ნათელი და ნაცნობია ყველაფერი, რადგან თამრიკო ჩემი მეგობარია და მის შემოქმედებასაც კარგა ხანია თვალს ვადევნებ. "ტვორჩესკი ნატურა" როა, მაშინ დავრწმუნდი, როცა ინტენსიურად ხატავდა ერთი პერიოდი. მერე საბავშვო ლექს-მოთხრობები შეუბერა და სრულიად ლოგიკურად მოვიდა შემდგომი წარმატებებიც. როცა ვინმეზე ვამბობ ხოლმე, - მწერალია-მეთქი, პირველ რიგში, იმას ვგულისხმობ, რომ ბევრსა წერს. ამ აზ-

რით თამრიკო ნამდვილად მწერალი. ამ აზრითაც და იმ აზრითაც, რომ არა მხოლოდ პროდუქტიულია, არამედ კარგი მოთხრობელია, დიალოგისთვის, კარგად ეხვევა პერსონაჟის ტყავში - კარგად სწვდება ფსიქიკას, დამაჯერებლად ალაპარაკებს და, საბოლოო ჯამში, კარგად გველაპარაკება და გვიყვება მწერალი. ამიტომ მიხარია, რომ თამრიკომ თავისი ხმა იპოვა და შესაბამისი რეზონანსიც აქვს ჩვენს სალიტერატურო ცხოვრებაში.

შარშანდელმა "PENმართონმა" შესანიშნავი სამუელის გარდა, კიდევ ერთი ფაქტი აღნიშნა თავისი და მწერლის წარმატება და ეს მწერალი იყო ბესო ხვედელიძე, რომელსაც სპეციალური პრიზი გადაეცა. ბესოზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, რადგან მას წელს საბას პრემიაც გადაეცა, რაც უკვე ბევრისმთქმელია და დასტურია მისი მწერლური შესაძლებლობებისა. რამდენადაც ვიცი, თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრებით დაინტერესებული მკითხველი უახლოეს ხანში ბესო ხვედელიძის რომანებსაც იხილავს და მეც იმედს ვიტოვებ, რომ უფრო მეტ-

ის თქმის საშუალება მოგვიანებით მომეცემა.

სიამოვნებით ვისაუბრებდი კრებულში შემავალ სხვა მწერლებზეც, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ჩამოვთვლი მათ გვარებს, რადგან მკითხველი საკმაოდ კარგად იცნობს მათ შემოქმედებას: ბასა ჯანიკაშვილი, ზურაბ ლეჟავა, ბესო სოლომანაშვილი, ზურაბ ლავრელაშვილი, მაკა მიქელაძე და ნინო გუგუშაშვილი... აი, რაც შეეხება ნინო გუგუშაშვილს, მისთვის რამდენიმე გაკვეთილი სრულიად საკმარისი ყოფილა, რომ "ნისლების მატარებელში ჩაჯდომამ" ესწავლა და მიწადა ფუსურგო, რომ თავისი მწერლური უნარები უხვად მოეფინოს ლიტერატურული პრესისათვის.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ეს იყო შარშან; შარშანდელმა პენმატარებელმა უკვე ჩავგვიარა და მე მხოლოდ მისი ბოლო ვაგონის რიტმგანწყვეტილი ხმა შეგახსენეთ...

წელს, წელს რა ვქნათ? მართონულ დისტანციებს (სპორტში ორმოცდახუთამდე კილომეტრი) შეჩვევა სცოდნია და წელსაც ხომ უნდა გავიაროთ?

შარშანდელ მონაწილეთა შთამბეჭდავი რაოდენობა, ალბ-

ათ, ენერგიული "რასკრუტიტაც" იყო გამოწვეული, წელს PEN-ის რეკლამა უფრო მოკრძალებულად გვახსენებს თავს. ამის მიზეზი ისიც უნდა იყოს, რომ "PENმართონი" უკვე ერთი წლისაა, დაბრძენდა, გამოცდილება შეიძინა, თავდაჯერებულობაც იგრძნო, საქმესაც დინჯად მოეკიდა და ყველა ამ ღირსების შესაძენად ერთი გაკვეთილი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა.

მეორე გაკვეთილის მომზადება 2003 წლის 19 მაისიდან 30 მაისამდე მიმდინარეობდა გამოცემლობა "დიოგენეს" ოფისში. პლიუს-მინუს(+/-) სამასი პროზაული ნაწარმოები (ან ნაწარმოების ფრაგმენტი - 5 გვერდამდე) წარადგინეს კონკურსანტებმა პირველ ეტაპზე. მეორე, ძირითადი ეტაპის მონაწილეთა რიცხვი წელს 23-ით განისაზღვრა და ჟიურიმ ფინალისტებს ორი დღით ადრე აცნობა ამის შესახებ. ყველაზე დიდი სიახლე და სიახლისე ის არის, რომ წელს "PENმართონმა" 2003-მა თავისი მხატვრულ-შემოქმედებითი ფანტაზიის აფრები შავ ზღვაზე აუშვა. დღეს და ხვალ, ე.ი. 7 ივნისის დღის თორმეტი საათიდან 8 ივნისის დღის 12 საათამდე კონკურსანტები ფოთის საზღვაო ნავსადგურიდან გასულ გემზე "კაპიტანი ლორთქიფანიძე" შექმნიან ერთ ორიგინალურ პროზაულ ნაწარმოებს. კონკურსანტები იმუშავენ გარკვეულ თემაზე, რომელიც უშუალოდ მართონის დაწყების წინ დასრულდება. შემდეგ - ისევ ჟიური და შეფასების ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი - მწერლის ოსტატობა. მერე უკვე მღვანე ლავრე მოლოდინი 27 ივნისისა, როდესაც კონკურსის დასკვნითი ღონისძიება, ანუ გამარჯვებულთა დაჯილდოება და ათი საუკეთესო საკონკურსო ნაწარმოებისაგან შემდგარი კრებულის პრეზენტაცია გაიმართება. შემდეგ... შემდეგ, ალბათ, პირველი და მეორე კრებულის შედარება და დარწმუნება ან ვერდარწმუნება იმაში, რომ გამოვრება ცოდნის და წინსვლის დედა და საწინდარია; თუ "დარწმუნება", მაშინ უკვე მესამე გაკვეთილის მძაფრი მოლოდინი, რადგან ღმერთი სამობითაა; თუ ვერდარწმუნება, მაშინ, ალბათ, იმის აღნიშვნა რეცენზიაში, რომ "მეორე" ყოველთვის არ ნიშნავს "პირველს" მიმატებულს, რომ ხანდახან პირიქითაც ხდება. შემდეგ... შემდეგ, ალბათ, ის, რომ ლიტერატურული ცხოვრება პლიუს-მინუსებისაგან არ შედგება და რომ მთავარი ლიტერატურული მოძრაობა და ლიტერატურული ბიზნეს-პროექტებია, რასაც წარმატებით გეგმავს და ახორციელებს გამომცემლობა "დიოგენე" და ეს ყველაფერი, საბოლოო ჯამში, ამაღლებს და პრესტიჟს უქმნის ლიტერატურული საქმიანობით დაკავებულ ადამიანებს, რაც, თავის მხრივ, ჩვენს განუხლებელ სოციალურ და კულტურულ ცხოვრებას ელფერს სძენს.

მამ ასე!  
დაველოდოთ გაკვეთილს ზღვაში, ანუ (შემოქმედებით) უსაზღვროებაში!



გემი "კაპიტანი თავართქილაძე" დღეს კონკურსის მონაწილეთს მასპინძლობს

# პროვინციის რუტინა და მერსხლები



ანდრო ბუაჩიძე

**თემურ ჩხეტიანი. ბუდე-ლექსები. რედაქტორი ზვიად რატიანი, მხატვარი დავით ხიდაშელი. "მერანი" 2003 წ.**

თემურ ჩხეტიანის ლექსების ნაკითხვისას ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ მან იცის რა თქვას და როგორ თქვას. ეს კი შინაგანი გამოცდილების, სულიერი წვრთნის და რუდუნების ნაყოფია. თემურ ჩხეტიანი ძალდაუტანებლად ეძებს იმ ტონალობას, რომლითაც ლექსის შეფერილობა უნდა შექმნას. ყოველივე ეს ბუნებრივად ხდება. ამ ბუნებრიობის თავი და თავი კი პოეტის არსებაში ღრმად განფესვილი სათქმელია. ეს მეტაფორა ამ შემთხვევაში ზუსტად გადმოსცემს რეალურ ვითარებას: ნათელი დარდი თუ სევდა, თემურ ჩხეტიანის ლექსებიდან რომ გამოსჭვივის, თითქოს ფესვების მეშვეობით, მართლაც, სიღრმიდან არის ამოტანილი და წვეთონვეთ გამოჟონილი. ლექსების რიტმი და ინტონაცია უჩვეულოდ თანაბარია, ამიტომაც ფიქრობ ერთი და იგივეს: ეს ლექსები შთაგონების უეცარმა აფეთქებამ თუ გაელევებამ კი არ წარმოშვა, არამედ ნელმა წვამ, იდუმალმა და უწყვეტმა პროცესმა.

მეორე, ყველაზე უფრო საგულისხმო ნიშანი თემურ ჩხეტიანის ლექსებისა არის აზრის ნატიფი მოძრაობა. მასთან აზრი, მართლაც, ნატიფია და ამავე დროს შეუმჩნეველი, როგორც ქვიშაზე დარჩენილი ნაკვალევი. ასეც უნდა იყოს ლექსში, მხოლოდ ინტონაციურ სტრუქტურაში ორგანულად ჩანერილი აზრი იქცევა პოეტურ აზრად, სხვა შემთხვევაში ჩვეულებრივი რიტორიკა შეგვრჩება ხელთ. ამ მხრივ საინტერესოა ერთი ასეთი ლექსი: "რაღაც ნაილო გაზაფხულმა / და ბევრი რამ / გააყოლა ხელს ამ ავვისტომ, / მაგრამ მე მაინც, / მაინც მრჩება ფიქრისთვის დრო და / მრჩება რაღაც / - შემოდგომის მონყენისათვის. / ჩემში ჩარჩა შენი გამოხედვა; / ჩემში ჩარჩა შენი ღიმილი; / ჩემში ჩარჩა სითბო შენი პატარა ხელისა... / ჩემში ჩარჩა ეს ყველაფერი, / როგორც მინდვრის ყვავილები / თიხის ლარნაკში. / მე თიხისა ვარ, / მე გამძლე ვარ, / და მე ისევე უხმოდ განვიცდი / ყვავილთა ჭკნობას".

ეს ფიქრი, ეს შემოდგომის მონყენა, პოეტის არსებაში ჩარჩენილი ღიმილები და გამოხედვანი, ეს უხმო განცდა ყვავილთა ჭკნობისა თემურ ჩხეტიანისეულია, ყველაფერს მისი მკაფიო ინდივიდუალობის კვალი ატყ-

ვია. თემურ ჩხეტიანი არ უფროს იმას, რაც მრავალგზის ნახმარია და გაცვეთილი, მოარული და კიდევშემოფლეთილი პოეზიაში; ფრთხილად იღებს ხელში, მტვერს აცლის, ახალ სულს შთაბერავს და აცოცხლებს. თემურ ჩხეტიანს საკუთარი ლირიკული არსების სიღრმიდან დაძრული სათქმელი საამისო ძალას ანიჭებს. ამ სათქმელისავე მემკვიბით კრებულის ავტორი ირიდებს დღევანდელ მწერლობაში დაგროვილ ბალასტს, სტერეოტიპებს, რომლებიც ლიტერატურული ფლირტის და ესთეტიკური უგემოვნობის შედეგია.

პირადად ჩემზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ტოვებს თემურ ჩხეტიანის ის ლექსები და ფრაგმენტები, სადაც კონკრეტულ-ყოფითი და ამავე დროს ლირიკული დინებები ერწყმის ერთმანეთს. ამ ლექსებში ყოველდღიურობის ელფერი ტრიალებს, პროვინციის მონოტონური და მოსაწყენი ცხოვრების მაჯისცემა დაჭერილი: "რამდენი რამე ხდება სხვაგან; / ახალიც და საინტერესოც, / კარგიც და ცუდიც, / საკვირველიც, / ღიმილისმომგვრელიც, / შემზარავი ამბავიც - ხდება!.. / საუკუნე ფინი-

შზე გადის: / სრბოლა, / ხმაური, / ინტრიგები, სკანდალები, სენსაციები... / რამდენი რამ ხდება სხვაგან... / მაგრამ აქ? / აქაც ხომ უნდა ხდებოდეს რამე? / სარკმელთან ვზივარ. / გარეთ ისევე თოვს. / დიახ ისევე თოვს / - გულუხვია წელს თებერვალი. / სარკმელთან ვზივარ / და ვკითხულობ: მავან-მავანი / და ე.რეინიც ბროდსკის შესახებ; / ვკითხულობ "არილს" ჰენდელის ფონზე / (კარგად მუშაობს ჩემი KAN-ZAI), / ვკითხულობ სხვაგან - ინტერვიუს / : ფრანგები ახლა / თურმე დაკარგულ სივრცეს ეძებენ... / გარეთ ისევე თოვს, მახსენდება და ვფიქრობ შენზე / და მსურს გითხრა: ისევე ისა ვარ / - არცთუ კარგად, / არც ისე ცუდად / (მაპატიე, ბევრჯერ ნათქვამს თუ ვიმეორებ)... / გარეთ ისევე თოვს / და ისევე ვფიქრობ, / და სულ ეს არის, რაც აქ ხდება, / რაც ჩემთან ხდება / - სწორედ აქ და არსად სხვაგან!"

ამ ლექსში მთავარი ფრაზა სწორედ ესაა: "აქ და არსად სხვაგან!" გარემოს მონოტონურობას და მოსაწყენობას პოეტის შინაგანი მდგომარეობაც უერთდება და ყველგან ერთნაირი აუზღვრელობა და აუღლევე-

ლობა ისადაგურებს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ სხვაგან როგორი კატაკლიზმებიც არ უნდა მოხდეს, აქ ფოთოლიც კი არ შეირხევა. ეს უდრტვინველობა შემაშფოთებელია და შემზარავი. ეს თითქოს მშფოთვარე საუკუნის ფონია, რომელიც კონტრასტულია და ამქვეყნიურობას მონყევითი. აქ მაცხოვრებელი ადამიანი ეძებს ძალას, ღრმა შინაგანი მოძრაობის უნარს, რათა გაარღვიოს დუმილის წრე და გავიდეს სიცოცხლის წრეში.

პროვინციული პატარა ქალაქის თუ სოფლის სურათები თემურ ჩხეტიანის პოეზიაში თითქოს ფილოსოფიურ, განზოგადებულ ასპექტს იძენს. ეს ის სივრცეა, ანუ ის ადგილსამყოფელი, სადაც გლობალური ქარტეხილები ვერ აღწევენ, მაგრამ სიცოცხლის იდუმალი კანონები ხორციელდება და ამიტომ არ შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს პოეტის დაკვირვებულ თვალს. ამ ნიშნით მეტად მიმზიდველი და საინტერესო ლექსია "ბუდე". ვრცელ ლექსში ვარიაციულად გაშლილმა და მხატვრულად არაერთგზის განხორციელებულმა ე.წ. პროვინციის თემამ კიდევ

ერთხელ შეისხა ხორცი, თუმცა, ამჯერად, ჩემი აზრით, გაცილებით უფრო სრულყოფილად, ვიდრე სხვა დროს. საგანთა და მოვლენათა დეტალურმა დანანევრებამ, ზუსტად მიგნებულმა ინტონაციამ (ამგვარი ინტონაცია სხვა ლექსებშიც იყო, მაგრამ აქ უფრო ძლიერად გამოვლენდა), გამაჭირვალე ფაბულამ, ზომიერმა პროზაულ-თხრობითმა კილომ, რომელმაც საუბრის განწყობილება შექმნა, და საერთოდ, ყველაფერმა ერთად წარმოქმნა ბედნიერი სიმბიოზი და დაბადა ეს შესანიშნავი ლექსი. ამ ლექსში არაჩვეულებრივად ხელშესახებად ირეკლება პოეტის პიროვნება, მისი ზნეობრივი სინათლე და სისუფთავე, სინდფელის ჭარბი ხარისხი და მარტოობა, ურომლისოდაც პოეზია არ იქმნება.

თემურ ჩხეტიანი არასდროს არ ახდენს ზნეობას ე.წ. პოეტურ-მეტაფორულ თხრობაზე, მაგრამ ამ ლექსში მიგნებული მისი მეტაფორები იმდენად ზუსტია, რომ მთელ ლექსს თავისებურ ელფერს ჰყვენს: "უკვე კარგად შეუშბლული ბარტყები - ოთხნი, / პირდაღებულნი ერთი გუნდის მომღერლებივით / და ბუდეზე ჩამოშდარი დიდი მერცხალი, / ძალზე რომ ჰგავდა... ფრაქიან ლოტბარს!.. /".

ოთახის კუთხეში აშენებული მერცხლების ბუდე მოულოდნელად დაინგრა, ბარტყები დაიხოცნენ. უაღრესად მახვილგონივრულია ეს ფრაზებიც: "თურმე ხდება და პატარა ჩიტსაც / შეიძლება თავს დაატყდეს მართლა დიდი უბედურება". ზის ლექსის ლირიკული გმირი ოთახში და მთელი არსებით გრძნობს იმ სიცარიელეს, რომელიც ჩამორღვეული ბუდის ადგილას გაჩნდა: "კედელი ახლა ცარიელია, მხოლოდ ისლა ეტყობა, რომ აქ რაღაც იყო, / რაღაც იყო და აღარ არის". მაგრამ ისევე მოფრინდებიან მერცხლები და ახალ ბუდეს ააშენებენ. პოეტს გაკვირვების გამომხატველი სიტყვები დასცდება: "ღმერთო ჩემო, ნუთუ ახალ ბუდეს იწყებენ!.." და იქვე დასძენს: "მელიმება და ამ ღიმილს ჩაის უკვე გაგრილებულ ბოლო ყლუპს ვაყოლებ".

ამ ლექსში რომ მხოლოდ მერცხლების ამბავი იყოს მოთხრობილი, ცხადია, შიშველ ტრივიალობასთან გვეჭვნივობდა საქმე. მერცხლების "ყოფა" პროვინციის რუტინით თავგაბებრებული და ხელჩაქნეული კაცის ცხოვრებასთან ერთად იძენს აზრს. ეს ლექსი სხვა ლექსებთან ერთად კრავს კრებულს, ავირგვინებს იმ სათქმელს, რომელიც თემურ ჩხეტიანის ერთი შეხედვით მცირე, მაგრამ უაღრესად ტევად კრებულშია ჩატყული.

და კიდევ: ამ ბოლო დროს თემურ ჩხეტიანმა გამოაქვეყნა, დაახლოებით, იგივე მოტივებზე დაწერილი ლექსი "ფოთლების პასიანსი". ვფიქრობ, ეს სრულიად ახალი ეტაპია მხატვრული თვალსაზრისით პოეტის შემოქმედებაში. ლექსი მძაფრი ემოციური მუხტით არის აღბეჭდილი და, ამასთანავე, ოსტატურადაა გათამაშებული ბანქო, ფოთლები, ქარი, ამოვება, რუტინა და ყოველივე ამას თან ერთვის რილკესეული სიტყვები, როგორც პოეტური ციტატი - "ყველანი ვცვივით".



# „მე ის კაცი ვარ, ტრამალები რომ ესიზმრება“



აკაკი ცხადაძე

გიორგი ეკიზაშვილი. ლექსები და თარგმანები. თბ., „სა-ნი“, 2002.

მისი შემოქმედების ნაკლებად ცნობილ მხარეს ორიგინალური პოეტური ტექსტები წარმოგვიდგენს, რომლის სახელწოდებაცაა - „მე ის კაცი ვარ ტრამალები რომ ესიზმრება“. ლექსებისა და თარგმანების კრებული ზაზა ბერიშვილის მიერ გამოიცა 2002 წელს გამომცემლობა „სანში“.

თანამედროვე ქართული ინტელექტუალური პოეზიის ამ ნიმუშებში ძალიან მაღალია გულწრფელობის ხარისხი. თუმცა, ეს მხოლოდ ერთ-ერთი ღირსებაა, რომელიც ყოველმხრივ უკომპლექსო და ღია ხასიათის შედეგად მიიღწევა. გიორგი ეკიზაშვილი პირად ტყვიანობებს და განცდებს იმ სიმშვიდით გვანდის, რომელიც უმაღლესი სურვილის ინვესტიცია, ვიდრე უბრალოდ თანაგრძობას. მარადიული მედიტაციების ტკბილ-მწარე ნიუანსები ფილოსოფიური მრწამსის ჩამოყალიბებას აიოლებს. ფრაზებში ჩნდება განსხვავებული ინტონაციები, განწყობილებანიც ასევე იცვლებიან და შესაფერის სიტყვიერ ხორცშესხმას იძენენ. სიზმრისეული ჩვენებები ცხადში „დუჟმოდგარ“ ბრბოსთან გამკლავებას აიოლებს და ძალას მატებს.

გიორგი ეკიზაშვილის გულწრფელობა მოჩვენებითი არ არის, ამას მისი პოეტური ტექსტები იმდენად აშკარავენ, რომ ავტორის სხვა ღირსებები უნებლიეთ მეორე პლანზე ინაცვლებს: „მე ის კაცი ვარ ვის არაფრის არა აქვს დარდი / მე ის კაცი ვარ ვინც ატარებს ათასის სევდას / მე ის კაცი ვარ ვინც სიზმრებში ხედავს ტრამალებს / რომელსაც უნდა სხვებთან ყოფნა და არის მარტო“.

უდარდელი გარეგნული ფაქტორია, ცოტა უფრო ღრმად ჩახედვისას „ათასთა სევდას“ იოლად შევნიშნავთ და „ჯოგს“ მონყვეტილი მარტოკაცის სადარდელსაც. ადრე გურამ ასათიანი სინტაქსურ მისთვის ჩვეულებრივ მახვილგონივრული პარადოქსულობით წერდა: „თუმცა სინტაქსის მოთხოვნილება ყოვე-

ლთვის როდი წარმოადგენს ზნეობრივი სინამდის შედეგს. ყველაზე გულახდილ აღიარებებს ის ჯარისკაცები წერდნენ სიბერის ჟამს, რომელთაც სიცოცხლე ფარისევლობაში გაატარეს“. არ ვიცი რამდენად შეეფერება ეს დაკვირვება ჩვენი წერილის ობიექტს, მაგრამ მან ყველაზე კარგად უწყის, როგორი მომგებიანია უშუალოდ და გულწრფელობა მხატვრულ შემოქმედებაში.

შესანიშნავია, როცა პიროვნებას არ ეშინია, ბოლომდე შეიცნოს საკუთარი ხასიათი და კიდევ უფრო შესანიშნავია, როცა ამგვარი ქმედების სინტაქსში მკითხველსაც არწმუნებს. როცა გიორგი ეკიზაშვილი საკუთარ ბავშვობაზე, პირველი შთაბეჭდილებების სიძლიერეზე წერს - მყისიერად ინვესტს თანაგრძობას და ნდობას.

ცვალებადაც და დროის მდინარეებს ბევრი მოგონების გაცამტვერება მოჰყვება; ბუნდოვანდება ზღვის სუნი და ბათუმის კონტურებიც; მხოლოდ ზღვასთან გულითად მიახლებული მეზღვაურები არ ავინკდება პოეტს. მხოლოდ მეზღვაურმა „იცის“ ზღვის სტიქია, ზღვაც ცნობს თავის შვილს. თუნდაც „საკუთარი ბავშვობა დამპალი ტოტივით“ მოიკვეთო, პირველი შეცნობისა და აღმოჩენის გამოძახილი სიჭარმაგეშიც ფასეულია.

გვიან, როცა უკვე თავად ხდება „მეზღვაური“, ხოლო ზღვა შენთვის სიტყვის სტიქიონია - სწორედ აქ გამოცდი ბავშვობის შთაბეჭდილების სიმართლეს. გიორგი ეკიზაშვილი ქართული და ფრანგული ენების სტიქიონს ებრძვის. გამუდმებული ცდუნების დაძლევის ცდილობს, რომელიც განსაკუთრებით ქართულს ახასიათებს - ასევე მუდამ ცდილობს მშობლიური ენის „მოჩუქურთმებულობისაკენ“ მიდრეკილებას სძლიოს, „ხმის გაქცევა“ აირიდოს. ამ მხრივ, ორმაგი დატვირთვა აქვს მის მცდელობას - ჯერ საკუთარ ტექსტებში „ბელკანტოსავით“ აღვირი უნდა ამოსდოს ქართულის „მაცდურობას“ და სხვათა ქმნილებებსაც უნდა უპოვოს შესაფერი ენობრივი გარსი.

გიორგი ეკიზაშვილი „ხმის გაქცევას“ უპატიებელ უგემოვნობად, უმნიშვნელოდ მიიჩნევს. ჩახუჭუჭებულ-აღმოსავლური მანერა უცხოა მისთვის. იგი ევროპული ყაიდის შემოქმედი და ამას მისი ცხოვრებისა თუ შემოქმედების სტილიც ადასტურებს.

სისადავით და ირონიით გაჯერებულია ერთი ეპიზოდი, სადაც კაცი და კატა უყურებენ ერთმანეთს. თითოეული თავისთვის ფიქრობს, „ნეტავ რას მიყურებს?“ კაცის განცდები გასაგებია ჩვენთვის, მაგრამ ხომ საინტერესოა, კატა რას ფიქრობს? აი, სწორედ ამას გვამცნობს გიორგი ეკიზაშვილი: „კატას ძალი მიჩვენია“ / ვამბობ მე ჩემთვის / „სულელი“ / ამბობს კატა თავისთვის / მე და კატამ ერთმანეთი შევაფასეთ“.

გიომ აპოლინერისეული სახევი ნიშნების უგულვებლყოფა

ხშირ შემთხვევაში გაზიარებულია. ეს კიდევ ერთი დასტურია ფრანგული პოეზიისადმი ქართული შემოქმედების დამოკიდებულების. ახლა შეიძლება ჰერაკლიტესაც გაუხსნოთ ცნობილი დაკვირვება: „ერთსა და იმავე მდინარეში (ისევე როგორც ყოველივე იგივეში) ორჯერ შეხვალ, მაგრამ ორივეჯერ სხვადასხვა“.

პოეზიაშიც და ცხადშიც კატისგან დაწუნებული „ადამიამუნები“ საბრალონი და მიუსაფარნი არიან. დღისით სიარულს ერიდებიან, რადგან მზის შუქი უღმობლად ამხელს „სინამდვილეს“. სულ სხვაა ღამე, ნიკტის საუფლო: „ღამით კი... / მთვარის შუქი და ვარსკვლავების ციმციმი / აღვიძებს მასს, რაც ადამიანებს ცოტათი მაინც / მაღლა ეზიდება / და რისი წარმოჩენაც დღისით რცხენიათ...“

„მაგარი“ ენობედა ტექსტს, სადაც პედანტური სიზუსტით აღწერილია ერთი ვითომცა მაგარი ტიპის დილის ტუალეტი, ყველა ძვირადღირებული და მშვენიერი ატრიბუტიკით... დასკვნითი ნაწილი აბსოლუტურად განსხვავდება აღწერილი სასიამოვნო პერიპეტეიებისაგან, იგი ერთგვარად ბანალური და ტრაფარეტულიც კია და შინაგანი მესგანვერგაქცევას გვიდასტურებს: „ერთი სიტყვით... ძალიან კარგად ხვდები რა დამპალი ხარ“. „მაგარი“ სინამდვილეში არის „დამპალი“ და ეს „სიღამეზე“ გამოზეურებულია „გაუცხოების მეთოდის“ გამოყენებით.

„მაგარი“ რალაცით „ბუდენბროკების“ ერთ გმირს ჰგავს, გამუდმებით რომ კოხტავდებოდა და ბოლოს ნუშპეში აღესრულა. ძალიან შორეული ასოციაციაა, მაგრამ „მაგარი“ გიორგი ეკიზაშვილმა აშკარად ტალახისათვის გასწირა.

„მე ის კაცი ვარ ტრამალები რომ ესიზმრება“ სადა და მკაფიო ქართულის ნიმუშია, ამ კრებულმა „ცოტა-ცოტა“ ყველაფერი დაიტია, ოჯახის კაცის პედანტური მზრუნველობიდან

მარად მოუწყობელი ხელოვანის იჭვებამდე. გალაღებას სევდა და სინანული ენაცვლება, კმაყოფილებას ეჭვი და ირონია. გიორგი ეკიზაშვილმა შეძლო დისტანცია შეენარჩუნებინა და ერთი წამით უცხო თვალთ შეეხედა საკუთარი პოეტობისათვის. „წერილი საიქიოდან“ ყველაზე სასიამოვნო, თბილი და იუმორით შეფერილი ტექსტია, მკითხველის გულს იგი ალუზიებითაც მოიგებს. სასიამოვნოდ დაგრჩებათ დავით წერეთლის შუადარბელი ვიიონის ანდერძის რიტმის მინიშნებაც და მრავალწერტილში მიმალული გალაკტიონიც: „ჩემო გიორგი, გულით გილოცავ, / დაგინერია, მითხრეს, ლექსები / ერთი თხოვნა მაქვს, არ შემარცხვინო, / სტრიქონებს მე ნუ დამესესხები / მეყოფა, რაც კი ნვალევა ვნახე, / თანამომეტა გამოისობით / გუშინ სამოთხე მოვინახულე / ჩემი გერები ყრიან ასობით. / ბევრი ესტუმრა პოეტთა ნადიმს, / მაგრამ აღარ ჰყავთ ამფიტრიონი, / მოკითხვას გითვლით ლექსების მწერალთ, / პატივისცემით...“

ამ დახვეწილი ირონიის, ჩაქირტილების შემდგომ მხოლოდ ისინი იგრძნობენ თავს არხეინად, ვინც ლექსებს არ წერს. მთელი რეალური და მიღმური სამყარო გამოთიანებულია, აფასებს და აკრიტიკებს ერთიმეორეს. ზოგჯერ სამოთხეს ესტუმრება დიდი პოეტი და თავისი პოეზიის მძარცველებს ასობით შენიშნავს იქ. დღევანდელ შემოქმედთ იქიდანაც აკრთობთ თავიანთი ამქრის დიდი ოსტატები, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, „ლექსის მწერალი ხშირდება“...

უკვე დიდი ხანია, უბრალო მოკვდავებს პროზაიკოსებიც და პოეტებიც გვცდიან. ადგენენ უკვალავ კომბინაციას, რეზუსებით ფუთავენ სიუჟეტებს, გამოაჭიატებენ მინიშნებებს და თავად ტექსტებს მიღმა გვაკვირდებიან (შეიძლება დაგვეწერა: ქირქილებენ ან დაგვეცინიან). ჩვენ ისლა დაგვრჩენია, სერიო-

ზული სახით გამოვთქვით „მიუკერძოებელი“ შეფასებები და იხტიბარი არ გავიტყვოთ, რათა ხმამაღლა არავინ გაიმეოროს მარადქართული საკითხავი კრიტიკაზე, ლიტერატურათმცოდნეობასა და ა.შ.


არსებობენ კითხვები, რომლებიც პასუხებს არ საჭიროებენ. ფილოსოფოსები და მწერლები კითხვებს გვისვამენ, უფრო არხეინი და ყოფიერებას შეგუებული დაუფიქრებლად ატარებენ მათთვის მინიჭებულ დროს და არხეინად მიდიან მარადისობაში. სისხლსავსე ცხოვრების ორომტრიალში „ბედნიერებას“ არ აინტერესებთ: „რა არის სიკვდილი? ზესკენელ-ქვესკენელი? ჯოჯოხეთია თუ სამოთხე? ზოგი ადის და ზოგი ჩადის? ან სად ადინან ან სად ჩადინან ან კი სად არის შუალედი რომლის მაღლა იწყება ზემოთ რომლის დაბლა ამბობენ ქვემოთ“...

გიორგი ეკიზაშვილის პოეზია, ორიგინალურიც და ნათარგმნიც, ჩვენი თანამედროვე მწერლობის მნიშვნელოვანი ნაწილია. მასში მრავალფეროვანი განცდები, მრავალრიცხოვანი პრობლემებია წარმოჩენილი და მდიდარი ბუნების ინდივიდის დაკვირვებებია მოწოდებული. „მე ის კაცი ვარ ტრამალები რომ ესიზმრება“ თანაბრად საინტერესოა როგორც ქართული, ისე ფრანგული პოეზიით დაინტერესებულთათვის, რადგან გვაძლევს გიორგი ეკიზაშვილის შემოქმედების ახალ-ახალი მხარეების გაცნობის საშუალებას. თარგმანებში წარმოდგენილია: არტურ რემბო, გიომ აპოლონერი, ეჟენ გილვიკი, ივ ბონფუა, რემონ კენო, ჟაკ პრევერი, რენე შარი, ანდრე ფრენო, ალენ ბოსკე.

ლექსებისა და თარგმანების კრებული „მე ის კაცი ვარ ტრამალები რომ ესიზმრება“ 2002 წლის წიგნების ბაზრობაზე „სა-უკეთესო პოეტურ კრებულად“ იყო სახელდებული. ჩვენც სწორედ ამგვარი პათოსით წარმოგვიდგინეთ იგი.



# ანდრობინი ბართიანაზისაკენ



მარსიანი

**დიანა ვაჩნაძე. ნატა ანუ ახალი ჟიული. ყდის დიზაინი მართა თაბუკაშვილი. თბ. "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა", 2003.**

დიანა ვაჩნაძის რომანი "ნატა ანუ ახალი ჟიული", გაგრძელებებით რომ იბეჭდებოდა გაზეთ "ალტერნატივაში" და სხვადასხვა კრიტიკოსების რეცენზიებიც ახლდა ბეჭდვის პროცესში, წელს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ ცალკე წიგნად გამოსცა. წიგნი იხსნება შოთა ითაშვილის წინათქმით, სადაც განმარტებულია, თუ რატომ ერთვის წიგნი ბოლოში კრიტიკული ტექსტები ნაირა გელაშვილის, გია ბენიძის, თამარ კოტრიკაძის, ხათუნა ხაბუღიანის, ნუგზარ მუხაშვილის და ლევან ბრეგაძისა; და რატომ არ ერთვის გიორგი გვახარიას ტექსტი (რადიო "თავისუფლების" ეთერში წარმოთქმული), რომელიც თურმე ფიზიკურად ვერ მოიძებნა; საინტერესოა ავტორის (დიანას) მოსაზრება იმის შესახებ, რომ ეს კრიტიკული ტექსტები უკვე რომანის შემადგენელი ნაწილებია, რადგან რომანის თხზვის პროცესში ისინი გავლენას ახდენდნენ ავტორზე. რეცენზენტთაგან ერთი (ხათუნა ხაბუღიანი) უკვე იქცა რომანის პერსონაჟად; შესაძლოა, დანარჩენებსაც, რომანის თანაავტორებად მიჩნეულ რეცენზენტებსაც იგივე ბედი ეწიოთ და მომავალში (თუ რომანი გაგრძელდება, როგორც წინათქმაშია ნაგარაუდები), ეს "თანაავტორებიც" პერსონაჟების ამპლუაში მოგვევლინონ; არაა გამორიცხული, რომ თანაავტორთა თუ პოტენციურ პერსონაჟთა ამ გუნდში ურთიერთდაპირისპირებებმაც კი იჩინოს თავი: მაგალითად, რაკი თქვენი მონა-მორჩილი, წინამდებარე სტატიის ავტორი მოელის, რომ სამომავლოდ რომანის ახალ, შევსებულ-გაზრდილ გამოცემაში მისი სახელიც ("მარსიანი") გაიფლერებს, ანუ წინამდებარე სტატიასაც მიიერთებს რომანი, ალბათ გარდაუვალია ამ აქტთან დაკავშირებული კონფლიქტიც, რაკი მარსიანი და რომანის ერთერთი რეცენზენტი გია ბენიძე ვერ არიან ერთმანეთთან იდეალურ თანხმობაში (უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ სულ-

აც დანასისხლად არიან ერთმანეთთან); ყურადღება მიექცეით, ამ სიტყვების წერისას უთუოდ მოქმედებს მაპროვოცირებელი იმპულსი: იქნებ მომავალში თვით რომანის ავტორსაც, დიანა ვაჩნაძესაც შეექმნას მსგავსი პრობლემა, ვთქვათ, საავტორო უფლება გაუხდეს სადავო, რაკი მადა ჭამაში მოდის და ამდენი თანდართული ტექსტის (რომანის თავში იქნება თუ ბოლოში) ავტორთა, ანუ "თანაავტორთა" შორის, ვინ იცის, ტახტის მაძიებელიც ურევია...

რომანი რომ პოსტმოდერნული ტექნიკითაა დაწერილი (უფრო სწორად, ინერება), უკვე ერთ-ორჯერ აღინიშნა რეცენზიებში. ეს ტექნიკა სულ ახალ-ახალ მეტასტაზებს ავლენს და თუნდაც "დაუკრეფავი გადასვლაზე" არ იტყვის უარს. "თანაავტორთა" შორის ჟან ბოდრიარიც უნდა დავასახელოთ, რაკი მისი ესეი "დევნა ვენეციაში" რომანის ტექსტშია ჩართული; ვფიქრობ ამით არამარტო კიდევ ერთი პოსტმოდერნული სელა, არამედ საერთოდ პოსტმოდერნზე პაროდიაც განხორციელდა; დიანას "ქალური მიმღებლობის" ამბავი რომ ვიცით, ანუ ის, რომ მის ტექსტთან ყოველი შეხება ამ ტექსტში "ჩაფლობას" ნიშნავს, სავარაუდოა, იგი (დიანა) რომანთან მიმართებაში, უდავოდ, უმაღლესი ინსტანცია არც აღმოჩნდეს. "თანაავტორთა" გუნდი წარმოდგენილია როგორც მამრი, ასევე მდედრი სუბიექტებით, მათ შორის გარკვეული ბალანსიც უნდა არსებობდეს, როგორც წიგნის გმირებს - ნატას და ლეოს შორის. სასწორის პინა დროდადრო ერთ რომელიმე მხარეზე შეიძლება გადაიხაროს, მაგრამ მდედრობით და მამრობით ინტენსიტეტა სინთეზირება და ანდროგინიზაციაც მოსალოდნელია.

ყოველივე ამისგან ერთი დასკვნა შეიძლება გამოვიყვანოთ: ავტორის მიერ შერჩეული ფორმა ნაწარმოებისა იმდენად მოქნილი, ელასტიური გამოდგა, რომ, მართლაც, უსასრულო პერსპექტივას ქმნის, გადასწვდეს სრულიად სხვადასხვა განზომილებებსა თუ პლასტებს, პრინციპულად დაუმთავრებელი იყოს და ნებისმიერი სახის "საკვები" მოინელოს, ანუ უაღრესად ჰეტეროგენული მასალისაგან სულ ახალი და ახალი კონფიგურაციები აწარმოოს. ეს არის ერთგვარი რომანი-ლაბირინთი, სადაც ავტორი თავისთავს "ეკარგება" და რაღაც გაგებით "ქრება", რათა ისევ (არაერთგზის) აღმოაჩინოს თავისთავი სულ სხვა განზომილებასა თუ რაკურსში; რომანში "ქვათა მიმოფანტვისა" და "ქვათა შეკრების" სინქრონული პროცესი მიდის, აქ ყოველივე ქუცმაცდება, იშლება და იმავდროულად რაღაც ახალ სტრუქტურაში ერთიანდება; პერსონაჟები თითქოს მრავალგზის "იბადებიან" და "გარდაიცვლებიან", ანუ რომანის გამუდმებით ლავირებადი, წყლის მსგავსად ნებისმიერ "ჭურჭელში" მოქცევის უნარის მქონე ფორმა პერსონაჟებსაც თავის ნებაზე უცვლის სულიერ ჰაბიტუსს (სხვათაშორის, ფიზიკური ჰაბიტუსით არც არიან ეს პერსონაჟები ავტორის მიერ დახატული, თუ

რომანის ეპიგრაფში, ქართულ ხალხურ ლექსში აღწერილ სატრფოს პორტრეტს არ მივიჩნევთ რომანის ქალ-პერსონაჟის გარეგნობაზე ირიბულ მინიშნებად). თუ უკიდურესობამდე მივიყვანთ ამ აზრს, იქნებ რომანის მთავარი პერსონაჟი თვით ეს ფორმაა, "ნატალიე" სუბსტანციით ნაქსოვი ფორმა, ხოლო როცა პერსონაჟებზე ვმსჯელობთ კონკრეტულად, ამით ფორმის ცალკეულ შემადგენელ ინტენსიტეტზე ვაკეთებთ რეფლექსირებას...

რომანის ბოლოს დართულ ერთ რეცენზიაში, რომელსაც გია ბენიძე აწერს ხელს, ლაპარაკია თავისებურ ლიტერატურულ ნევროზზე, რომელიც კრიტიკოსს თავის სტიქიადაც ესახება და ამ პუნქტში ავტორთან სულიერ თანაზიარობაზე მიუთითებს. აქ შეიძლება დავამატოთ, რომ სწორ-

ედ ეს ნევროზული აურა გახლავთ ზემოთ ნახსენები ჰეტეროგენული მასალის ერთ ფორმაში თავმოყრელი იმპულსის წყარო. და, რასაკვირველია, ამ მასალაში, უპირველეს ყოვლისა, ენა იგულისხმება: "ნატა ანუ ახალი ჟიული"-ს ენა სტილური თვალსაზრისით საკმაოდ ჭრელია: ლეოს მეცნიერულ ტერმინოლოგიაზე აქცენტირებული მეტყველება თავისი პალინდრომ-კალამბურებითა და ინტელექტუალური შაცირობით; ნატას მიდრეკილება ძველქართული, ამალღებული სტილისაკენ, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის მინურულია და მეოცის დასაწყისის პრეტენციოზულ, მაღალ-დაბალი სტილის აღმრევ, ბარბარიზმებით (რუსიზმებით) დანაგვიანებული მეტყველებისაკენ ლტოლვასაც მოიცავს და ორივეს პაროდირებადაც წარმო-

გვიდგება: "რეტროს" სტილში წარმოდგენილი ადრეული ჩანანერები შეყვარებულთა სიზმრებისა თუ წერილებისა, სადაც ჯერ კიდევ არ არის შეჭრილი პაროდის შხამიანი ბაცილა და რომანტიკულ-სენტიმენტალურ ნიალსვლებს ყავლი არ გასვლია; შემდეგ "ნიუ-იორკული დლიური" ნატასი და ლეოს მხატვრული ოპუსები, სადაც ხდება "ფორმის პოვნა", ანუ უკანასკნელ დროს ქართულ ახალგაზრდულ პროზაში ფართოდ მოდებული და ხშირ შემთხვევაში თვითმიზნურად ეკლექტური ენისგან, სტილური სიჭრელი-სგან გამიჯვნა; "ნატა, ანუ ახალი ჟიული" ფორმა ამ მოდური ტენდენციის პაროდიადაც შეიძლება მივილოთ, რადგან იგი იმდენად ლალი და მონაფური პედანტურობისაგან თავისუფალია, რომ უდავოდ გულისხმობს გარკვეული "სკოლის" გამოცდილებას და ამ გამოცდილების ფარგლებიდან გასვლას.

ნატას და ლეოს "შორით დაგვა" ჯერაც არ დასრულებულა, მაგრამ რაკი მათი მიმოწერა უკვე ცალკე წიგნად, რომანის სახით დაისტამბა, შეიძლება ვილაპარაკოთ იმაზე, რომ რაღაც ეტაპი უკვე განვლილია, ქალ-ვაჟმა, მათივე თქმით, "ფორმას მიაგნო" და ეს ფორმა **ნაყოფიერი** აღმოჩნდა მათი ურთიერთობის სულ უფრო მზარდი "სპირიტუალიზაციისათვის": სექს-შოპში ნაყიდი ერთი პიკანტური ნივთი ლეოს ფალოსის ქანდაკებად, ძეგლად რომ "აღმართა" ნატამ (ფალოსის ქანდაკება **ნაყოფიერების** სიმბოლოა მითოსურ ცნობიერებაში), ამგვარი პაროდული კულტივირებით მის ფსიქიკაში მოიხსნა ხორციელ ეროტიკაზე ემოციური მიჯაჭვულობის მტანჯველი განცდა და სხვა სივრცეები თუ სიღრმეები წარმოჩნდა; სინტიას სახის შემოყვანით ტექსტი თავისებურ მისტიკურ განზომილებას იძენს: სინტია ნატასთვის ხდება ერთგვარი "სუპერ-ეგო" და მის კვალში ჩადგომით, ჩუმად ფოტოსურათების გადაღებით ნატა თავისთავს უდგება კვალში, საკუთარი შინაგანი არსებისაკენ იღებს გეზს. როგორც ვთქვით, ტექსტში ჩართულია ჟან ბოდრიარის ფილოსოფიური ესეი "დევნა ვენეციაში", რომელშიც ამგვარი "კვალში ჩადგომის" ფსიქოლოგიური მექანიზმია გაანალიზებული. რომანის ბოლოს, ლეოს მიერ შეთხზული ლიტერატურული ოპუსის მიხედვით ნატა არსებითად იდენტიფიცირდება სინტიასთან, რომელიც ჩემს აღქმაში ერთგვარ ეთერულ ანდროგინად წარმოსდგება. ლეო ამგვარ ნატას ქმნის თავისი წარმოსახვით, თან სახელსაც უცვლის ("რიტას" არქმევს), როგორც უკვე საკუთარი თხზულების პერსონაჟს; და ეს ნატა-სინტია-რიტა უკვე ლეოს "ალტერ-ეგო" თუ "სუპერ-ეგო"-ც ხდება, ეს კი ნიშნავს, რომ საკუთარ ფალოსზე მედიტაციით "თვითკასტრირებული" ლეო და იმავ ფალოსის ძეგლად აღმმართველი და ამით ლიბიდოსგან "თავდახსნილი" ნატა ვინძლო სინტია-ანდროგინში გაერთიანდნენ, ერთსულ და ერთხორც იქმნენ ოდესმე...

4.VI. 2003



ფალოსის აღმოჩენისას, ენტი ურთიერთობა, ნაყოფიერების

# მოძრაობა წრეში

გიორგი მირზაშვილი

## მარშრუტი № 48

ანდრო ბუაჩიძე

**გიორგი მირზაშვილი. "მარშრუტი N48". შემდეგნელი და წინათქმის ავტორი ნინო დარბაისელი, რედაქტორი თეიმურაზ დოიაშვილი. თბ., 2003**

პოეტურ სუბსტანციაში პროზაული რეალიების შეტანა თანამედროვე ლიტერატურის განუყოფელი თვისებრივი ნიშანია. პოეტური და პროზაული ელემენტების ეს ალქიმია, განზავების ეს უწყვეტი პროცესი, რა თქმა უნდა, გარკვეულ დოზირებასაც გულისხმობს, მაგრამ ყოველთვის ასე არ ხდება...

გიორგი მირზაშვილი ლექსების კრებულში "მარშრუტი №48" შიშვლად, პოეტურ ასესუარში თითქმის განუზავებლად წარმოაჩენს ყოფითობის ნიშნით აღბეჭდილ, პროზაულ მასალას. ეს ნიგნი ვრცელი რეესტრია იმ ატრიბუტიკისა, რომლითაც ჩვენი ყოველდღიურობა, ჩვენი მზერა, ჩვენი გული და გონებაა სავსე. გიორგი მირზაშვილი თითქოს ერთ ვინრო წრეში ტრიალებს და ეს წრე გატენილია უკვე ნაცნობი ნივთებით, საგნებით, მელოდიებით, სიტყვებით, ადამიანებით. "მარშრუტი" მრავალფეროვანი კოლაჟია, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის ნამსხვრევებისგან შეკონინებული. ეს საკმაოდ ფართო ტილოა, მრავალფეროვანი კომპოზიციაა, რომლის შუაგულშიც ავტორის მჭიდრო და დახშული სივრცით გარშემოწერილი ფსიქიკაა მოქცეული. ამ ფსიქიკას თითქოს ყოველდღიურობის მონოტონური ხმა ბურღავს.

გიორგი მირზაშვილი საგანგებოდ უსვამს ხაზს გაუხმოებულ ჰაერით სავსე წრის სივინროვეს. სივინროვეში მრავალი საგანი ბრუნავს, მაგრამ ისინი წრიულად ბრუნავენ, ე.ი. ჩვენი თვალსაწიერის შიგნით ტრიალებენ და გარკვეული დროითი ინტერვალის შემდეგ ჩვენივე მხედველობის არეში ექცევიან. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ირგვლივ ტოტალური ერთგვაროვნებაა გამეფებული და ჩვენი ფიზიკური და სულიერი ყოფა საზღვრებშია მოქცეული. საზღვრებს მიღმა გასვლა არ ხერხდება. ამ მხატვრულ და მსოფლმხედველობრივ ეფექტზეა აგებული გიორგი მირზაშვილის ლექსების კრებული "მარშრუტი №48".

რას ნიშნავს ყოველივე ეს? ხომ არ ნიშნავს იმას, რომ შინაგანად ჯერ კიდევ არა ვართ თავისუფლები და საბჭოთა სტერეოტიპები აფერხებს ჩვენს წარმოსახვას? ჩემი აზრით, სწორედ ეს თვალსაზრისია უკუფენილი გიორგი მირზაშვილის ლირიკულ ნააზრევში. აქვე ჩნდება ირონიული რაკურსიც.

გიორგი მირზაშვილის ირონია იმ უცნაურმა სიმბიოზმა წარმოშვა, რომელიც პოსტსაბჭოთა "ნამსხვრევებისგან" არის შედგენილი. ქალაქის ფაქტურა, ახალი საგნობრივი სამყარო, ფირნიშები, ქუჩები, სხვაგვარად სტრუქტურირებული სივრცე, მაღაზიები და ჯიხურები, ცხოვრების განახლებული რიტმი და მელოდია, ფერი და სურნელი, სივრცე და სინათლე - ყველაფერი პოეზიის საგნად იქცა, ყველაფერმა ნიგნიერ ქვეყნიერებაში გადაინაცვლა. "ფირნიში" ავტოსკოლა". დები იმხნელები. ჟინჯლავს. ასფალტი. ბაზრობა - ტლაპო. ნახმარი "ფორდი" - ტაქსი - კატაფალკი. "დინამოს" სტადიონი. თურქული პროდუქცია. რიგი საელჩოსთან, რუხი "გოსკინპრომი". მთელი პლენანოვი მყუდრო უბანია. ფოსტამტი. კედლები, ჭიშკრები, თაღები. "სასტუმრო "საქართველო", აფთიაქი "ავერსი", ყველაზე დაბალი ფასები, პრეზერვატივი "სიკო", შემდეგი გაჩერება ლაღიძის წყლებთან, მეტრო "რუსთაველი", ძეგლი რუსთაველის, "მაკდონალდსი". შოთ-დოგი, ხაჭაპური, ღვეზელი სოკოთი, ბორჯომი, სპრაიტი, ფანტა და პეპსი, ოტელი "მერანი", არაყი "გომი", "ნოტები", "სონი", მთავრობის სახლი"... "ჰალსტუხი, ბენდენა, სოდომიტების პარნასი, პედოფილები, ტრანსვესტიტები, ნიმფომანები, კონფორმისტები, ვირთხები ოფისების, ანემიური კავშირები, ჯინის და ტონიკის წრუპვა..."

ეს ნაწყვეტები სხვადასხვა ლექსებიდან არის ამოკრეფილი, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ერთი ლექსის ციტირებას ვახდენდეთ. ასეა მთელ ნიგნიში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მთელი ნიგნი ერთი ვრცელი პოემაა, ერთი სულიერი

თავგადასავლის პერიპეტივებია, საგანთა და მოვლენათა ხედის ერთი რაკურსია. ლექსების თანმიმდევრული წყობა დასრულებულ და გამოკვეთილ მთლიანობას უნდა ქმნიდეს. ამგვარი მთლიანობა ხშირ შემთხვევაში თავისებურ ფაბულას, უხილავ განწყობილებს მიერ ქვედინებებს, გამჭოლ მედიტაციურობას უნდა ითავსებდეს თავის შიგნით. ეს ნიშნები შეიმჩნევა გიორგი მირზაშვილის ნიგნიშიც და ყოველივე ამასთან ერთად ასოციაციური აზროვნებაც იკვეთება.

გიორგი მირზაშვილი მხატვარია და მისი სიტყვიერ-საგნობრივი ანტიურაჟი ხან ნატურმორტებს ქმნის, ხან პეიზაჟებს. მაგრამ არის ფრაგმენტები, სადაც სხვადასხვა სიტყვა თუ საგანი თავის სემანტიკურ ველში სხვადასხვა სიტყვებს და საგნებს იქცევს, იქსელება ასოციაციური ხლართი, რომელიც ზოგჯერ მთელი ლექსის სივრცეს იკავებს. "თონე. რკინიგზა. მტვერი. ქარხანა. ბუფეტი სკოლის, დაფა, მერხები. ზურგჩანთა, ზარი, მასტიკა, ნახერხი, სამელნე, დლიური, შატალო, რვეული, მშობელთა კრება, მშობელთა აქტივი.

სხდომა პარლამენტის. კიტრი, პომიდორი, ქინძი, რეჰანი, ძმარი და ზეთი, სვანური მარილი, ხახვი, ნიორი, სპორტის ამბები, მატრი ფეხბურთის" და ა.შ.

ნიგნის წინასიტყვაობაში (ნ. დარბაისელი) მითითებულია XX საუკუნის 20-იანი და 60-იანი წლების ის ავტორები, რომელთა ნაწერებიც რაღაც ნიშნით ირეკლება გიორგი მირზაშვილის ლექსებში. ყოველგვარი გამოცდილების გაზიარება უმეტესწილად ნაწილობრივ ხდება, კონკრეტული დროის ესთეტიკური მოთხოვნილებების გათვალისწინებით. გიორგი მირზაშვილმაც გამოიყენა საგანთა ჩამონათვალის ის ხერხი, რომელიც 10-იანი და 20-იანი წლების ქართულ პოეზიაში ნამდვილად იყო. 60-იან წლებში შოთა ჩანტლაძემ ამ გამოცდილებაში სკეპსისი და ირონიული შტრიხები შეიტანა. ეს გამოცდილებაც გარკვეულწილად გათვალისწინებულია "მარშრუტის" ავტორის მიერ, მაგრამ გიორგი მირზაშვილის "ნახელავი" მაინც სხვა ნიშნებს ამჟღავნებს. ნიგნის წინასიტყვაობაში გაკრთება სიტყვა "ნეონატურალიზმი". ეს სიტყვა-ცნება, მე მგონი, სხვა

პირობით თუ მიახლოებით სიტყვა-ცნებებს შორის ყველაზე უფრო ზუსტად გამოხატავს "მარშრუტის" მხატვრულ თავისებურებას თუ თავისთავადობას. ავტორი აცოცხლებს ნატურას, მას უშუალოდ ნატურიდან შეაქვს ტექსტში უხეში პროზაული შტრიხები. ამ შტრიხების თანმიმდევრობაში ზოგჯერ ირონია, ღიმილი ან სევდა გამოსჭვივის, უმეტესწილად კი ამავე ტექსტში ნატურის ცივი გულგრილობა ირეკლება.

ყოფით-ცხოვრებისეული რეალიების, პროზაული მასალის შეტანას ქართულ პოეზიაში თანმიმდევრული ხასიათი აქვს. ამგვარი რეალიები უფრო ხელშესახებია, კონკრეტულ-დროით ატმოსფეროს ქმნის ლექსში, აფართოებს პოეტურ თვალსაწიერს.

ვფიქრობ, რომ შედარებით ახალი თაობის პოეტებმა საკმაოდ წარმატებულად მოახერხეს როგორც კონვენციურ, ისე თავისუფალ ლექსში ამ სიახლის დამკვიდრება. უკვე ტენდენციად ქცეული ნოვაციის რეცეპტი არ არსებობს. პროზაული რეალობის განფენა თუ განზავება პოეტურ სუბსტანციაში ინდივიდუალური ხელნერის, ცალკეული მიგნებების, ხშირად თამამი ექსპერიმენტების მეშვეობითაც ხორციელდება. ამავე ზოგადი ხასიათის ტენდენციას არცთუ იშვიათად ავანგარდის ან მოდერნის სახელით ნათლავენ, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს არ არის არსებითი. არსებითია ისე მოხდეს პროზაულ-პოეტური ელემენტების ერთმანეთში აღრევა, რომ პოეზიაში არ დაკარგოს პოეტური სახე და არ იქცეს ჩვეულებრივ პროზად. ერთი რამ გასათვალისწინებელია: პოეზიის სახე მთელი XX საუკუნის მანძილზე იცვლიდა გამომეტყველებას. ვფიქრობ, არ გამოდგამ მთლად სწორი სენტენცია იმის თაობაზე, რომ ოსვენციმის შემდეგ ლექსები აღარ იწერება. ლექსები იწერება, მაგრამ სხვაგვარი. ფაშიზმის და ბოლშევიზმის შემდეგ, ოცდაჩვიდმეტი წლის შემდეგ, საბჭოთა იმპერიის დამხობის შემდეგ კვლავაც იწერება ლექსები, სადაც ამ იმპერიის ნამსხვრევებია აღბეჭდილი. გიორგი მირზაშვილმაც ეს ნამსხვრევები აღბეჭდა თავის პოეტურ შემოქმედებაში.


კრებულის ბოლოს დართული ჩანაწერები თავისებურად აგრძელებს ვრცელ ლექსებს. ისევე ქალაქის პანორამა, ისე თბილისი, ისე ნაცნობი სახეები და ადგილები: "მელიქ-აზარიანცის სახლი - მთელი სამყარო, ქვის ფასადი, ნაცრისფერი, მოყამული, მაგრამ იმედის მომცემი; მაღალჭერიანი ბინები, ბნელი სადარბაზოები, ჰორელიეფები, ერკერები, მტვერი, სიმყარე, სადარბაზოების ფანჯრების ჰაეროვნება, სახურავები, ლურჯი ცა, თეთრი ღრუბლების ნაგლეჯები, წვიმა, მოახლოებული ქუჩა-ქუხილი, მტვრის მძაფრი სუნი, განათებული ცა, ალვების კენწეროები, ელბაქიდის დაღმართი, მოზაიკა კუთხის კედელზე, საპარიკმახერო" და ა.შ. - მარშრუტი №48 თავის წრიულ სვლას აგრძელებს.



ფოტო: მირზაშვილი, ნახაბიძე

თარგმანი

# „გათავისუფლებული“ ადამიანი და იდეოლოგია



ტაო ლეონიძე

ჟან-პოლ სარტრი. ბუზები, ცხრაკლიტული, ეშმაკი და უფალი ღმერთი. მთარგმნელები მზია ბაქრაძე, გიორგი ეკიზაშვილი, მხატვარი თენგიზ მირზაშვილი. თბ. „ჯისიაი“, 2002.

ნიცქეს იდეების განვითარებამ და სინამდვილეში განხორციელებამ ორი ურჩხული - ფაშიზმი და კომუნიზმი შვა. აქ შემთხვევით არ გვიხსენებია ნიცქე და კომუნიზმი. სარტრის იდეოლოგიურ პიესებში თითქმის ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა ნიცქეს იდეების გავლენა. მისი ორესტე, გეცი თუ ჰაინრიხი - ნიცქეს ზეკაცს მოგვაგონებს; ხოლო „ექსისტენციალური ჰუმანიზმი“ - რეალობაში განხორციელებული, სხვა არაფერია თუ არა კომუნიზმი.

წინამდებარე წიგნში წარმოდგენილია ჟან-პოლ სარტრის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი სამი პიესა. ჩემი აზრით, მათგან მესამე - „ეშმაკი და უფალი ღმერთი“ საგრძნობლად ჩამორჩება პირველ ორს - „ბუზები“ და „ცხრაკლიტული“ და ეს მხოლოდ თეატრალური თვალსაზრისით როდი ითქმის. მაგ., პიესა „ეშმაკი და უფალი ღმერთი“ თითქმის მთლიანად სცილდება, ზოგადად, პიესის სათავეებს, გამირები უფერულია და მხოლოდ ამა თუ იმ იდეის ფილოსოფიურ ხორცშესხმას ემსახურებთან, რასაც პირველ ორ ნაწარმოებშიც ვხვდებით, მაგრამ ეს მათში ნაკლებად იგრძნობა.

პიესა „ბუზები“ ორესტეს და ელექტრას მითის სახეცვლილი

ვერსიაა. ესქილეს და სოფოკლეს ტრაგედიებისგან განსხვავებით, მათში, ანტიკურ ქალაქში განვითარებული მოქმედების მიუხედავად, სარტრის თანამედროვე საფრანგეთის პრობლემებია წარმოდგენილი. იგი პირველად ფაშიზმის მიერ ოკუპირებულ საფრანგეთში დაიდგა, როცა ავტორი წინააღმდეგობის აქტიური მონაწილე გახლდათ. ამდენად, პიესა თავიდან ბოლომდე შეესაბამება „ანგაჟირებული ხელოვნების“ სარტრისულ ესთეტიკას და მათი „ღია დასასრული“, გარკვეულწილად, მაყურებლის აქტივობასაც გულისხმობს, სადაც მაყურებელი პიესის ავტორთან ერთად „ქმნის“, ან აზრს ანიჭებს ნაწარმოებს. ამიტომ, რომ ანტიკური თეატრისთვის დამახასიათებელ თანაგანცდას სარტრთან ენაცვლება „თანაზროვნება“. სოციალურად და პოლიტიკურად ანგაჟირებული ხელოვნების საქროება კი მაშინ წარმოიქმნება, როცა საზოგადოება გახრწნილია, მისი წარმომადგენლები, არგოსის მკვიდრთა მსგავსად, შიშსა და სინანულში ცხოვრობენ და საკუთარ ცოდვებს სხვებს აბარებენ, რითაც მათზე პასუხისმგებლობას იხსნიან. ასეთი მდგომარეობის შენარჩუნება ხელსაყრელია, ერთი მხრივ, დაბალი ფენებისთვის, დემოსისთვის, რომელსაც „ავტორიტეტების გარეშე ცხოვრება“ არ შეუძლია და სადაც ეს „ავტორიტეტი“ ხან ღმერთი და ხან - ხელისუფალია; ხოლო მეორე მხრივ, მეფე აგამემნონის მკვლელ და მისი ტახტის დამპყრობელ ეგისტეს მსგავს ხელისუფალსაც აწყობს, რომ ყველაფერი ისე დარჩეს, როგორც არის.

ასეთ შემთხვევაში დამხმარე არის რელიგია - იდეოლოგია, რომელიც არსებულის შენარჩუნებას უწყობს ხელს. სწორედ რელიგიური იდეოლოგიისა და მისი განუყრელი ატრიბუტების - სინანულისა და შიშის მეტაფორაა ბუზები, რომლებიც ასე მრავლადაა სარტრის არგოსში. და, როგორც მოსალოდნელია, არსებული მდგომარეობის შესაცვლელად, სარტრს შემოჰყავს ორესტე, მოკლული მეფე აგამემნონის შვილი, რომელიც შურს იძიებს ჯერ მკვლელ და უზურპატორ ეგისტეზე და მოლაღატე დედაზე, ხოლო შემდეგ წინ აღუდგება

ღვთაებრივ ბედისწერას, რომელიც, როგორც ირკვევა, არ არსებობს, ვინაიდან „ღმერთი მოკვდა“. ღმერთის ავტორიტეტი - მეფის კონსპირაცია აღმოჩნდება, რასაც ეგისტეს და იუპიტერის საუბარი ცხადყოფს: „ორივეს ერთი და იმავე საიდუმლოების გამო გვქენჯნის სინდისი... ღმერთებისა და მეფეების მტკიცენული საიდუმლოება: ის, რომ ადამიანები თავისუფლები არიან“. იქ, სადაც სარტრი რელიგიის ხელისუფალთა მიერ დამკვიდრებაზე საუბრობს (მსგავსი ეპიზოდები უხვადაა ასევე პიესაში „ეშმაკი და უფალი ღმერთი“), მაკიაველის მოსაზრებებს მოგვაგონებს: რელიგია მხოლოდ და მხოლოდ სოციალური წესრიგის შენარჩუნებას ემსახურება. ორესტე, როგორც მემამოხე, ანგრევს არსებულ წესრიგს, როგორც მინიერი, ასევე ზეციური ხელისუფალისა, მაგრამ მამამიესულ ტახტზე უარს ამბობს და „ახალი ცხოვრების“ საძებნელად მიდის, რითაც ერთგვარი ანარქისტული მდგომარეობა იქმნება.

თუმცა, ორესტეს ანარქისტული სულსკვეთება და მხოლოდ საკუთარი ქმედებების წინაშე პასუხისმგებლობა, პიესაში „ეშმაკი და უფალი ღმერთი“ გარდაიქმნება გეცის მისწრაფებაში, რომ საკუთარი ქმედებით პასუხი აგოს კაცობრიობის წინაშე: „თუ ერთ ადამიანს მეორე შესძულდება, ეს საკმარისია, რომ სიძულვილმა მოიცვას მთელი კაცობრიობა“. პიესაში მოქმედება ვითარდება მე-16 საუკუნის რეფორმაციის ხანის გერმანიაში. მთელი პიესა, ფაქტობრივად, დოსტოევსკის ნააზრევის განვრცობა-განვითარებას ემსახურება და ფურცელზე განფენილ აზრებს შორის ადვილად იკითხება „ძმები კარამაზოვებისა“ თუ „ეშმაკულის“ მთელი რიგი ციტატები (დანყებულები მეორეხარისხოვანი გამირის ჩივილიდან - „რატომ მოკვდა ბავშვი“, იმაზე მითითებით დამთავრებული, რომ ადამიანს მშვიდი ცხოვრებისთვის სამი რამე სჭირდება - სასწაული, საიდუმლო და ავტორიტეტი). ამ შემთხვევაში დოს-

ტოევსკის ციტირება უფრო მისი იდეებით გატაცებას ჰგავს, ვინაიდან, ყველაფრის მიუხედავად, მგონი, არცთუ ისე დიდი საერთო უნდა იყოს სარტრისდროინდელ საფრანგეთსა და დოსტოევსკისდროინდელ რუსეთს შორის. პიესაში ერთმანეთთან დაპირისპირებულია რეალისტის და იდეალისტის, ან მოქმედებისა და უმოქმედობის გაგება. რეალისტი არის დიქტატორი და მემამოხე, იდეალისტი კი ის, ვისაც რაიმე იდეა ამოძრავებს. პიესის მთავარი გამირი გეცი (იგივე გეც ფონ ბერლიჰინგენი) გადის წინააღმდეგობებით ალსავე გზას - იდეალისტიდან რეალისტამდე, სანამ არ მიხვდება, რომ ბოროტება, სიკეთე და, აქედან გამომდინარე, წინასწარ მოცემული, უნივერსალური ღირებულებები არ არსებობს და ადამიანი თავისუფალია. აქ, უდავოდ, იგულისხმება სარტრისეული წინამძღვარი, რომ „არსებობა წინ უსწრებს არსს“, ანუ თუ ღმერთი არ არსებობს, მაშინ არც ადამიანური ბუნების განმსაზღვრელი არსი არსებობს. და ამიტომ ჩვენ, ადამიანები „თავისუფლებისთვის ვართ განწირულნი“. თუმცა ეს თავისუფლება - არჩევანის თავისუფლება - სხვების მიმართ პასუხისმგებლობისგან განუყრელია, ან როგორც სარტრი წერდა: „ადამიანი, რომელიც აცნობიერებს, რომ იგი არის არა მხოლოდ ის პიროვნება, რომელიც საკუთარ თავს ირჩევს, არამედ, ამასთანავე, კანონმდებელიცაა, რომელიც კაცობრიობასაც ირჩევს, ვერ გაექცევა სრული პასუხისმგებლობის შეგრძნებას“.

ამგვარ პასუხისმგებლობაზე მინიშნება პიესაში „ცხრაკლიტული“, სადაც მთავარი მოქმედი გამირები - მშიშარა და მოლაღატე ქმარი, შვილის მკვლელი და მეძავე დედა და ლესბოსელი ერთად ხვდებიან ჯოჯოხეთში. „ცხრაკლიტულის“, ან ჯოჯოხეთის შესახებ ტრადიციული წარმოდგენა აქ გაბათილებულია და მოქმედების ადგილი ჩვეულებრივი სასტუმროს მოსაწყენ ყოველდღიურობას მოგვაგონებს. „ცხრაკლიტულში“ ერთგვარი ირონიაა იმაზე, რომ საზოგადოება შედგება ჯალათებისა და მსხვერპლებისგან; ხოლო ადამიანებს სძულთ ერთმანეთი და ამიტომ ჯოჯოხეთში მათი ყველაზე დიდი სასჯელი - ერთმანეთთან ურთიერთობაა. ადამიანები აქ ერთმანეთის საშუალებით ახდენენ თვითიდენტიფიკაციას - „მე ვარსებობ იმდენად, რამდენადაც არსებობს სხვა“.


სარტრი, რომლის ესთეტიკა სოციო-პოლიტიკურ აქტიურობას გულისხმობდა, ახერხებდა, რომ თავისი მემამოხე ხასიათი ცხოვრებაშიც გამოეფინა. ეს დადასტურდა 1964 წელსაც, როცა ნობელის პრემიაზე უარი განაცხადა. თუმცა, სარტრის ჰუმანისტური იდეები შეიძლება განსხვავებული პერსპექტივიდანაც დავინახოთ და მათი მარცხი ვალაიროთ ჩვენ, რომელთაც საკუთარ თავზე გამოვცადეთ კომუნიზმის „თავისუფლება“.



ჟან-პოლ სარტრი და სიმონა დე ბოვეარი ლიტვაში.

ფოტო: ს. სიმონა

# ალბერ კამიუ - ნუ ეძებ ცხოვრების აზრს



ნიკო სინკაძე

**ალბერ კამიუ. გადასახლება და სამეფო. თარგმანი გიორგი ეკიზაშვილისა. გამომცემლობა "სანი". თბილისი 2003.**

კრებული "გადასახლება და სამეფო" პარიზში პირველად 1957 წელს გამოქვეყნდა. იმ წელს, კამიუმ ლიტერატურაში შეტანილი წვლილისათვის ნობელის პრემია მიიღო, სამი წლის შემდეგ კი ავტოკატასტროფაში გარდაიცვალა. "უცხო", "მითი სიზიფოსზე" "კალიგულა", "შავი ქირი", "დაცემა" უკვე დაწერილი იყო, ანუ ყველა ის ტექსტი, რომელიც კამიუმ საკუთარი პროტესტის მიუხედავად, ფილოსოფოსის, მორალისტის, ეგზისტენციალისტის, აბსურდისტის სახელი დაიმკვიდრა, უკვე შექმნილი იყო. კრებულში შესული ნაწარები, თუ შეიძლება ასე ითქვას, შემდეგი ეტაპია: მოთხრობები, რომლებიც ისეთი მძაფრად ცოცხალი აღარ არის, როგორც მისი თუნდაც ზემოთხსენები სამი ნოველა, მაგრამ სამაგიეროდ ყოველი მათგანი ვირტუოზული წერის ტექნიკით გამოირჩევა.

კამიუს მოთხრობებში განსაკუთრებული არაფერი ხდება, თუ იმ საგნებსა და იმ ადამიანებს, რომლებიც მისი ტექსტების სივრცეს ინტენსიურად ავსებენ და ურთიერთქმედებენ, განსაკუთრებულად არ ჩავთვლით. მის მოთხრობებში ხდება ცხოვრება. რას დავარქმევთ ცხოვრებას - რაიმე განსაკუთრებულს თუ ჩვეულებრივ აბსურდს - ეს უკვე რიტორიკული შეკითხვაა. ხოდა, რადგან კამიუ ცხოვრებას წერს, მასთან ორი თემა - აბსურდი და მორალი - ყოველთვის ეჭიდება ერთმანეთს. და, რა თქმა უნდა, არასდროს არც ერთი არ იმარჯვებს. უბრალოდ კამიუს ზოგიერთი გმირი იმის გაცნობიერებით, რომ ცხოვრება აბსურდულია, მაინც მორალური ღირებულებებით ცხოვრობს, მაგრამ ამისთვის არც ჯილდოს იღებს და არც სასჯელს, არც ჯოჯოხეთში ხვდება და არც ცხონდება. კამიუს ნაწარები ერთობ ელიტარული, დახვეწილი და არისტოკრატიულია იმისათვის, რომ რაიმე რეცეპტი გამოგვიჩვენოს ან რაიმენაირი დასკვნის გაკეთების საშუალება მოგვცეს. "შენ არასოდეს იქნები ბედნიერი, თუ დაიწყებ იმის კვლევას რა არის ბედნიერება.

შენ ვერასდროს იცხოვრებ, თუ ცხოვრების აზრს დაუწყებ ძებნას" - აი, კამიუს რეცეპტი.

"გადასახლება და სამეფო"-ში შესული ტექსტების ერთ-ერთი მთავარი თემა მარტოობაა. ჟანიანი და მარსელი ("მოლაღატე ცოლი") დიდი ხნის ცოლ-ქმარი არიან. მათ შვილი არა ჰყავთ. მარსელი ქსოვილებით ვაჭრობს და ომის დასრულების შემდეგ ცოლს ნაჭრების შესაძენად სამოგზაუროდ წაიყვანს. ამ მოგზაურობისას ჟანიანი ქმარს უღალატებს, ოღონდ ასეთი ღალატი მხოლოდ ერთ განზომილებაში - ადამიანის სულში ხდება ხოლმე. ჟანიანისთვის ცხოვრება უაზრობაა. თავის დროზე იმიტომ გათხოვდა, რომ მარტოობაში არ აღმოხდებოდა სული, მაგრამ მაინც მარტოა. იცის, ქმარს სჭირდება, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. ამ სიმარტოვის გამო "შურის საძიებლად" ქალი ქმარს უღალატებს, თუმცა ისე, რომ სხვა კაცს არ მიჰყვება, არც სამუდამოდ, არც დროებით: ჟანიანი მისი და მისი ქმრის საცხოვრებელი სივრცეიდან, მათი სამეფოდან საკუთარ სამეფოში გადასახლდება. სამეფოში, რომელიც პატარა არაბული ქალაქის კედლის გაღვივებდან დაიწყო და სადაც ფიზიკურად ვერასოდეს მივა.

საკუთარ სამეფოში გადასახლდება მხატვარი იონას ("იონა, ანუ ხელოვანი მუშაობისას"). ამ სამეფოს იგი საკუთარი ვინობის კედელზე ხარაჩოთი ააგებს და იქ მრავალი დღე მარტო ყოფნის შემდეგ ერთადერთ ნახატს შექმნის: "ტილო სულ მთლად თეთრი იყო, მხოლოდ შუაში იონას პატარა ასოებით ერთადერთი სიტყვა მიეწერა. გარჩევით კი გაარჩევდი, მაგრამ ზუსტად ამოკითხვა გაგიჭირდებოდა: solitaire (მარტობა-ლა, მარტოსული) თუ solidaire (სოლიდარული, თანამდგომი)". ამ მდგომარეობისაკენ მწერალი პერსონაჟს საოცარი ვირტუოზულობით, თუ შეიძლება ასე ითქვას, პოზიტიურობისა და უარყოფის გზით უბიძგებს. მთელი ტექსტი იონას წარმატებული ცხოვრების გზის აღწერაა. პოზიტიური მოვლენები ერთმანეთს საოცარი სისწრაფით მისდევენ,

მაგრამ ისინი როგორღაც უცებ, მკითხველისათვის თითქმის მოუხელთებლად უარყოფით მოვლენებად გადაიქცევიან - ავტორი თავისივე თეზისებს შეუმჩნევლად, მაგრამ დაბეჯითებით, თანაც საოცარი ოსტატობით უარყოფს ხოლმე. ეს ხდება როგორც მაკრო დონეზე - მოთხრობის დასაწყისში მხატვარს "საკუთარი ბედის ვარსკვლავის სწამს", დასასრულისას კი ეს მნათობი უხმაურად ჩაესვენება - ასევე მიკრო დონეზე - იონას ყველაფერში, ყოველ ფეხის ნაბიჯზე უმართლებს, მაგრამ გზადაგზა, ნელ-ნელა ეს გამართლება დაბრკოლებად ექცევა ხოლმე.

იონას ძალიან გაუმართლა, მშვენიერი, გამრჯე ცოლი შეხვდა, რომელიც ცდილობდა ყველა წვრილმანი თავად მოეგვარებინა, რომ ქმარს ხატვაში ხელი არ შეშლოდა. მაგალითად, როდესაც იონა ხატავდა და ტელეფონი დარეკავდა "სხვა ბავშვით დაკავებული ლუიზა, წამსვე შიშის აიტაცებდა და აქლოში-ნებული მივარდებოდა ტელეფონს, მაგრამ გვიანდა, - იონას უკვე მოესწრო ცალი ხელით (უმცროსი) ბავშვი მკერდზე ყავდა მიხუტებული, მეორეში ფუნჯი და ყურმილი ეკავა და ვილაციან მკვებარულ საუზმეზე მიპატიჟებას იღებდა". წარმატებამ იონას ბევრი მეგობრები გაუჩინა, სტუმრები თითქოს უყვარს კიდევ, მაგრამ ლაპარაკი არ უყვარს. შემდეგ შეგიძლება გამოუჩინდნენ, მათთან ურთიერთობა თითქოს მოსწონს, მაგრამ უცებ ისე ხდება, რომ ისინი აქეთ დაუწყებენ ჭკუის სწავლებას. იონა გამუდმებით ხატავს, გარდა ხატვისა "სხვა ყველაფერი ერთნაირად საინტერესოც და მოსაბეზრებელიც იქნება", მაგრამ ეს საინტერესოც და მოსაბეზრებელიც თანდათან მისი ცხოვრების, ანუ ხატვის პროცესის განუყოფელი, მუდამ თანმდევი ნაწილი ხდება და ბოლოს იონას ვარსკვლავს, მის სამეფოს მთლიანად ისრუტავს. მისი საარსებო სივრცე ნელ-ნელა იწურება და ვინაობდება. დასასრულს იგი ისე პატარავდება, რომ მხოლოდ თეთრ ტილოზე გაურკვეველი ხელით მიწერილ

წარწერად რჩება.

**"ვინც ღმერთს მორალური განსჯისათვის მოიხმობს, ის მას საკუთარ თავში კლავს."** წერს კამიუ თავის ერთ-ერთ რომანში. იგი მორწმუნე ქრისტიანი არასდროს ყოფილა (ამას "რენე-გატის" მიძიმე თავგადასავლის მსუბუქი პაროდიაც ადასტურებს). თუმცა, ეს სულაც არ უშლის მას ხელს იმაში, რომ მაღალი მორალური ღირებულებების ადამიანები მისი მოთხრობების გმირები იყვნენ. შეიძლება მათ მიერ ჩადენილი საქციელი პრაქტიკული შედეგის თვალსაზრისით აბსურდულიც კი იყოს, როგორც ეს სკოლის მასწავლებლის დარიუს შემთხვევაში ხდება ("სტუმარი"), მაგრამ ეს ქმედებები თავისთავადი მორალური ღირებულებაა, რომელსაც სიტუაციის აბსურდულობა სულაც არ აკნინებს. კამიუს გმირები ცხოვრობენ მდუმარედ (თუნდაც "მუნჯებ"-ში) - არ ფიქრობენ იმაზე თუ რა არის ბედნიერება, არ ეძებენ ცხოვრების აზრს, არ სვამენ კითხვებს. უბრალოდ, ხანდახან რეალობასა და მათ მიერ ჩადენილ საქციელს შორის შეუსაბამობა აჩენს ხოლმე რაიმე შეკითხვას. მაგრამ ამ კითხვებზე პირდაპირი პასუხის გაცემა, სხვა თუ არაფერი bon ton ვერ იქნებოდა.

"გადასახლება და სამეფოს" მოთხრობათა გმირები განსაკუთრებული სულიერი ვნებათაღელვითა და დიდი ემოციებით არ გამოირჩევიან. სამაგიეროდ, მათი მიმართებები გარემოსა და ამ გარემოს შემავსებელ საგნებთან საოცრად დამუხტულია. ამ მიმართებების გამო, თუ შეიძლება ასე ითქვას, ტექსტში გარემოს ქსოვილი ძალიან მჭიდროა - სახელი და ზმნა, საგანი და ქმედება განუწყვეტელ ინტენსიურ ურთიერთობაში არიან. ზოგან ეს ინტენსიურობა იმდენად მძაფრია, რომ გარემო მოთხრობის პერსონაჟადაც კი შეიძლება აღიქვას.

ასეთი ტექსტის თარგმან, დამეთანხმებით, ერთობ ძნელია. მაგრამ, ჩემი აზრით, ქართული თარგმანი ამ სირთულეს წარმატებით ძლევს და კამიუს თხრობის დახვეწილ სტილს და მოთხ-

რობათა შინაგან რიტმს კარგად გადმოგვცემს. მკითხველს მხოლოდ ზოგან, ისიც ძალიან იშვიათად თუ შეეშლება ხელი გარემოსა და ადამიანების ურთიერთქმედების ადეკვატურ აღქმაში: მოთხრობაში "მოლაღატე ცოლი" ჟანიანის სულიერ სამყაროზე გავლენას სწორედ ის სივრცე ახდენს, რომელშიც იგი უეცრად მოხვდება. ზემოქმედება ავტობუსშივე, თავშეხვეულ არაბ მამაკაცებთან გვერდით ყოფნით იწყება და შემდეგ ყოველ ახალ ადგილას მოხვედრისას გმირისათვის დადებით ან უარყოფით ემოციების მოგვრით ძლიერდება. არაბი, რომელიც ცოლ-ქმარმა ქალაქის მოედანზე ნახა, შთაბეჭდილებათა ამ ჯაჭვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია: **"მოედნის ბოლოდან მათკენ ვილაც არაბი მოდიოდა. კაცი მაღალი და აღნაგი იყო, ცისფერი მოსასხამი ემოსა და ყვითელი, რბილი წაღები ეცვა. ხელთათმანები ემოსა და მზედაკრულ, არწივისებურ სახეზე ამაყი და გამომწვევი მზერა დასთამაშებდა"**. ამ კაცის მიმართ რამოდენიმე წინადადების შემდეგ ზმნა - მოიზღაზნებოდას (გვ.24) ხმარება ამაყი არაბის აღქმის ეფექტს აშკარად ანელებს. მოთხრობისათვის გადამწყვეტია ჟანიანისა და გალავანს იქით მდებარე სივრცის პირველი შეხვედრა. ცოლ-ქმარს შორის არსებული სულიერი გაუცხოება ამ მომენტში კულმინაციას აღწევს: **"გალავანზე გადახვეტილი ჟანიანი თვალს ვერ ამორებდა მის წინ გადაჭიმულ სიცილიელს. გვერდით მარსელი ფუსფუსებდა. მას სციოდა და ქვევით ჩასვლა უნდოდა"**. (გვ. 26.) მარსელი გალავანზე, ალბათ მოუსვენრად იდგა. მართალია, ფუსფუსი ქართულ ენაში მოუსვენარ მოძრაობას აღნიშნავს, მაგრამ ეს სიტყვა მაინც რაიმე საქმის კეთებასთან, ძირითადად კი ოჯახში მოტრიალედ დასახლისებთან ასოციირდება. გალავანზე მდგომი მარსელი ვერანაირი საქმით ვერ დაკავდებოდა. ჩემი აზრით, მისი მოქმედების გამო-სახატავად ზმნა წრიალი ბევრად უფრო უპრიანი იქნებოდა და სრულიად უადგილოდ სახლში მოფუსფუსე დასახლისებთან ასოციაციებს არ გაგიჩინდა. ნამების საშინელების ოდნავ პაროდირებულ, მაგრამ ამავე დროს საოცრად იმპრესიულად დახატულ სცენას მოთხრობაში "რენეგატი" სიტყვა ვაი-ვიში (გვ.48) ნამდვილად არ უხდება. როცა ასე განამებენ, შეიძლება ღრიალებდე, ყვიროდე, ხაოდე, მაგრამ არა ვაი-ვიშობდე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტში ამგვარი სემანტიკური უზუსტობები მინიმალურია.

**P.S.** დაბოლოს, სიტყვების არე და ფერწანდა ნათესაობით ბრუნვამ არეა და ფერწანდისად მოხსენიება, ალბათ, კორექტურულ უზუსტობას უნდა დავაბრალოთ. გამოტოვებული და შეცდომით დაბეჭდილი ასოები სხვა ადგილებშიც გვხვდება. რას იზამ, სამწუხაროდ, მე ვერ არ შემხვედრია ისეთი ქართული გამომცემლობა, რომლის მიერ გამოცემულ ტექსტებში კორექტურული შეცდომები არ გააპარულიყო.




ალბერ კამიუ



ეკონომიკა

# ბაზარი, როგორც თავისუფლების წყარო



პოტა უტიაშვილი

**მილტონ ფრიდმანი. კაპიტალიზმი და თავისუფლება. ქართულად თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ლევან გველესიანმა. რედაქტორი შავლევა შავერდაშვილი. თბ. "დილის გაზეთი" 2002.**

მილტონ ფრიდმანის წიგნი "კაპიტალიზმი და თავისუფლება" სტენფორდის უნივერსიტეტში მეოცე საუკუნის ათი საუკუნეთსო წიგნის ჩამონათვალში შეიტანა. ამ წიგნმა და მისმა ავტორმა უდიდესი როლი შეასრულეს არა მხოლოდ ეკონომიკის, როგორც მეცნიერების განვითარებაში, არამედ 70-იან წლებში აშშ ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებაშიც.

ფრიდმანის ძირითადი თეზისი მარტივია: რაც შეიძლება მეტი პიროვნული თავისუფლება და სახელმწიფოს მხრიდან რაც შეიძლება ნაკლები ჩარევა. ფრიდმანი აღიარებს, რომ ადამიანი შეიძლება იყოს არასრულყოფილი, და მან შეიძლება დაუშვას შეცდომები, მაგრამ ეს არ არის მისთვის თავისუფლების შეზღუდვის საბაბი, პირიქით. რადგან, ის, ვინც ადამიანს უზღუდავს თავისუფლებას, ანუ მთავრობა, თავად შეიძლება აღმოჩნდეს მცდარი და არასრულყოფილი. ამის უარყოფითი შედეგი კი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე ის, რაც კერძო ადამიანის მიერ დაშვებულმა შეცდომებმა შეიძლება მოიტანოს.

ბაზარი, თავისთავად თავისუფლების წყაროა - თვლის ფრიდმანი, ხოლო მთავრობა - მორჩილებისა. ბაზარი ხელს უწყობს მრავალფეროვნებას, მთავრობა - კონფორმიზმს. ამიტომ, საზოგადოების განვითარებისათვის აუცილებელია, რომ მთავრობის გავლენა მინიმუმამდე შემცირდეს.

თავისუფალ ბაზარს უდიდესი როლი აკისრია პოლიტიკური თავისუფლების მიღწევაში. ისტორიულად, პოლიტიკური თავისუფლების ხარისხი იზრდებოდა მაშინ, როდესაც იზრდებოდა ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლება. თუმცა, არსებობს გამონაკლისებიც.

თავისუფალი საზოგადოება ვერ იარსებებს კაპიტალიზმის გარეშე, თუმცა, მხოლოდ კაპიტალიზმი არ არის საკმარისი თავისუფალი საზოგადოების არსებობისათვის.

რატომ არის კაპიტალიზმი თავისუფლების წყარო?

"სანამ უზრუნველყოფილია გაცვლის რეალური თავისუფლება - წერს ფრიდმანი - ეკონომიკის საბაზრო ორგანიზების უმთავრესი ნიშანი არის ის, რომ იგი თავიდან იცილებს ერთი პიროვნების ჩარევას მეორეს საქმიანობის უმეტეს ნაწილში. მომხმარებელი დაცულია მომწოდებლის ძალადობისაგან სხვა მიმწოდებლის არსებობით, რომელთანაც მას ასევე შეუძლია საქმის დაჭერა. გამყიდველი დაცულია მომხმარებლის ძალადობისაგან სხვა მომხმარებლის არსებობით, რომელსაც შეიძლება მიეყიდოს საქონელი. დასაქმებული დაცულია დამსაქმებლის ძალადობისაგან, რადგან შეუძლია სხვა დამსაქმებლის მონახვა და ა.შ. თანაც, ყოველივე ამას ბაზარი ცენტრალური მართვის გარეშე ახერხებს".

პარადოქსულად ჟღერს, მაგრამ თავისუფალი ბაზარი ხელს უწყობს თანასწორობასაც, რადგან იგი ეროვნების, რელიგიის, რასის და ა.შ. მიუხედავად, ყველას აძლევს თავის რჩენის საშუალებას. "როდესაც ჩვენ პურს ვჭამთ, ჩვენთვის სულ ერთია, ვისი მოყვანილია იგი: კომუნისტისა თუ კაპიტალისტის, ზანგისა თუ თეთრკანიანის. ეს გვიჩვენებს, თუ როგორც ახერხებს ბაზარი ეკონომიკური ინტერესების განცალკევებას პოლიტიკური შეხედულებებისაგან და იცავს ადამიანებს ნებისმიერ მიზეზით დისკრიმინაციისაგან, გარდა შრომის ნაყოფიერებისა" - წერს ფრიდმანი.

თავისუფალ ბაზარს შეუძლია ადამიანი დაიცვას მთავრობის მხრიდან ძალადობისაგან, რადგან იგი ადამიანს საშუალებას აძლევს საარსებო წყაროთი არ იყოს მთავრობაზე დამოკიდებული. თავისუფალი ბაზრის პირობებში სახელმწიფოს პიროვნული თავისუფლების შეზღუდვა ძალზე ძვირი უჯდება.

კიდევ ერთ ფუნდამენტურ განსხვავებას სახელმწიფოსა და ბაზარს შორის, და ამ უკანასკნელის უპირატესობას პირველზე, ფრიდმანი ბაზრის პლურალიზმში ხედავს. პოლიტიკური ძალაუფლების "რაოდენობა" შეზღუდულია - წერს იგი. ქვეყნას არ შეიძლება ჰყავდეს ერთდროულად რამდენიმე ეროვნული ლიდერი. ახალი ლიდერი ისე ვერ მოიპოვებს ძალაუფლებას, თუ იგი ძველს არ წაართვა. მაშინ, როდესაც ეკონომიკაში ახალი მილიონერები თავისუფლად შეიძლება გაჩნდნენ ძველების გაკოტრების გარეშე. ამიტომ, სახელმწიფო მისწრაფის ტოტალიტარიზმისაკენ, ბაზარი - მრავალფეროვნებისაკენ. ამით სჯობია მეორე პირველს.

იგივე მიზეზების გამო, აუცილებელია, თავიდან იქნეს აცი-

ლებული ერთი პიროვნების ხელში ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლების თავმოყრა, ან ბაზარზე სახელმწიფო კონტროლის დანერგვა.

"თუკი ერთ ხელში დიდი პოლიტიკური ძალაუფლების კონცენტრაცია ხდება, მაშინ თავისუფლებას მოსპობა ემუქრება. მაშინაც კი, როდესაც ადამიანები, რომელთა ხელთაცაა ეს ხელისუფლება, მის გამოყენებას კეთილი მიზნებით ცდილობენ და ძალაუფლებისაკენ ლტოლვით არ არიან კორუმპირებული, მაშინაც კი იზიდავს ძალაუფლება ადამიანს და სულ სხვა დაღს ასვამს მას".

მაგრამ, მთავრობა მაინც აუცილებელია, რადგან არის ფუნქციები, რომელთა შესრულებასაც ბაზარი ვერ შეძლებს. ასეთებია: წესრიგის დამყარება, თავდაცვა, ხელშეკრულებების აღსრულების უზრუნველყოფა და კონკურენციის დაცვა. თუმცა, ასეთი შეზღუდული ფუნქციების მქონე მთავრობაც, შეიძლება ტირანიად გადაიქცეს. ხელისუფლების საქმიანობის შეზღუდვის სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ მის მხარდამჭერთ მეტისმეტად იზიდავთ ძალაუფლების კონცენტრაცია. მათ სწამთ, რომ ამგვარი კონცენტრაცია მათ საშუალებას მისცემდა უფრო ეფექტიანად განეხორციელებინათ სა-მთავრობო პროგრამები, რომელ-

ბიც მათი აზრით, საზოგადოების ინტერესს ემსახურება. მაგრამ, ჯოხს მეორე ბოლოც აქვს და კარგი საქმეების კეთების უფლების მიცემა ცუდი საქმეების კეთების უფლებასაც ნიშნავს".

ფრიდმანი მისგან თავის დაცვის ორ მექანიზმს გვთავაზობს. პირველი: "ჩვენ ვერ ავიცილებთ მთავრობისათვის გარკვეულ საკითხთა გადაცემას, მაგრამ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კარგად უნდა ავსონ-დავწონოთ, თუ რა სარგებელს და რა ზიანს მოგვცემს თითოეული საკითხის გადაწყვეტაში მთავრობის ჩაბმა". (მთელი ცხოვრება (ამჟამად იგი 91 წლისაა), ფრიდმანი ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში სახელმწიფოს მიწიმაღური ჩარევის მომხრე იყო. იგი მოითხოვდა განათლების სისტემის პრივატიზაციას და სასკოლო ვაუჩერების შემოღებას და მხურვალედ უჭერდა მხარს სოციალური უზრუნველყოფის სისტემის კერძო საკუთრებაში გადაცემას. ამ აზრით, იგი რესპუბლიკური პარტიის იდეოლოგიად გვევლინება). და მეორე, ხელისუფლების ცალკეულ შტოებს შორის ურთიერთგანმანათლებლობისა და ურთიერთკონტროლის სისტემა და ხელისუფლების მაქსიმალური გადაცემა ადგილობრივი მმართველობისადმი.


"თუკი მთავრობას ძალაუფლება უპყრია ხელთ, ჯობს იგი ადგილობრივს ჰქონდეს, ვიდრე რაიონულს, ჯობს რაიონულს, ვიდრე საშტატოს, სჯობს საშტატოს, ვიდრე ვაშინგტონს. თუკი მე არ მომწონს, რასაც ჩემი ადგილობრივი ხელისუფლება აკეთებს, სხვა უბანში გადავალ, თუ ჩემი შტატი არ მომწონს, სხვა შტატში გადავსახლდები, მაგრამ აი, თუ ვაშინგტონის პოლიტიკა არ მომწონს, მაშინ ცოტა ალტერნატივაა მრჩება (ფრიდმანის წიგნი 1956 წელს ნაკითხული ლექციების კურსს ემყარება, როდესაც სხვა ქვეყნებში მიგრაცია არც ისე ადვილი იყო)".

ფრიდმანის ამ თეორიას, დღესაც ძალიან ბევრი მომხრე ჰყავს, თუმცა ეკონომისტების მზარდი ნაწილი მიიჩნევს, რომ გლობალიზაციის ეპოქაში, მაშინ როდესაც თითქმის მთელი მსოფლიო ერთიან ბაზრად იქცა, სადაც უთანასწორობა უზარმაზარ მასშტაბებს აღწევს (საყოველთაოდ აღიარებული მონაცემები არ არსებობს, მაგრამ ზოგიერთი შეხედულების თანახმად, თუ 30 წლის წინ, განვითარებულ ქვეყნებში მცხოვრებ ადამიანებს განვითარებადი ქვეყნების მკვიდრებზე 34-ჯერ მეტი შემოსავალი ჰქონდათ, დღეს უკვე 70-ჯერ მეტს შოულობენ და ეს განსხვავება მუდმივად იზრდება), რეგულირების ეფექტური მექანიზმების შემოღება აუცილებელია. ზოგი უფრო შორსაც მიდის, და მსოფლიო მთავრობის შექმნას მოითხოვს, რომელიც უთანასწორობისა და უსამართლობის პრობლემებს უფრო უკეთ გადაწყვეტს, ვიდრე თავისუფალი ბაზარი. თუმცა, ისინიც კი აღიარებენ, რომ იდეალურად თავისუფალი ბაზრის უხილავი ხელი უფრო უკეთ იმოქმედებდა, ვიდრე იდეალური მთავრობა.



მილტონ ფრიდმანი

**ნადინ გორდიმერი, "ნადავლი" (მოთხრობები) Loot And Other Stories By Nadine Gordimer New York: Farrar, Straus and Giroux, 240 გვ.**



ნადინ გორდიმერს წელს 80 წელი უსრულდება. მისი მოთხრობების ახალი კრებული, სახელად "ნადავლი", მწერლის პირველი წიგნია 1991 წლის, ნობელის პრემიის მიღების შემდეგ. ახალი წიგნი მის მეუღლეს ეძღვნება. ხანდაზმული მწერლის განწყობა ზოგჯერ ირონიულია, ზოგჯერ გამომწვევი და სევდიანი. ავტორის ფანტაზია დაუღალავად მუშაობს.

ალეგორიული მოთხრობა, რომლის სათაურიც კრებულს სახელად დაერქვა, სიკვდილის თემას ეხმიანება, სიკვდილი განძია, ადამიანის "მე"-ს სარკე. ნაწარმოებში მოქმედება ძლიერი მიწისძვრის შემდეგ ხდება: "ზიკი ისეთი ძალის იყო, რომ ოკეანემაც კი უკან დაიხია." ამ სამინელი სტიქიის შემდეგ მთელი სამყარო დაკარგული საგნების გროვად გადაიქცა. ადამიანები მისწრაფიან, ეძებენ, თუმცა არც კი იციან - რას. მოთხრობის ერთი გმირი ასაკოვანი, პენსიაზე გასული, ცოლთან დიდი ხნის წინ განქორწინებული კაცი მაძიებელთა ტალღას უერთდება, ეს ხალხი უცნობ, უსახელო ობიექტს დაეძებს. კვანძი სრულიად მოულოდნელად იხსნება. ეს ობიექტი სარკე აღმოჩნდება, და როცა გმირი ამ სარკეს ხელს შეავლებს, უმაღვე ილუპება.


მოთხრობა "თაობათა უფსკრული", რომელიც ახალ კრებულშია შესული, მთლიანად პირობითობაზეა აგებული. ოჯახის უფროსი, 67 წლის მამაკაცი 42 წლის ცოლს მიატოვებს და ახალგაზრდა მევიოლინესთან მიდის, რომელსაც ის სულ ცოტა ხნის წინ თვითმფრინავში შეხვდა. შეხვედრა საბედისწერო აღმოჩნდება. კრებულში შესულ მოთხრობებში ყველა ადამიანი თვითონ ირჩევს თავის სიკვდილს; ისინი საკუთარი დაუფიქრებლობითა და, თუ გნებავთ, უგუნურებით, თავისი ფეხით მიდიან სიკვდილთან, მაშინ როცა შეიძ-

ლება მას გვერდი აუქციონ. სიკვდილის მძაფრი განცდა ცოტა არ იყოს თრგუნავს კიდევ მკითხველს. ეს განცდა კი მწერალს სწორედ ამ პერსონაჟის სიტყვებით აქვს გამოხატული: "სიკვდილი შავი სარკეა, დაცარიელებული ყველაფერ იმისგან, რაც სარკეს უნახავს თუ დაუფიქსირებია. სიკვდილი იცდის, იცდიდა; მაგრამ მე ასე ავირჩიე..."

წიგნში თავმოყრილი მოთხრობებიდან მნიშვნელოვანია "კარმა", სადაც ხელოვნების მარადიული თემა - სიკვდილის წრე-ბრუნვა სრულიად ორიგინალურად აისახება.

რატომ ეძებენ გორდიმერის გმირები სიკვდილს? ალბათ, იმიტომ, რომ ეს პერსონაჟები, რომლებიც ღრმა სულიერ კრიზისს განიცდიან, ცდილობენ შეაჩერონ დღევანდელი ცხოვრების უნმინდურობით დასვრილი სარკე, და ხელახლა დაიბადონ. თუმცა, ხელახლა დაბადება, "კვლავ ყოფნა" (ბეკეტი-სეული ტერმინით) გარდაცვალების გარეშე შეუძლებელია.

**კარლოს ფუენტესი, "ინესი" Inez By Carlos Fuentes Bloomsbury, 150 გვ.**



კარლოს ფუენტესს 60-იანი წლების ლათინოამერიკული ლიტერატურული ბუმის მექსიკელ კატალიზატორად მოიხსენიებენ. მწერლობა ფუენტესმა 21 წლის ასაკში გადაწყვიტა, ნაწილობრივ, თომას მანის გავლენით. სწორედ ამ პერიოდში შეხვდა თომას მანს, რომელიც ციურისში ტბის სანაპიროზე მის გვერდით მაგიდასთან სადილობდა. კარლოს ფუენტესი ახლა 70 წლისაა, მისი ბოლო რომანი "ინესი" ესპანურად 2001 წელს გამოქვეყნდა. წელს "ინესის" ინგლისურენოვანმა თარგმანმაც იხილა მზის სინათლე. "ინესი" იმ თემების გაგრძელებაა, რაც თომას მანის რომანში - "სიკვდილი ვენეციაში" არის წარმოდგენილი: სიყვარული, ხელოვნება, სილამაზე და სიკვდილი.

მანის აშენბახის მსგავსად, გებრიელ ატლან-ფერარაც ასაკოვანი მავსტროა, მარსელში დაბადებული დირიჟორი, რო-

მელიც სიცოცხლის ბოლო წლებს ზალცბურგში ატარებს. გებრიელმა მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა მუსიკას, "ყველაზე ნაკლებად გამაღიზიანებელ ხმაურს", როგორც ამას ამბობდა ნაპოლეონი. 93 წლის დირიჟორი ბერლიოზის "ფაუსტუსის ვნებებს" უძღვნის მექსიკელ პრიმადონას - ინესს პრადას, რომელიც დირიჟორს დიდი სიყვარულით უყვარდა და რომელიც არასოდეს შეურთავს ცოლად. რომანი იწყება ხელოვანთა პირველი შეხვედრით. ეს იყო 1940 წელს "ლონდონ ბლიცში". ფრანგი დირიჟორი აღფრთოვანებული დარჩა ინესის მომაჯადოებელი ხმით, თუმცა ფიქრობდა, რომ ამ ხმაში იყო რაღაც ველური ჟღერადობა, რასაც დამუშავება სჭირდებოდა. რომანში მძაფრად იგრძნობა მიზიდულობის ის ძალა, რითაც ეს ორი ადამიანი დაკავშირებული ერთმანეთთან, მაგრამ ამავე დროს ეს მიზიდულობის ძაფი მათ განიზიდავს, წყვილის ურთიერთობა დაძაბულია, სხვაგვარია პარტნიორობა სცენაზე და სულ სხვაა მათი პირადი ცხოვრება. კაცი სცენაზეა მბრძანებელი, ქალი კი - სცენის მიღმა. ძალიან ძნელია ორი ისეთი ადამიანის ურთიერთობა, რომელთაც თანაბარი ამბიცია და ტალანტი აქვთ.

ქალისთვის რომ გეკითხათ, მან იმიტომ უარყო დირიჟორი, რომ მის გამოხედვაში სხვა ქალის მზერა დაინახა, გებრიელი კი დარწმუნებული იყო, რომ როდესაც ქალი მას უყურებდა, ის მასში სულ სხვა ადამიანს ხედავდა. მაგრამ გებრიელისა და ინესის განშორება ისეთივე ტკივილიანია, როგორც მათი ერთად ყოფნა. ორივე იტანჯება ხსოვნითა და სინანულის გრძობით. "ვერასდროს დაიბრუნებ პირველ ვნებას და სინანული მუდამ დარჩება ჩვენში... მერე ის მელანქოლიაში გადაიზრდება და ცხოვრობს ჩვენში როგორც მრისხანე მოჩვენება", - ამბობს გებრიელი, რომელსაც სულ თან დააქვს ინესის ნაჩუქარი თილისმა. ეს მისთვის წარსულისა და ყველაფერ იმის სიმბოლოა, რაც კი ოდესმე გაუკეთებია.

მწერალი გებრიელის სატანურ ბუნებაზე მიგვანიშნებს. ეს მთავარი გმირის გარეგნობის აღწერის დროსაც კარგად ჩანს: გრძელი ხვეული თმა, ანთებული თვალები, მეფისტოფელისებური გამომეტყველება... თავიდანვე იგრძნობა ის საფრთხე, რასაც დირიჟორი უქმნის ინესს, რადგან ამ სიყვარულში იყო რაღაც ძალადობის მსგავსი, დამანგრეველი ძალა...

თომას მანის გავლენა პირველივე სტრიქონებიდანვე საცნობია მექსიკელი მწერლის რომანში, და კიდევ უფრო საცნობი ხდება, როდესაც ორკესტრი მთავარი გმირის, მსცოვანი გებრიელის დირიჟორობით "ფაუსტუსს" ასრულებს.

**ჯოის ქეროლ ოუტსი, "მხეცები" Beasts By Joyce Carol Oates Orion, 140 გვ.**



ახლახანს ჯოის ქეროლ ოუტსმა კიდევ ერთი ახალი რომანი გამოაცხო. გაიკვირვებთ, ალბათ, სულ რაღაც ერთი თვის წინ არ გამოქვეყნდა მისი ბოლო რომანი? კრიტიკოსები ამ ფაქტს მოხერხებულად იყენებენ იმისათვის, რომ ხმამაღლა განაცხადონ, ვინც რომანებს ასეთი სისშირით წერს, შეუძლებელია ლიტერატურული თვალსაზრისით ნამდვილი ფასეულობები შექმნასო. მკითხველისთვის კი რომანების გამოცემის სისშირე, უბრალოდ, განცვიფრებასა და სიხარულს იწვევს. ლიტერატურის მოყვარულები ყოველთვის მოუთმენლად ელიან მწერლის ყოველი ახალი ნაწარმოების გამოსვლას, როგორც ახალ სიურპრიზს. ჯოის ქეროლ ოუტსს უკვე ასზე მეტი წიგნი აქვს გამოცემული, რომანები, მცირე ზომის მოთხრობები, ლექსები, პიესები... თემა უცვლელია: ისტორია, პიროვნების თვითმყოფადობა, კლასი, რასობრივი მდგომარეობა, გენდერული პრობლემები, პოლიტიკა, ძალაუფლება, ხელოვნების მნიშვნელობა.

ოუტსის ახალი რომანი "მხეცები" მცირე ზომის თხზულებაა. ეს არის კრიტიკა ამერიკული ცხოვრების სიბრძავის და ულმოობისა, ცივი, მრისხანე პასკვილი და, ამავდროულად, ერთგვარად ანალიტიკური ხასიათის ნაშრომიც. რომანის სახელწოდება მომდინარეობს დ.ჰ. ლორენსის ნაწარმოებიდან - "ჩიტები, მხეცები და ყვავილები". რომანის გმირი ქალი გილიანი ლუვრს ესტუმრება, მუზეუმის ექსპონატების დათვალიერების დროს უძველეს ტოტემს გადაწყვეტა და რაღაცნაირად დაიზაფრება მისი ხილვით. უეცრად გილიანი დროში იწყებს მოგზაურობას, მისი წარმოსახვა ახლო წარსულში გადაინაცვლებს, 25 წლის წინ, როდესაც სტუდენტი იყო, კოლეჯში სწავლობდა მასაჩუსეტსის სამხრეთით და


უიმედოდ იყო შეყვარებული (ისე როგორც ყველა გოგონა ამ ასაკში) ლიტერატურის მასწავლებელზე - ანდრე ჰეროუზე, რომელსაც ეფექტური და სექსუალური დორკასი ჰყავდა ცოლად.

სტრუქტურულად რომანი საკმაოდ საინტერესოდ და რთულად არის აგებული. "მხეცების" მკითხველი ერთდროულად წარსულშიც ცხოვრობს და აწმყოშიც. ანდრე და დორკასი უკვე მეოთხედი საუკუნეა აღარ არიან, მაგრამ ისინი უფრო ცოცხლად ჩარჩენილან ქალაქის (მოქმედება ნიუ ინგლენდში ხდება) მცხოვრებთა მეხსიერებაში, ვიდრე ცოცხალი ადამიანები. ანდრე და დორკასი ქალაქის ბოჰემური და მღვლვარე წყვილი იყო, რომელზეც ყველა ჭორაობდა. რას აღარ ამბობდნენ მათზე, რომ ისინი საგანგებოდ არჩევდნენ გოგონებს და მათ ეგზოტიკურ სადილზე ეპატივებოდნენ; სადილს ხანგრძლივი საუბრები მოჰყვებოდა ხოლმე, რაც ხშირად მთელი ღამის განმავლობაში გრძელდებოდა. ლექციებზე ჰეროუ თავის სტუდენტებს პოეზიასა და ეროსზე ესაუბრებოდა, მოჰყავდა ლორენსისა და ნიცუმეს ციტატები, რომ "ის, რაც სიყვარულისთვის კეთდება, ყოველთვის სიკეთისა და ბოროტების მიღმაა მოთავსებული." ლექტორი გილიანს სახელსაც კი გადაარქმევს - მას ფილომელას ეძახის, ასე ერქვა მითიურ პერსონაჟს ოვიდიუსის "მეტამორფოზებიდან", რომელიც ჯერ შეაცდინეს და მერე ენა ამოგლიჯეს, ხმა რომ არ ამოეღო...

ჰეროუს ლექციებიდან გოგონები ქრებიან, მაგრამ აუდიტორიაში სკამები ისეა დალაგებული, რომ ვერაფერს მიხვდები. "შესანიშნავია სატანური გამოცდილება", - წერდა ლორენსი. ოუტსის რომანი მოახლოებული საფრთხის შეგრძნებით არის დამუხტული. "შენი ტრიუმფი შენი სრული მორჩილებაა", - ეუბნება ანდრე გოგონებს და წინასწარ აფრთხილებს, რომ ღმერთი - ეროსი მათ არსებას ისე შეძრავს, როგორც "ჩალით გადახურულ სახლებს გრივალს". "მხეცები" - ეს არის რომანი მზეთუნახავისა და მხეცის შესახებ, რომელიც სავსეა პორნოგრაფიული თუ მაზოხისტური დეტალებით, ცხოველური ინსტინქტებით, და დაუნდობელ რეალობას ასახავს.

"მე არაფერი მაქვს სათქმელი აღსარებაზე", - ამბობს გილიანი, იგივე ფილომელა რომანის დასაწყისში, სანამ აღსარებას იტყოდეს. ეს აღსარება მითოლოგიზირებული სასიყვარულო ისტორიაა იმ ადამიანისა, რომელსაც არა აქვს ამ ცხოვრებაში ხმის უფლება და ამ უუფლებობას ურჩხულად უქცევია.

**სიუზენ სონტაგი,**  
**“სხვისი ტკივილის შესახებ”**  
**Regarding The Pain Of Others**  
**By Susan Sontag**  
**New York: Farrar, Straus and Giroux, 131 გვ.**



“სხვისი ტკივილის შესახებ” – ეს თხზულება მწერლის ბრწყინვალე აღსარებაა, აღსარება სხვისი ცოდვებისა და სხვისი ტკივილის გამო. “თვალზე ლიბრი გვაქვს გადაკრული, ჩვენი ყურთასმენა დახშულია”, - ამბობს სიუზენ სონტაგი, რომელიც შეურაცხყოფილია თანამედროვე საინფორმაციო პოლიტიკით, “ძალადობის მომხმარებლებით”, სხვის ტრაგედიას სანახაობისთვის, სეირისთვის რომ იყენებენ.

“არ შეიძლება მსოფლიო გავაიგივოთ მხოლოდ მდიდარ ქვეყნებთან, სადაც ხალხი კეთილდღეობით ცხოვრობს, სადაც ადამიანებს ორმხრივი პრივილეგიები აქვთ, მათ შეუძლიათ იყვნენ სეირის მაცურებლები, ან უარი განაცხადონ სხვისი ტანჯვის ყურებაზე”, - წერს სონტაგი და იქვე დასძენს: მათ არაფერი იციან რეალური ტანჯვის, მასშტაბური უსამართლობისა და ტერორის შესახებ. მართალია, მილიონობით ადამიანი უყურებს ტელევიზორს, მაგრამ მაცურებლები ძალიან შორს დგანან იმ მოვლენებისგან, რასაც ტელევიზია აჩვენებს და ვერც ვერასოდეს გაიგებენ ვერაფერს, სანამ საკუთარ თავზე არ გამოცდიან ეკრანზე ნანახ რეალობას.

ისიც დიდი პრობლემაა, თუ ვინ დგას ტელე, ვიდეო თუ ფოტოკამერების მიღმა. რა მოტივები ამოძრავებთ მათ, რა გრძობის გამოწვევა სურთ მათ მაცურებელში? ზოგი ხელოვნებისკენ მიისწრაფის, ზოგი მოსყიდულია, ზოგს სხვა მიზნები აქვს. სხვათა შორის, ისმის კიდევ ერთი კითხვა, რაც, ალბათ, დროდადრო ყველა ჩვენგანს აწუხებს, დაძაბული დოკუმენტური მასალის, მაგალითად, ბოსნიის, რუანდის თუ ჩეჩნეთის კადრების ყურებისას. რატომ ვუყურებთ ასეთ ტრაგიკულ კადრებს ხშირად ძალიან უემოციოდ? “ეს არ არის დეფექტი, - უპასუხებს ამ კითხვაზე სონტაგი, - ჩვენი გულგრილობის გასაფანტად ფოტომასალა საკმარისი არ არის. ასეთ სახეებს მხოლოდ ერთგვარი სავიზიტო ბარათის


ფუნქციის შესრულება შეუძლიათ ყურადღების მისაქცევად. ეს კადრები იმისთვის არსებობს, რომ გავიგოთ, გონებაში გავიზროთ და ჩავუღრმავდეთ ამ ტრაგედიის მიზეზებს - ვინ არის დამნაშავე? ვინ არის პასუხისმგებელი? შეიძლება თუ არა ამის პატიება?”

ფოტოები მოსვენებას არ გვაძლევს. ჩვენ გვეძლევა საშუალება პარალელები გავავლოთ, და მერე იქნებ რამე დავადგინოთ, იქნებ რამე დასკვნა გამოვიტანოთ. ფაქტობრივად, სონტაგმა საშინაო დავალება დაგვიტოვა. ამ დავალების ამოხსნაში მკითხველს მისი რომანის გმირებიც დაეხმარებიან: ენდი უორჰოლი, ჟორჟ ბატაი, ვირჯინია ვულფი...

აი, ერთი ნაწყვეტი ამ რომანიდან:

“1938 წელს ვირჯინია ვულფმა დაწერა “სამი გინეა”, რომელიც ომის საწყისებზე მოგვითხრობს, მოგვითხრობს თამამად, მავანთათვის მისი მონათხრობი შეიძლება მიუღებელიც იყოს... ამ ნაწარმოებით ვირჯინია ვულფი გამოხმაურა ლონდონის ცნობილი ადვოკატის მიერ გამოგზავნილ წერილს, რომელშიც ადვოკატი ასეთ კითხვას სვამდა: როგორ ფიქრობთ, როგორ უნდა ავიცილოთ ომი თავიდან? ვულფი იწყებს იმის ახსნას, რომ მათი გულწრფელი დიალოგი შეუძლებელია, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ორივენი ერთსა და იმავე კლასს - “განათლებულთა კლასს” მიეკუთვნებიან, მათ შორის დიდი უფსკრული დგას: ადვოკატი მამაკაცია, ის კი - ქალი. მამაკაცი ქმნის ომს, მამაკაცებს (მამაკაცთა უმრავლესობას) უყვართ ომი, რადგან კაცებისთვის ეს ნიშნავს ცოტა დიდებას, ცოტა აუცილებლობას, ცოტა ბრძოლის ჟინით მიღებულ კმაყოფილებას, ქალებისთვის კი (ქალთა უმრავლესობისთვის) ომს არავითარი სიამოვნება არ მოაქვს...”

**ადამ ნიკოლსონი,**  
**“ღვთის მდივნები”**  
**როგორ იქმნებოდა მეფე**  
**ჯეიმსის ბიბლია**  
**God's Secretaries**  
**The Making of the King James Bible**  
**By Adam Nicolson**  
**New York: HarperCollins Publishers, 281 გვ.**



მეფე ჯეიმს I ინგლისისა და მეფე ჯეიმს VI შოტლანდიისა - ის არა მხოლოდ პირველი მონარქი იყო, რომელმაც გააერთიანა შოტლანდია, ინგლისი და ირლანდია, მეფე ჯეიმსი ისტორიაში დიდი ლიტერატურულ-რელიგიური მოღვაწეობითაც შევიდა. “მეფე ჯეიმსის ბიბლია” - ასე უწოდებენ ინგლისურენოვანი ბიბლიის ვერსიას, რომელიც 1611 წელს შეიქმნა.

“ამ ბიბლიის გავლენა ჩვენი ხალხის ლიტერატურაზე დღესაც ისეთი დიდია, როგორიც იყო თავის დროზე შექსპირის ეპოქაში”, - წერს ჯეიმს ბოლდუინი “ღვიძლი ვაჟიშვილის ჩანაწერებში”.

ბიბლიის თარგმნა ყველასათვის გასაგებ ენაზე საუკუნეების განმავლობაში ყველა ქვეყნის ხალხისთვის ძალიან ძნელი და სახიფათო საქმე იყო. 1604 წლის იანვარში მეფე ჯეიმსმა მოიწვია კრება, სადაც რელიგიური უთანხმოების საკითხები განიხილებოდა. სწორედ ამ კრებაზე სთხოვა პურიტანმა ჯონ რეინოლდსმა მეფეს ბიბლიის ახალი თარგმანის გაკეთება, რადგან, მისი თქმით, ჰენრი VIII-სა და ედუარდ VI-ს მეფობის დროს შექმნილი ვერსიები სანდო არ იყო. მეფემ იდეა აიტაცა. მან მთარგმნელობითი კომისია შექმნა, რომელშიც 54 მეცნიერი გაერთიანდა. ეს ადამიანები არა მარტო დიდ ბრიტანეთში, არამედ მთელ მსოფლიოში იყვნენ სახელგანთქმულნი თავიანთი მოღვაწეობით, იცოდნენ არამეული, ებრაული, ბერძნული, არაბული, სპარსული, სირიული და სხვა ენები. სწორედ მათი ნაშრომები დაედო საფუძვლად თანამედროვე ლინგვისტიკის განვითარებას. ბიბლიის კომისიის წევრებს შორის ფენომენალური ნიჭით გამოირჩეოდა ვესტმინსტერის მღვდელმთავარი ლანსელოტ ენდრიუსი, რომელმაც თხუთმეტი ენა იცოდა, და, გადმოცემის თანახმად, ჯერ კიდევ ექვსი წლის ასაკში ჰქონდა ნაკითხული ბიბლია ებრაულად.


ასე დაიწყო თავდადებული მუშაობა ვესტმინსტერში, ოქსფორდსა და კემბრიჯში. რა თქმა უნდა, გზად წინააღმდეგობები ხვდებოდათ. ყველაზე აგრესიული მოწინააღმდეგენი კათოლიკეები იყვნენ, მათ დაუშვებლად მიაჩნდათ ბიბლიის ყველასათვის გასაგებ ენაზე თარგმნა. მიუხედავად ამისა, მუშაობა გრძელდებოდა...

ადამ ნიკოლსონის ახალი რომანი სწორედ ამ დაბრკოლებებზე შეაჩერებს მკითხველის ყურადღებას. “ღვთის მდივნები” იმ ადამიანებზე მოგვითხრობს, რომლებმაც გადანყვიტეს ახალი სამეფოსთვის ახალი რელიგია მოერგოთ. ისინი, ვინც ეს ტვირთი თავის თავზე აიღო, დიდი ცოდნისა და რწმენის მატარებელნი იყვნენ. რას ფიქრობდნენ ეს ადამიანები, რა ახსნას უძებნიდნენ იმ მოვლენებს, რაც მაშინდელ

ინგლისში ხდებოდა (მაგალითად, ზემოხსენებული ლანსელოტ ენდრიუსი ფიქრობდა, რომ შავი ჭირი, რომელიც ლონდონს დაატყდა თავს, ღვთის რისხვა იყო), სად გადიოდა ზღვარი რწმენასა და ცრურწმენას შორის - ამ ყველაფერზე ნიკოლსონის რომანი მოგვითხრობს. ავტორი თანამედროვეობასთანაც აკეთებს გარკვეულ პარალელებს, როდესაც თეოლოგიურ და პოლიტიკურ კონტექსტებზე საუბრისას 2001 წლის 11 სექტემბრის ავბედით ტრაგედიას იხსენებს.

დღეს ისტორიკოსთა ერთი ნაწილი მეფე ჯეიმსის ყველაზე დიდ მიღწევად სწორედ ბიბლიის თარგმანს ასახელებს. “მეფე ჯეიმსის ბიბლიის” დახვეწილმა ლიტერატურულმა სტილმა დიდი გავლენა იქონია ინგლისურენოვანი ლიტერატურის განვითარებაზე. მისი სტილის გავლენა იგრძნობა ჯონ მილტონის, ჰერმან მელვილის და სხვა მწერლების ნაწერებში. დღესდღეობით, როცა ბიბლიის უამრავი ვერსია არსებობს, ინგლისურენოვანი პროტესტანტები მიიჩნევენ, რომ 1611 წელს შედგენილი მეფე ჯეიმსის ვერსია ღვთის ყველაზე ჭეშმარიტი სიტყვაა.

**საიან ფილიპსი,**  
**“საზოგადოებრივი ადგილები”**  
**ჩემი ცხოვრება თეატრში,**  
**პიტერ ო ტულის დროს და**  
**მის შემდეგ**  
**Public Places**  
**My Life in the Theater, With**  
**Peter O'Toole and Beyond**  
**By Sian Phillips**  
**New York: Faber and Faber,**  
**442 გვ.**



“საზოგადოებრივი ადგილები” - ასე ჰქვია იმ მემუარს, რომელიც საიან ფილიპსმა წარუდგინა მკითხველს. მემუარის მთავარი გმირი პოპულარული ვარსკვლავი პიტერ ო ტულია. ფილიპსი ო ტულის ცხოვრებისეული პარტნიორი იყო, პარტნიორი ხელოვანისა, რომელიც მაგრად სვამდა და თავისი უყმური ხასიათით გამოირჩეოდა. კითხვა, რომელიც, ალბათ, დღემდე აწუხებს ცნობისმოყვრე ქალთა უმრავლესობას - თუ რატომ არ მიატოვა ქალმა ო ტული - არ აღვლევს რომანის მკითხველს. ალბათ იმიტომ, რომ როგორც ნანარ-

მოებიდან ჩანს, უელსში დაბადებული ფილიპსი ჯერ კიდევ მანამდე შეეგუა ამ შეკითხვას, სანამ ცნობილ მსახიობს გაჰყვებოდა ცოლად 1959 წელს. საკუთარი პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად მან ასეთი პასუხიც კი ჩამოაყალიბა: “არა მგონია, ვინმემ პიტერზე უკეთ შეძლოს ჩემი გაცნობა, მე ამაში დარწმუნებული ვარ და მინდა, რომ ეს ყველამ იცოდეს.”

საიან ფილიპსი არ ჰგავს სხვა მსახიობებს, რომლებმაც დიდებისკენ სწრაფვაზე უარი თქვეს და თავიანთი კარიერა მსხვერპლად შესწირეს საყვარელი მამაკაცების სახელს. თუნდაც ვივიენ ლი და ლორენს ოლივიე ან რაქელ რობერტსი და რექს ჰარისონი გავიხსენოთ. “მოგზაურობაში, კრიზისის დროს, საფრთხეში, ანუ ჩვეულებრივი ცხოვრების მიღმა ჩვენ სრული ჰარმონიით ვცხოვრობთ, ბედნიერად”, - წერს ფილიპსი თავისი ქორწინების შესახებ. ამ წიგნში, ძირითადად, “ცხოვრების მიღმა” ამბებია ასახული, და კარგად ჩანს ო ტულის შარში და ენერგიული ხასიათი. აქ არის ძალიან საინტერესო ეპიზოდები: როგორ მოგზაურობდნენ იუგოსლავიაში, როგორ გაჩერდნენ ვენეციის სასტუმროში წყალდიდობის დროს, როგორ დახეტიალობდნენ უდაბნოში Lawrence of Arabia-ს გადაღებებზე. მართალია, რომანის ძირითადი თემა ო ტულთან ერთად გატარებული წლებია, მაგრამ, ამავე დროს, რომანში შეხვდებით არანაკლებ მნიშვნელოვან პერსონაჟებს: ელიზაბეტ ტილორს, აკირა კუროსავას, რიჩარდ ბარტონს, სემუელ ბეკეტს და ბევრ სხვასაც.

“შენ ვერ გაყვები ამ არაჩვეულებრივ ადამიანს, - უთხრა ერთმა მეგობარმა ფილიპსს, - შეიგნე, ის გენიოსია, მაგრამ ნორმალური არაა.” ფილიპსის პასუხი ასეთი იყო: “ის ყველაზე ნორმალური ადამიანია, ვისაც კი ოდესმე შევხვედრივარ”. ქალის ეს მშვიდი, აუღელვებელი პასუხი ზუსტად შეეფერებოდა ეპოქის განწყობას - როცა ახალგაზრდა განრისხებული დრამატურგები და მსახიობები სცენაზე ნასვამები გამოდიოდნენ და საკუთარ შემოქმედებით ძალას აჩვენებდნენ მაცურებელს, და ეს ყველაზე დიდ ღირსებად ითვლებოდა.

დაბოლოს, ისიც უნდა ითქვას, რომ მსახიობი საიან ფილიპსი საკმაოდ საინტერესო ავტორი აღმოჩნდა, ნამდვილი მწერლური ალღოთი, მოვლენათა დეტალური და თან ლაკონური აღწერის უნარით და ზუსტი დაკვირვებებით. ამ რომანმა შეიძლება მკითხველი ვერ აღაფრთოვანოს, მაგრამ მისი ნაკითხვა მოსაწყენი ნამდვილად არ იქნება.

მოამზადა  
 თამარ სუხიშვილი

მხატვრული ლიტერატურა

1	1	გურამ დოჩანაშვილი	ლოდი ნასაყდრალი	"მარსი"	4.2
2	new	გიორგი ცოცანიძე	ნანური ხანჯრის წვერითა	"თეთრი გიორგი"	3.7
3	6	ვახუშტი კოტეტიშვილი	ალმოსავლურ-დასავლური დივანი	"დიოგენე"	3.2
4	new	ნესტან კვინიკაძე	პაიუში ფანტანები	"ქართული წიგნი"	2.6
5	new	თომას ბერნჰარდი	სარდაფი	"არილი"	2.5
6	new	იოკე ვან ლეუვენე	ჰიპ	"link"	2.2
7	8	გურამ დოჩანაშვილი	სამოსელი პირველი	"სანი"	2.2
8	new	კოტე ყუბანიშვილი	ლექსები	"სანი"	1.6
9	2	გაგა ნახუცრიშვილი	გამგზავრება და მოლოდინი	"საარი"	1.6
10	5	რადი ამალაშვილი	თუ	"საარი"	1.6
11	9	დავით მალრაძე	ნიკალა	"საარი"	1.5
12	18	გურამ დოჩანაშვილი	ძნელი	"მარსი"	1.3
13	15	აკა მორჩილაძე	ძირს სიმინდის რესპუბლიკა	"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"	1.3
14	new	აკა მორჩილაძე	ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები	"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"	1.3
15	new	გოდერძი ჩოხელი	ადამიანთა სევედა	"სანი"	1.2
16	10	გურამ დოჩანაშვილი	ხორუმი ქართული ცეკვაა	"მარსი"	1.1
17	17	რეზო გაბრიაძე	საშობაო მოთხრობა	"სანი"	1.1
18	new	გურამ დოჩანაშვილი	ვატერ(პო)ლო	"სანი"	1.1
19	3	ჯემალ თოფურაძე	გამოუსწორებელი	"მერანი"	1.0
20	16	გურამ დოჩანაშვილი	ძმისავ	"მარსი"	0.9

მეცნიერება/კუბლიცისტიკა

1	new	დავით მალრაძე	კულტურა, მეფური ნაკლი	"მერანი"	3.4
2	1	ოთარ ჭილაძე	ბედნიერი ტანჯული	"ლოგოს პრესი"	3.3
3	2		საბავშვო ენციკლოპედია	"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"	2.0
4	4		მსოფლიოს ატლასი მოსწავლეთათვის	"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"	0.9
5	3	ნ. ტონია, ზ. კიკნაძე	მითოლოგიური ენციკლოპედია ყმანვილთათვის	"ბონდო მაცაბერიძის გამომცემლობა"	0.9

პერიოდიკა

1	1	"არილი"	ლიტერატურული ჟურნალი		2.8
2	2	"24 საათი"	დამატება: წიგნები-ლიტერატურა		1.9
3	new	"აკადემია"	სამეცნიერო ჟურნალი		1.0
4	new	"კონტინენტი"	მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი		0.7
5	new	"საგურამო"	ლიტერატურული ჟურნალი		0.5

„არაბი“ - სიკეთის სამსახური

E13 გვარდიანს

თითქმის იგნორირებულია და თუ ასეთი ტემპით გაგრძელდება, მალე საქართველოს მთავრობას საფრანგეთის გამოცდილების გაზიარება მოუწევს, რაც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში პოეზიის ნიმუშების გამოკვრაში გამოიხატება. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს მთავრობა მისი ფრანგი კოლეგების დონეს კარგა ხანს ვერ მიაღწევს, ქართული პოეზიის პოპულარიზაცია ისევე ქართულ გამომცემლობებს მოუწევს. ჰოდა, სწორედ ამას აპირებს "არეტი". "გარკვეულ ლიტერატურულ წრეებში დამკვიდრდა სტერეოტიპი, რომ პოეზიას "არ უმართლებს". ჩვენ ძალზე ბევრი რამ გვიმაგრებს ზურგს, რათა ეს სტერეოტიპი დავანგრეთ. ვიცნობთ ადამიანებს, რომელნიც ძალიან კარგ ლექსებს წერენ, მაგრამ ფართო საზოგადოებამ მათ შესახებ ცოტა რამ იცის, ან მხოლოდ ლიტერატურული პერიოდიკიდან იცნობენ მათ შემოქმედებას. სწორედ ასეთების წარმოჩენას აპირებს ჩვენი გამომცემლობა" - თქვა მალხაზ ხარბედიამ.

როგორი გამომცემლობის შექმნა სურთ მის დამაარსებლებს, ანუ, რა არის ის მთავარი მახასიათებელი, რაც "არეტს" სხვა გამომცემლობებისგან გამოარჩევს?

მალხაზის თქმით, ეს არის სერიების სტაბილური სისტემა, რომელიც მოიცავს თანამედროვე ქართულ პროზას, პოეზიას,

ბიოგრაფიულ გამოცემებს, უახლეს თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურას. ისინი აპირებენ ბედი ანტიკური და ალმოსავლური ლიტერატურის გამოცემაშიც სცადონ, რადგან უკვე საკმაოდ დაგროვდა თარგმანები, რომლის გამოცემაც შეიძლება.

ეშინიათ თუ არა კონკურენციის? როგორც ვიამ თქვა - არა. "სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, იმდენი წიგნია გამოცემაში, რომ დღეს არსებული გამომცემლობები ამხელა ბაზარს ვერ აუვა. ასე რომ ამ სფეროში კონკურენცია რეალურად ჯერ არ არსებობს" - მიიჩნევს იგი.

როგორ წიგნებს არ გამოსცემს "არეტი"? გამომცემლების თქმით, ერთადერთი, რის გამოცემასაც ისინი არ დაუშვებენ - იქნება წამგებიანი ლიტერატურა. ასეთი წიგნები გამომცემლისთვის დიდი ფუფუნებაა, რის უფლებასაც თავს ჯერჯერობით ვერ მიეცემთო - მითხრეს ვიამ და მალხაზმა. მალხაზმა ბევრი ლიტერატურა, რომელიც კარგად გაიყიდა - ასეთია მათი მუშაობის დევიზი.

როგორც უკვე გითხარით, დღეს გამომცემლობა "არეტი" მალხაზა "პარნასში" წარდგება ჩვენს წინაშე, რამდენიმე დღეში კი, თბილისის წიგნის V ფესტივალზე მას უკვე გაცილებით ფართო საზოგადოება გაიცნობს. ვუსურვოთ წარმატება სიკეთისკენ მიმავალ გზაზე და რაც მთავარია, ბევრი კარგი წიგნი და უფრო მეტი - ამ წიგნის მყიდველი.

წიგნის სართავორისო ბაზრობები

<p>ALA Conference 2003 19/06/2003 - 25/06/2003 Toronto Deidre Irwin Ross Managing Director, Conference Services 50 E. Huron Street Chicago, IL 60611-2795 USA Phone: +1 (0) 312 280-32-23 Fax: +1 (0) 312 28032-24 E-mail: confs@ala.org www.ala.org</p> <hr/> <p>BookExpo Canada 19/06/2003 - 25/06/2003 Toronto Jennifer Sickinger Show Manager 3761 Victoria Park Avenue, Unit 1 Toronto, ON M1W 3S2 CANADA Phone: +1 (0) 416 491-3999 ext. 232 Fax: +1 (0) 416 491-7096 E-mail: jsickinger@reedexpo.com www.reedexpo.ca/bookexpo</p> <hr/> <p>APA Australian Book Fair 19/06/2003 - 20/06/2003 Sydney Rick Green Exhibition Manager P.O. Box 295 Brookvale NSW 2100 AUSTRALIA Phone: +61 (0) 2 99394445 Fax: +61 (0) 2 99394229 E-mail: info@expertiseevents.com.au www.bookfair.com.au</p>	<p>Jerusalem International Book Fair 23/06/2003 - 27/06/2003 Jerusalem Zev Birger Chairman and Managing Director 13 Safra Square P.O.Box 775 Jerusalem 91007 ISRAEL Phone: +972 (0) 2 6297922 Fax: +972 (0) 2 6243144 E-mail: jerfairs@jerusalem.muni.il www.jerusalembookfair.com</p> <hr/> <p>Hong Kong Book Fair 23/07/2003 - 28/07/2003 Hong Kong Daniel Lam Manager 38th Floor, Office Tower Convention Plaza Harbour Road Wanchai HONG KONG Phone: +852 (0) 25844333 Fax: +852 (0) 28240249 E-mail: hktde@tdc.org.hk www.hkbookfair.com</p> <hr/> <p>Zimbabwe International Book Fair 26/07/2003 - 03/08/2003 Harare David Brine Zimbabwe International Book Fair (ZIBF) London Office P.O. Box CY 21303 London WC2E 8PH Great Britain</p>	<p>Phone/Fax: +44 (0) 20 78368501 E-mail: zibf.kingstreet@dial.pipex.com www.zibf.org</p> <hr/> <p>14th Philippines Book Fair 30/08/2003 - 07/09/2003 Manila Irene Lioren President Unit 302 Villa Building 78 Jupiter Street Bel-Air, Makati City PHILIPPINES Phone: +632 (0) 8960661 oder 8960682 Fax: +632 (0) 8960695 E-mail: ptrade@philonline.com www.philippinebookfair.com</p> <hr/> <p>15th International Book Fair (MIBF) 03/09/2003 - 08/09/2003 Moscow General Directorate of International Book Exhibitions and Fairs (IBEF) Nikolai Ovsyannikov General Director 16 Malaya Dmitrovka St. Moscow 103006 RUSSIA Phone: +7 (0) 095 2994034 or 2999790 Fax: +7 (0) 095 9732132 or 2998655 E-mail: exhibitions@elnet.msk.ru www.bookfair.ru</p> <hr/> <p>Colombo International Book Fair 15/09/2003 - 21/09/2003 Colombo</p>	<p>Sri Lanka Book Publishers Association Upali Wanigasooriya General Secretary 53, Maligakanda Road Colombo 10 Sri Lanka Phone: +94 (0) 74 304546 Fax: +94 (0) 1 821454 E-mail: bookpub@sltnet.lk</p> <hr/> <p>Beijing International Book Fair (BIBF) 17/09/2003 - 21/09/2003 Beijing China National Publications Import &amp; Export Corp. Zhu Zhigang Managing Director 16 Gongti E. Rd Chaoyang Dist Beijing 100020 CHINA Phone: +86 (0) 10 65063080 Fax: +86 (0) 10 65089188 or 65063101 E-mail: bibfmo@bibf.net www.bibf.net</p> <hr/> <p>Guteborg International Book Fair 25/09/2003 - 28/09/2003 Guteborg Bok &amp; Bibliotek AB Anna Falck Managing Director Guteborg International Book Fair 41294 Guteborg</p>	<p>SWEDEN Phone: +46 (0) 31 7088400 Fax: +46 (0) 31 209103 E-mail: info@goteborg-bookfair.com www.goteborg-bookfair.com</p> <hr/> <p>Arabic Book Fair October 2003 Damascus Assad National Library Ali Ayidi General Director Malki Street, P.O. Box 3639 Damascus SYRIA Phone: +963 (0) 11 3336646 or 3320806 Fax: +963 (0) 11 3320804 E-mail: anl@net.sy</p> <hr/> <p>Frankfurt Book Fair 08/10/2003 - 13/10/2003 Frankfurt Ausstellungs- und Messe-GmbH des Bursenvereins des deutschen Buchhandels e.V Volker Neumann Fair Director Reineckstrasse 3 60313 Frankfurt / Main GERMANY Phone: +49 (0) 69 2102-0 Fax: +49 (0) 69 2102-277 or 2102-227 E-mail: info@book-fair.com www.frankfurt-book-fair.com</p>
---	--	---	--	--